ქახელები ხსნას პოლიტიკურ მატრიარქატში ხედავენ A2

"ქავკასიონი" ისევ დაზიანდა A3

TV პროგრამა A8

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი ხუთშაბათი, 11 სექტემბერი, 2003 წელი. №243 (455) ფასი 30 თეთრი

პოლიცია სვან კრიმინალებს შერიგებას სთავაზობს

"გვაცალეთ, ბატონო, ვმუშაობთ!"

ხათუნა ჯანგირაშვილი

"გვაცალეთ, ბატონო, ვმუშაობთ, გვაცალეთ!" - ასეთ განცხადებებს აკეთებდნენ გუშინ "24 საათთან" საუბრისას მესტიაში ანტიკრიმინალური ოპერაციის ჩასატარებლად მყოფი სამართალდამცველები. თუმცა, მათ პრაქტიკული საქმიანობა ჯერ არ დაუწყიათ. როგორც თავად აცხადებენ, ჯერჯერობით, მხოლოდ პროფილაქტიკურ-განმარტებითი სამუშაოებით შემოიფარგლებიან და სვანეთის მოსახლეობის მხარდაჭერაც დაიმსახურეს. დიდი აჟიოტაჟით დაწყებული, ევრეთ წოდებული ანტიკრიმინალური ოპერაცია, რომელიც სვანეთში მყოფი კრიმინალების დაკავებას ისახავდა მიზნად, როგორც ჩანს, კრიმინალებსა და სამართალდამცველებს შორის გარიგებით დამთავრდება. პოლიციურ ენაზე ეს შემორიგებას ნიშნავს.

არც ერთი დაკავებული კრიმინალი - ჯერჯერობით ასეთია მესტიაში პრეზიდენტის ბრძანებითა და ძალოვანთა მონდომებით ორი დღის წინ დაწყებული ანტიკრიმინალური ოპერაციის შედეგი. არადა, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრი კობა ნარჩემაშვილი აცხადებდა, ოპერაცია, რომელსაც სვანეთში შექმნილი მძიმე კრიმინოგენული სიტუაცია, იქ მოთარეშე კრიმინალთა დაკავების შემდეგ, უნდა განემუხტა, მხოლოდ რამდენიმე დღეს გასტანდა. ფაქტი ერთია – სვანეთში გადასროლილ სამართალდამცველებს ჯერ არავინ დაუკავებიათ. ისინი მოსახლეობას იარაღის ნებაყოფლობით ჩაბარებას, ხოლო მსუბუქი დანაშაულის ჩამდენ კრიმინალ-დამნაშავეებს შემორიგებას სთავაზობენ.

"ვინც ნებაყოფლობით ჩაგვაბარებს იარაღს და დაგვემორჩილება, არ დავიჭერთ, ვინც არ ჩაგვაბარებს და წინააღმდეგობას გაგვიწევს, არ დავინდობთ – დავიჭერთ", -იმუქრებიან მესტიის მოსახლეობაში გასული პოლიციელები.

გუშინ სვანეთში, კრიმინალებთან მებრძოლი არც ერთი ძალოვანი სტრუქტურის თავკაცი უკვე აღარ იმყოფებოდა. კობა ნარჩემაშვილი თბილისში კმაყოფილი დაბრუნდა. **"სვანები ჩვენს მინისტრს ძალიან გულთბილად შეხვდნენ, მათ ესმით ამ სპეცოპერაციის აუცილებლობა",** - განაცხადეს ჩვენთან საუბარში მესტიაში მყოფმა კანონდამცველებმა. თავად კობა ნარჩემაშვილი კრიმინალების წინააღმდეგ და კრიმინალური ვითარების აღმოსაფხვრელად დაწყებულ ოპერაციას, ორი დღის თავზე, დადებითად აფასებს და მასზე დიდ იმედებს ამყარებს.

მიუხედავად იმისა, რომ სამართალდამცველები სვანეთში მყოფ კრიმინალებს, იარაღის ნებაყოფლობით ჩაბარების შემთხვევაში, ხელშეუხებლობის გარანტიებს აძლევენ, ორი დღის განმავლობაში მათთან იარაღის ჩასაბარებლად არავინ მისულა.

"თუ საერთო კრიმინოგენული სიტუაცია არ მოგვარდება, სვანებისგან იარაღის უმტკივნეულოდ ამოღება არც ისე იოლი იქნება, რადგან სვანებისთვის იარაღი თავდაცვის საშუალებაა," - აცხადებს მესტიის რაიონის გამგებელი ერეკლე ჯაფარიძე.

"ვმუშაობთ ოპერატიულად, ვმუშაობთ მონდომებით, ყველას დავიჭერთ, ვინც კი დაჭერის ღირსია. იმ კრიმინალებსაც დავიჭერთ, ვინც მოახერხა და სვანეთიდან გასვლა მოასწრო. გვაცალეთ!" - ასეთია სამი კვირის წინ გადაუდებლად გამოცხადებული და ორი დღის წინ დაწყებული სვანური ანტიკრიმინალური ოპერაციის მონაწილე კანონდამცველთა დაპირება.

ამინდი

თბილისი	27
ქუთაისი	28
ბათუმი	28
სოხუმი	24
ფოთი	27
თელავი	23
ზუგდიდი	28
გორი	24
ახმეტა	24
ჭიათურა	26

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1350
ევრო	2.3705
გირვანქა სტერლ	3.3712
რუბლი	0.0697

სოლქო კომისიების თავმჯდომარეები ოპოზიციის შეშფოთებას იწვევენ

ვერიკო თევზაძე

გუშინ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ნანა დევდარიანმა საოლქო კომისიის თავმჯდომარეები დაამტკიცა. წინასწარი პროგნოზებით, მათი უმრავლესობა "ხელისუფლების ხალხია." "დარწმუნებულები ვართ, კომისიის თავმჯდომარეთა უმრავლესობას წარმოადგენენ ის ადამიანები, რომელთაც ხელისუფლება აკონტროლებს", - განაცხადა წუხელ "ბურჯანაძე-დემოკრატების" ბლოკის წარმომადგენელმა გიგი წერეთელმა. "ლეიბორისტებმა" დევდარიანი პირდაპირ ამხილეს ხელისუფლებასთან გარიგებაში. " გუშინდელი ფაქტის გამო ჩვენ გვაქვს შეშფოთების საფუძველი", - "24 საათთან" საუბრისას ასეთი პოზიცია დააფიქსირა არასამთავრობო ორგანიზაცია "სამართლიანი არჩევნების" დირექტორმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა.

გაგრძელება A3 გვერდზე

"ლეიბორისტებმა" ჯერ კიდევ საოლქო კომისიის თავმჯდომარეების დანიშვნამდე გამართეს საპროტესტო აქცია ცესკო-ს შენობასთან.

ლევან ბერიკაშვილის ფოტო

მასობრივი გაქცევა ციხიდან

გუშინ, დაახლოებით ცხრის ნახევარზე, როცა რუსთავი თითქმის მთლიანად ჩაბნელებული იყო, მკაცრი რეჟიმის კოლონიიდან პატიმართა მასობრივი გაქცევა მოხდა.

ციხის ადმინისტრაცია პატიმართა ბოლო გადათვლას აწარმოებდა, როდესაც მსჯავრდებულებმა კოლონიის დაცვის თანამშრომლებს ცეცხლი გაუხსნეს. ცეცხლი გაიხსნა ციხის გარედანაც, სადაც გაქცევის მსურველ პატიმრებს ორი სამარშრუტო ტაქსი ელოდებოდა. შეიარაღებული შეტაკების შემდეგ პატიმრებმა ციხის პერიმეტრი და დამცავი კედელი უპრობლემოდ გადალახეს და გაიქცნენ. სროლის შედეგად ერთი გუშაგი ადგილზევე გარდაიცვალა, ერთი კი მძიმედ დაიჭრა.

ცოტა ხანში რუსთავის მკაცრი რეჟიმის კოლონია შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროს სპეცდანიშნულების ალყაში მოექცა. გადაიკეტა და კონტროლი გაძლიერდა ქალაქის ყველა შესასვლელ-გასასვლელში, კოლონიის შიგნით კი შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობამ ოპერატიული თათბირი გამართა.

გაქცეულ პატიმართა რაოდენობას დიდი ხნის განმავლობაში ითვლიდნენ. თავდაპირველად გავრცელებული ინფორმაცია, რომ კოლონიიდან ორმოცდაათამდე პატიმარი იყო გაქცეული, მოგვიანებით შეიცვალა.

გაგრძელება A2 გვერდზე

სამართალდამცველებმა წუხელვე დააკავეს ათი გაქცეული პატიმარი.

ჰამასი: "შურისძიების დრო დადგა"

არიელ შარონი ისრაელში ბრუნდება

ლევან ღირსიაშვილი

პალესტინაში ახალი პრემიერ-მინისტრის დანიშვნა სისხლიანი ტერაქტით აღინიშნა. გუშინწინ, ღამით, პალესტინელმა კამიკაძეებმა ორი მასშტაბური ტერაქტი განახორციელეს. პირველი აფეთქება თელ-ავივთან ახლოს მდებარე ცრიფინის სამხედრო ბაზასთან ავტობუსების გაჩერებაზე მოხდა. რამდენიმე საათის შემდეგ, ამჯერად უკვე იერუსალიმში, კაფე "ჰილელში" მეორე აფეთქების ხმა გაისმა. სამხედრო ბაზასთან აფეთქების შედეგად რვა ადამიანი დაიღუპა და ოცდაათზე მეტი მძიმედ დაიჭრა. ამაზე ნაკლები არც იერუსალიმის აფეთქება ყოფილა, სადაც პალესტინელმა კამიკაძემ შვიდი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

"აფეთქება იმდენად ძლიერი იყო, რომ მე გარკვეული დროით დავყრუვდი კიდეც. მე მხოლოდ სხვადასხვა მხარეს გაქცეულ სასოწარკვეთილ ხალხს ვხედავდი,"

გაგრძელება A5 გვერდზე

"ჰამასის" ლიდერის სახლიდან პალესტინელებს დაჭრილები გამოჰყავთ.

REUTERS

ცესკო ოპოზიციას აერთიანებს

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გუშინ ოპოზიცია გააერთიანა. მართალია, ეს კავშირი, ჯერჯერობით, უფრო თემატური ხასიათისაა, მაგრამ ფაქტია, რომ საკუთარი უფლებების და ინტერესების დასაცავად, ოპოზიციამ ერთად დგომა გადაწყვიტა. გუშინ ლამის თითოეული პარტია თავს მოვალედ თვლიდა, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და სრულიად საზოგადოება ხელისუფლების მხრიდან წამოსული საფრთხის შესახებ გაეფრთხილებინა და, პარტიის ინტერესებთან ერთად, "ამომრჩევლის უფლებებიც დაეცვა".

ლელა მჭედლიძე

"ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ სამოცდათხუთმეტივე საარჩევნო ოლქში კომისიის თავმჯდომარეებად ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს საკუთარი კანდიდატურები დაანიშნინოს. საოლქო კომისიების მდივნების და თავმჯდომარის მოადგილეების ადგილი კი სახელისუფლებო ბლოკთან გარიგებულ "მრეწველებსა" და "აღორძინებას" გადაუნაწილდებათ. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საუბნო კომისიების თავმჯდომარეებს საოლქო კომისიების ხელმძღვანელობა ნიშნავს, მაშინ გასაგები ხდება, რომ ხელისუფლებას საარჩევნოდ მთელი სივრცის მონოპოლიზება სურს," - ასეთი განცხადება გააკეთეს გუშინ ბლოკ "ბურჯანაძე-დემოკრატების" წარმომადგენლებმა გიგი წერეთელმა და გოკა გაბაშვილმა. იგივე სახის ინფორმაციას ავრცელებდნენ გუშინ "ნაციონალები", "ახლები" და "ლეიბორისტებიც". **"ამ გარიგების სცენარი ჯერ კიდევ პარლამენტში, ცესკო-ს დაკომპლექტების დროს დაიწერა, ახლა კი საბოლოოდ სურთ ბეიკერის რეკომენდაციების ნიშანწყალი გააქრონ,"** - ასეთი დასკვნა გააკეთა გუშინ პარლამენტის ვიცე-სპიკერმა.

გაგრძელება A3 გვერდზე

ღია წერილი

საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანს, ბატონ თედო ჯაფარიძეს

საქართველოს მოსახლეობის გათვითცნობიერებულმა ნაწილმა უშიშროების საბჭოს მდივნად თქვენი დანიშვნა პრეზიდენტ შევარდნაძის მიერ ვერბალურად მრავალგზის დაფიქსირებული პროდასავლური კურსის გაგრძელებად აღიქვა. მას შემდეგ ორი წელი გავიდა და პროდასავლური მიმართულებით განვითარებას ვინ დაეძებს, იძულებულნი ვართ, ქვეყნის უშიშროების, უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საქმეში სტატუს-კვოს შენარჩუნებაზე ვიფიქროთ, ვინაიდან ნებისმიერი აქტიურობა პრეზიდენტის, უშიშროების საბჭოსა და მთავრობის მხრიდან ზემოჩამოთვლილ საკითხებში მხოლოდ აუარესებს ჩვენი ქვეყნის გამოუთქმელად წამგებიან მდგომარეობას.

დავიწყოთ იქიდან, რომ 1998 წელს პრეზიდენტმა და მისმა უშიშროების საბჭომ თავდაცვის სისტემაში რეფორმებისათვის მზადყოფნა გამოაცხადა. 1999 წელს უშიშროების საბჭომ მოიწონა "ISAB"-ის (უსაფრთხოების საკითხებში მრჩეველთა საერთაშორისო საბჭო) მიერ მომზადებული, სკრუპულოზურად გათვლილ-გაწერილი პროგრამა, რომლის მიხედვითაც ქვეყანას 2004 წლისათვის ეყოლებოდა კარგად გაწვრთნილი, შეიარაღებული, დასმული ამოცანის შემსრულებელი პროფესიონალური არმია. დიდი ხმაურითა და აურზაურით მოხდა ამ პროგრამის აფიშირება, რეალურად კი ამ პროგრამის 80 პროცენტზე მეტი დღეისათვის შეუსრულებელია. შეუსრულებლობის ძირითადი მიზეზი კი ერთ-ერთი რეკომენდაციაა, რომლის შინაარსი ასეთია: "პროცესი (რეფორმების. ზ.ძ.) უნდა დაიწყოს უსაფრთხოების ძირითადი კონცეფციის და სტრატეგიის განსაზღვრით, რითაც საქართველოს განსაზღვრული აქვს საკუთარი ეროვნული ინტერესების დაცვა და განვითარება საერთაშორისო ვითარების ფონზე. უსაფრთხოების სტრატეგიისა და კონცეფციის მკაფიოდ განსაზღვრით საქართველოს მთავრობას შეუძლია განამტკიცოს თავისი საერთაშორისო მიზნებისა და ორიენტაციის გაცნობიერება, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ..." (N 3.2). "ISAB"-ის მოთხოვნა ნათელია - ის საქართველოს მთავრობას სთავაზობს აირჩიოს ან ისევ რუსული გეოპოლიტიკური ორბიტა, ჩრდილოეთიდან ამომავალი მზით, ან ევრო-ატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია. სწორედ ამ დილემის არსებობის გამო ვერ შეძლო თქვენმა უშიშროების საბჭომ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის დადება 1999 წლიდან დღემდე, დოკუმენტისა, რომელიც განსაზღვრავდა ძირითად მიმართულებებს, პარტნიორებს უსაფრთხოების საკითხებში, შესაძლო მოწინააღმდეგეებს.

გაგრძელება A4 გვერდზე

"ჭიათურმანგანუმში" დაჭრები გრძელდება

უშიშროების სამინისტრო სააქციო საზოგადოება "ჭიათურმანგანუმის" ხელმძღვანელთა დაჭერებს აგრძელებს. გუშინწინ უშიშროების სამინისტრომ "ჭიათურმანგანუმის" დირექტორი საწარმოო და ტექნიკურ საკითხებში, დემურ ასანიძე დააკავა.

ინგა ალავიძე

დემურ ასანიძეს ბიუჯეტისთვის განსაკუთრებით დიდი რაოდენობით გადასახადების დამალვაში ედება ბრალი. დემურ ასანიძე უკვე უშიშროების სამინისტროს იზოლატორში იმყოფება. ვაკე-საბურთალოს სასამართლო დღეს უშიშროების სამინისტროს მოთხოვნას განიხილავს და, სავარაუდოდ, დემურ ასანიძეს წინასწარ სამთვიან პატიმრობას მიუსჯის.

უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო ნაწილის უფროსის, მალხაზ სალაყაიას განცხადებით, გამორიცხული არ არის, რომ უახლოეს დღეებში საწარმოს სხვა ხელმძღვანელი პირებიც დააპატიმრონ. **"მიმდინარეობს გამოძიება და თუ მტკიცებულებები შეგროვდება, რა თქმა უნდა, მათი დაკავება მოხდება,"** – განაცხადა მალხაზ სალაყაიამ და უშიშროების სამინისტროს მიერ დასაპატიმრებელთა შავ სიაში შეყვანილ, საწარმოს თანამდებობის პირთა კონკრეტული გვარების დასახელებისგან თავი შეიკავა.

თუმცა, "ჭიათურმანგანუმის" საქმის კურატორმა, უშიშროების მინისტრის მოადგილემ ლაშა ნაცვლიშვილმა პასუხისგებაში მისაცემი პირის ვინაობა უკვე "გათქვა". მისი განცხადებით, იგი უახლოეს დღეებში მინისტრის წინაშე ჭიათურის უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელის, გოგი ჩაკვეტაძის პასუხისმგებლობის საკითხს დასვამს. უფრო ზუსტად, სამინისტროში თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე იმსჯელებენ. **"მე არ შემიძლია გოგი ჩაკვეტაძეს რამეში დავდო ბრალი, რადგან არანაირი მასალა არ მომეპოვება. ვერ ვიტყვი, რომ ის მაქინაციაში ან რაიმე სხვა სახის საეჭვო საქმიანობაშია შემჩნეული, მაგრამ ის, რაც "ჭიათურმანგანუმში" მოხდა, თავის წილ პასუხისმგებლობას ყველას აკისრებს. ამიტომაც გადავწყვიტეთ, რომ სიტუაცია გადავახალისოთ, ძველი კადრები ახლით შევცვალოთ. აი, ამაზეა საუბარი,"** – ჩვენთან საუბრისას განაცხადა ლაშა ნაცვლიშვილმა.

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 ამბები A3 ამბები A4 ამბები A5 უცხოეთი A6 სპორტი A7 რევიუ A8 სხვადასხვა

ისევ არშემდგარი კვორუმი

თამარ ხორბალაძე

პარლამენტმა გუშინ, არაერთი მცდელობის მიუხედავად, 118-თან მიახლოებულ დეპუტატსაც ვერ მოუყარა თავი და, შედეგად, სხდომის წამყვანმა ვახტანგ ყოლბაიამ დეპუტატები ხუთშაბათს, დილის 11 საათისთვის მიიპატიჟა.

რამდენიმე დეპუტატმა გუშინდელ სხდომაზე ნინო ბურჯანაძის არყოფნას გაუსვა ხაზი და პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე ყოფნა მოითხოვა.

ბურჯანაძის გარდა, სხდომას არ ესწრებოდნენ სახელისუფლებო ბლოკის "სახეები", რომლებიც გუშინ კვლავ კვოტების გადანაწილების თავიდან წამოწყებულ ფერხულში იყვნენ ჩართულნი.

სხდომაზე არ იყვნენ არც ოპოზიციური პარტიები - მათი ნაწილი საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეთა კანდიდატურებს აპროტესტებდა, ნაწილი - მაჟორიტარ დეპუტატებს წარადგენდა, ნაწილი – პარტიის პროგრამის დეტალებს ამუშავებდა...

დღეს პარლამენტში მუშაობის დაწყების კიდევ ერთი მცდელობა შედგება.

ჰოლიციის ფორმაში გამოწყობილი გამტაცებელი ალიარებით ჩვენებებს იძლევა

გუშინ, გამთენიისას, კასპის პოლიციის საპატრულო ჯგუფმა თბილისი-სენაკის მიმართულებით მიმავალი ავტომანქანა გააჩერა. მანქანას პოლიციის ფორმაში გამოწყობილი მძღოლი მართავდა. ცოტა ხანში გაირკვა, რომ ავტომანქანა გატაცებული იყო, საჭესთან კი გამტაცებელი – 19 წლის ბორის ტურაშვილი იჯდა.

"მანქანა რამდენიმე საათის წინ თბილისიდან, დიდუბის ერთ-ერთი რაიონიდან გავიტაცე, პოლიციელის ფორმა იქვე, მანქანაში აღმოვაჩინე. ვიფიქრე, გზაზე პრობლემა რომ არ შემექმნას, პოლიციელობანას გავითამაშებ მეთქი", - ასეთი ჩვენება მისცა სამართალდამცველებს ბორის ტურაშვილმა.

ჩვენი ინფორმაციით, ტურაშვილი ცხინვალელი დევნილია და ოს კრიმინალებთან არის "შეკრული". გუშინ, დაკითხვისას, მან იმ ოსი კრიმინალების სახელები და გვარები დაასახელა, რომლებთან ერთადაც, დიდი ხნის განმავლობაში, ავტომანქანების გატაცება-გაყიდვით იყო დაკავებული.

"ამ დროისთვის უკვე დადგენილია ტურაშვილის დანაშაულებრივი კავშირი ოს კრიმინალებთან. ისიც გაირკვა, რომ გუშინდლამდე, ანუ დაკავებამდე, მან თბილისიდან გატაცებული ოთხი ავტომანქანის გადაყვანა მოახერხა ცხინვალში სარეალიზაციოდ. გამოძიება კიდევ ბევრ საინტერესო ფაქტს ახდის ფარდას. ტურაშვილის ჩვენებიდან გამომდინარე, დასაშვებია, იმ ქართულ-ოსურ კრიმინალურ დაჯგუფებებზე გავიდეთ, რომლებიც სისტემატურად აყაჩაღებენ, ძარცვავენ და სასტიკად ექცევიან მოსახლეობას. ისინი, ძირითადად, გატაცებული ავტომანქანების ბიზნესით არიან დაკავებულები. გარდა ამისა, მათთვის არანაირ სირთულეს არ წარმოადგენს შეიარაღებული თავდასხმები, რაც ხშირ შემთხვევაში, მკვლელობით მთავრდება. ერთი სიტყვით, პოლიციელის ფორმაში გამოწყობილი დამნაშავის დაკავების ფაქტი, და მისი აღიარებითი ჩვენებები ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მომხდარ მრავალ დანაშაულს ნათელს მოჰფენს, გამოაშკარავდებიან ის ქართველი დამნაშავეებიც, რომლებიც ოს კრიმინალებთან ერთად, აქამდე უპრობლემოდ მოღვაწეობდნენ", - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსმა ალეკო სუხიტაშვილმა

24 საათი

IFC ქართული საწარმოების ინვესტირებას გეგმავს

ნინო ნარჩემაშვილი

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ (IFC), რომელიც საქართველოში 1995 წლიდან მუშაობს და ამ პერიოდის განმავლობაში ქვეყნის ფინანსურ, ინფრასტრუქტურის, ენერგეტიკისა და სამრეწველო სექტორებში განხორციელებული პროექტების სახით ას მილიონ აშშ დოლარზე მეტი თანხის ინვესტირება მოახდინა, მიმდინარე წლის გაზაფხულზე ახალი ხუთწლიანი პროგრამა წამოიწყო. კერძოდ, IFC უშუალოდ აფინანსებს მცირე და საშუალო საწარმოებს. ამ მიზნით, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია საკრედიტო ხაზებით უზრუნველყოფს სამ წამყვან ქართულ ბანკს (თიბისი ბანკი, საქართველოს ბანკი და პროკრედიტბანკი). საქართველოს ბიზნესის განვითარების პროექტი კანადის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (CIDA) მხარდაჭერით ხორციელდება და მოიცავს, აგრეთვე, ლიზინგის სექტორის განვითარებას, ეს კი, როგორც მსოფლიო ბანკში გამართულ პრესკონფერენციაზე პროექტის მენეჯერმა, ფრენკ ლივერმ განაცხადა, ქართული მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის ამ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანია. მისივე თქმით, IFC ტრეინინგებით უზრუნველყოფს საქართველოში არსებულ სალიზინგო კომპანიებს. დღეს კი, პროექტის ფარგლებში ორდღიანი სემინარი დაიწყებს მუშაობას.

აღსანიშნავია, რომ კორპორაცია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტის დაფინანსების საკითხს განიხილავს. ფრენკ ლივერის განცხადებით, ამ მიმართულებით მუშაობა უკვე დაწყებულია - ხორციელდება მცირე და საშუალო კომპანიებისა და ადგილობრივი თემის განვითარების პროგრამები.

საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ცნობით, 4-6 სექტემბერს პოლონეთის ქალაქ კრინიცაში მე-13 საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმი ჩატარდა. მასში მონაწილეობა მიიღო 30 ქვეყნის წარმომადგენელმა. ფორუმს პირველად დაესწრო საქართველოს დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე დავით აფციაური, ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრის მოადგილე გიორგი მეძმარიაშვილი და ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის მოადგილე ნუგზარ ბაბუაძე.

ფორუმის დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს ის, რომ მის გახსნას 4 ქვეყნის პრეზიდენტი დაესწრო – ბორის ტრაიკოვსკი (მაკედონია), სტეპან მესიჩი (ხორვატია), იონ ილიესკუ (რუმინეთი), ალექსანდრე კვაშნევსკი (პოლონეთი).

ბატონი დავით აფციაური გამოვიდა მოხსენებით სემინარზე – "ევროკავშირის პოლიტიკა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მიმართ". სემინარი მიჰყავდა იუზეფ ოლექსის – პოლონეთის რესპუბლიკის ყოფილ პრემიერ-მინისტრს, სეიმის ევროპის კომისიის თავმჯდომარეს.

24 საათი

ომბუდსმენის აპარატი პოლიციელთა დასჯას მოითხოვს

სახალხო დამცველის აპარატი, 20 წლის მალხაზ ჩხატუას ცემისა და სიტყვიერი შეურაცხყოფის გამო, პოლიციელთა დასჯას მოითხოვს.

სახალხო დამცველის რწმუნებულის რამაზ ნინუას ცნობით, სახალხო დამცველის აპარატის სწრაფი რეაგირების ჯგუფს ეს ინფორმაცია იპოდრომის ტერიტორიაზე მცხოვრებმა აფხაზეთიდან დევნილებმა აცნობეს.

შემთხვევის ადგილზე მივიდნენ რამაზ ნინუა და გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის განყოფილების უფროსის მოადგილე ხათუნა იოსაშვილი. მათ გაარკვიეს, რომ პოლიციელების მიერ შეურაცხყოფილი ახალგაზრდა 20 წლის მალხაზ ჩხატუა იყო. ავტომანქანის ქურდობაში ეჭვმიტანილი ჩხატუა 4 სექტემბერს სასამართლომ უდანაშაულოდ სცნო და დარბაზიდან გაათავისუფლა.

რამდენიმე დღის შემდეგ ჩხატუა თავის საცხოვრებელ სახლთან ახლოს, მეტროსადგურ „გოცირიძესთან" იმყოფებოდა, როდესაც მას პოლიციელები დაედევნენ. თვითმხილველთა თქმით, ჩხატუას პოლიციელები სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ.

სახალხო დამცველის აპარატმა შს სამინისტროს გენერალურ ინსპექციას წერილით მიმართა, რომელშიც დამნაშავე პოლიციელების გამოვლენასა და დასჯას მოითხოვს. **მედია-ნიუსი**

კახელები ხსნას პოლიტიკურ მატრიარქატში ხედავენ

გიორგი ასანიშვილი

კახეთის რეგიონში ნინო ბურჯანაძის საარჩევნო "მანევრები" გრძელდება. შაბათიდან მოყოლებული - დღემდე, ბლოკ "ბურჯანაძე-დემოკრატების" ლიდერმა უკვე მოიარა თელავის, ყვარლის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, ლაგოდეხის, საგარეჯოს რაიონები და მათში შემავალი სოფლები. ახლა ჯერი სიღნაღზეა.

ბესო გულაშვილის ფოტო

კახელები ბურჯანაძეს დედას პურით გაუმასპინძლდნენ.

პარლამენტის თავმჯდომარისა და მისი თანაგუნდელების საარჩევნო კამპანია ერთი თავისებურებით გამოირჩევა. აქამდე თითქმის ყველა პარტიის წინასაარჩევნო სტრატეგია დაპირებებზე და, შესაბამისად, უფრო ხშირად ამომრჩეველთა მოტყუება-გაცურებაზე იყო აგებული. ვინც უფრო "მაღალ ოქროს მთებს" შეჰპირდებოდა ელექტორატს და ნათელ ფერებში დახატავდა მომავალს, ხალხი ხმებს იმას აძლევდა.

ასეთ პოლიტიკას თავისი "შესაძლებლობები" ბოლომდე არ ამოუწურავს. დღემდე მას არაერთი პოლიტიკური გუნდი მიმართავს.

ბურჯანაძე და "დემოკრატები" ამ გზას გაემიჯნენ. **"არ მინდა, ჩემს შვილს ვინმემ წამოაძახოს, ჩამოვიდა დედაშენი, ცრუ დაპირებები მოგვცა და მოგვატყუაო"**, - ქართულ პოლიტიკაში გაბატონებული სიყალბის, უზნეობის სტერეოტიპების დამსხვრევასა და "მოყვარეს პირში უძრახეს" პრინციპის დამკვიდრებას ითხოვს ყველგან პარლამენტის თავმჯდომარე. ზემოქედელებთან, მაჩხაანელებთან, ჭაბუკიანელებთან და სხვა სოფლების მოსახლეობასთან შეხვედრების დროს, ნინო ბურჯანაძე ამჯობინებდა ადამიანებისთვის მწარე სიმართლე ეთქვა და ისინი ილუზიებით არ ეკვება.

"ნუ დაუჯერებთ იმას, ვინც გპირდებათ, რომ უცაბედად აგაშენებთ. სამ-ოთხ თვეში ამ ქვეყანას ფეხზე ვერავინ დააყენებს. დაგროვილი უამრავი პრობლემის მოგვარებას დიდი დრო სჭირდება", – არწმუნებს ყველას ნინო ბურჯანაძე და მოუწოდებს ხალხს, გულს ნუ გაიტეხენ და ყველაფერზე ხელს ნუ ჩაიქნევენ.

კახეთში "ბურჯანაძე-დემოკრატების" წინასაარჩევნო კამპანიის ლაიტმოტივად შეიძლება ჩაითვალოს, აგრეთვე, დაუწერელი ლოზუნგი "ყველანი არჩევნებზე". ოპოზიციური ბლოკის ლიდერი მოუწოდებს მოსახლეობას, ნებისმიერ ვითარებაში დაიცვას თავისი ხმები. **"ერთი დღე გაიჭირვეთ, ყურადღებით იყავით, რომ საარჩევნო ყუთები არ მოიტაცონ და ისინი არ შეცვალონ. აუცილებლად მიდით არჩევნებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელისუფლება თვითონ ჩაყრის ბიულეტენებს და ხელში ისევ ხაზარაძე და რჩეულიშვილი შეგრჩებათ. 2 ნოემბერს საღამოს დარჩენა სირცხვილი უნდა იყოს"**, - სამოქალაქო აქტივობას ითხოვს კახელებისგან პარლამენტის თავმჯდომარე.

ამასთან, ბურჯანაძე აღშფოთებულია იმ თვითნებობით, რასაც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები პერიფერიებში კანონების მიმართ იჩენენ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პარლამენტს მიღებული აქვს შესაბამისი კანონები, კახეთის თითქმის ყველა სოფელში მოსახლეობა შესჩიოდა სპიკერს, რომ მიწის გადასახადზე დამატებით საურავს მაინც ახდევინებენ. გაყინულ პენსიებს მიწის გადასახადში არ უთვლიან და მის გადახდას ითხოვენ. კანონით გათვალისწინებული შეღავათებით ვერ სარგებლობენ მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები და ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპული მებრძოლების ოჯახები.

კახეთში ყოფნისას ნინო ბურჯანაძე საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მთელ საქართველოში ერთი და იგივე პრობლემებია. უშუქობა, უხელფასობა, უპენსიობა, უგზოობა, უწყლობა... ყველა ისინი, საბოლოო ჯამში, მოსახლეობის უდიდესი ნაწილის უკიდურეს გაჭირვებაში აისახება.

"შვიდი წელია, ერთი შარვალი მაცვია. ხუთი წელია – ერთი "საროჩკა". "ნასკები" არა მაქვს და "ტუფლს" შიშველ ფეხებზე ვატარებ", - ცრემლები აღრჩობდა პარლამენტის თავმჯდომარესთან მოსაუბრე ერთ-ერთ ჭარმაგ მამაკაცს.

"**ოცი კაპიკი არ მაქვს, რომ შვილიშვილს ვაჩუქო. აბა, ახლა მე კაცი ვარ? ჩემს სიცოცხლეს ფასი აქვს?"**, – ხმააკანკალებული ჩიოდა ოთხმოცი წლის ბერიკაცი.

კახელებს ისიც კარგად მოეხსენებათ, საიდან იღებს სათავეს მათი უბედურება.

უსამართლობა და უკანონობა – ეს ის "ვეშაპებია", რომელსაც ქართული დემოკრატია ეყრდნობა. **"შირაქის ველზე თბილისელი ბოძოლები 500-700 ჰექტარ ნაყოფიერ მიწებს ეპატრონებიან და ადგილობრივ მოსახლეობას მოჯამაგირეებად იყენებენ მაშინ, როდესაც ამ ხალხისთვის ერთი-ორი ჰექტარის გამოყოფა პრობლემად ქცეულა"**, - აღშფოთებით მიმართავდნენ დედოფლისწყაროელები ბურჯანაძეს.

თავის მხრივ, პარლამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრაზე მისული ადამიანები დიდი ინტერესით ისმენდნენ სპიკერის გულისტკივილს.

"სად არის მხარის გუბერნატორი? სად არიან რაიონების გამგებლები? ნუთუ ისინი თან არ უნდა ახლდნენ პარლამენტის თავმჯდომარეს და არ უნდა მოისმინონ, რა აწუხებს ხალხს? თანხლებას ვინ ჩივის, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს ჩემთვის სალმის მოცემის და ხელის ჩამორთმევისაც კი ეშინიათ, რადგან ამის გამო შეიძლება, თანამდებობა დაკარგონ", - თანმხლებ ამალაში აღმასრულებელთა არყოფნას ასე ხსნის ბურჯანაძე. მისივე თქმით, ერთი გამგებელი, რომელმაც დახვედრა გაბედა, ეხვეწებოდა ჟურნალისტებს, ტელეკამერები ნუ გადამიღებენ, პრობლემები შემექმნებაო.

ამასთან, სპიკერისთვის "გაუგებარია", რატომ არის მთავრობა ხელშეუხებელი და რატომ ხდება, რომ დამნაშავე მინისტრებს, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ნაცვლად, პრეზიდენტი ახალ სავარძელში გადასვამს ხოლმე.

"თუ ფეხბურთელი ფორმაში არ არის და ცუდად თამაშობს, მწვრთნელს მოედანზე არ გაჰყავს. ასევე, თუ მსახიობი როლს კარგად ვერ ასრულებს, ამ როლზე არ ამტკიცებენ. ჩვენი მთავრობა კი, იმის მიუხედავად, რომ მოვალეობას თავს ვერართმევს, აუღებელი სიმაღლე და უცვლელი სიდიდეა", - აცხადებს ბურჯანაძე.

თავად ხელისუფლება კი, როგორც ჩანს, "პენსიაში გასვლას" არ აპირებს. ამის დასტურია თუნდაც ის განზრახვა, რომ საოლქო და საუბნო კომისიების თავმჯდომარეებად სახელისუფლებო ძალების წარმომადგენლები დაინიშნენ. ამ ინფორმაციამ ნინო ბურჯანაძეს გუშინ ლაგოდეხელთა წინაშე გამოსვლის წინ მოუსწრო. **"თუ ნანა დევდარიანი ამ განზრახვას მხარს დაუჭერს და კომისიების თავმჯდომარეებად მხოლოდ სახელისუფლებო ძალების წარმომადგენლებს დაამტკიცებს, მთელი პასუხისმგებლობა მას დაეკისრება"**, - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

არადა, თავისი მსახვრალი ხელი ხელისუფლებამ მთელს საქართველოს დაატყო. ამ "ხელის" ანაბეჭდები განსაკუთრებით კარგად ჩანს ბორჯომის მარშრუტის უსაფრთხოებაზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ ყველა შემოთავაზებულ პროექტს შორის, ყველაზე მეტად ევრობანკის ექსპერტებს ბორჯომის მარშრუტი აკმაყოფილებთ, როგორც გარემოსდაცვითი, ასევე სოციალური უსაფრთხოების თვალსაზრისით.

და ბოლოს: ევრობანკის წარმომადგენელთა შეფასებით, იმ შემთხვევაში, თუ ევრობანკი პროექტის დაფინანსებას გადაიფიქრებს, "საუკუნის პროექტს" მხოლოდ მახვილი თვალი მოაკლდება: **"ბაქო-თბილის-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის პროცესის მონიტორინგისთვის სპეციალური ჯგუფები შეიქმნება,"** – განაცხადა ევრობანკის აზერბაიჯანის ოფისის ხელმძღვანელმა ტომას მოზერმა. მისი თქმით, ამ ჯგუფებში შევლენ ევრობანკის, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის თანამშრომლები და მათ მიერ დაქირავებული დამოუკიდებელი ექსპერტები, რომლებიც პროექტის განხორციელებას, მის იურიდიულ, გარემოსდაცვით და ტექნიკურ საკითხებს გააკონტროლებენ. "უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში კი, ანუ თუ ბანკმა პროექტის დაფინანსებაზე უარი განაცხადა, მის განხორციელებას ჩაშლის საფრთხე არ ემუქრება, ვინაიდან ამ თანხას თავად პროექტის მონაწილე ნავთობკომპანიები მოიძიებენ.

მასობრივი გაქცევა ციხიდან

ირველი გვერდიდან

ადგილობრივი განათების პირობებში, კოლონიაში დარჩენილ მსჯავრდებულთა რამდენჯერმე გადათვლის შემდეგ გაქცეულთა რიცხვი ჯერ ასამდე გაიზარდა, მოგვიანებით კი ზუსტი რაოდენობა დადგინდა - 128. როგორ და რანაირად მოხვდა ასზე მეტი განსაკუთრებით მძიმე დამნაშავის ხელში იარაღი, ეს გუშინ გვიან ღამემდე გაურკვეველი იყო. რაც მომხდარიდან რამდენიმე წუთშივე ნათელი გახდა, ისაა, რომ განსაკუთრებით საშიშ დამნაშავეთა გაქცევა წინასწარ დაგეგმილი და ორგანიზებული იყო.

სამართალდამცველებმა გაქცეულთაგან 15 პატიმრის დაკავება მოახერხეს; ერთი თავად ჩაბარდა პოლიციას. რა ჩვენებებს მისცემენ ისინი გამოძიებას, წინასწარ ძნელი სათქმელია. ისიც ძნელი სათქმელია, გარკვევა თუ არა ოდესმე ვის აწყობდა და ვისი ორგანიზებული იყო მძიმე დანაშაულებისთვის რამდენჯერმე გასამართლებულთა ციხის გარეთ ყოფნა. ფაქტი ერთია, გუშინდელი შემთხვევა მართლაც განსაკუთრებულია. რუსთავის მკაცრი რეჟიმის კოლონია, სადაც ათასამდე საშიში დამნაშავე იხდის სასჯელს, გუშინ უპრობლემოდ შეთხელდა.

"ჭიათურმანგანუმში" დაჭრები გრძელდება

ირველი გვერდიდან

შეგახსნებთ, რომ უშიშროების სამინისტრომ უკვე დააპატიმრა საწარმოს რეაბილიტაციის მმართველი გოგი ღეჟავა და მთავარი ბუღალტერი სერგო გოგოლაძე.

"ჭიათურმანგანუმში" არსებულ ფინანსურ დაღვევებთან დაკავშირებით, დაიკითხა ფინანსთა მინისტრის ამჟამინდელი მოადგილე და საგადასახადო დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე ლევან ჩრდილელი. უშიშროების სამინისტრო მას საწარმოში მიმდინარე ნეგატიური პროცესებისადმი გულგრილ დამოკიდებულებაში ადანაშაულებს.

გავრცელებული ინფორმაციით, წინასაარჩევნოდ დაწყებულ ფინანსურ გადანაწილებაში სტრატეგიული დანიშნულების საწარმო "ჭიათურმანგანუმიც" მოყვა. საქართველოში არსებული სტრატეგიული მნიშვნელობის ხუთი ობიექტიდან "ჭიათურმანგანუმი" ერთადერთია, რომელიც, ჯერჯერობით, სახელმწიფოს კუთვნილებაა. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, "ჭიათურმანგანუმთან" დაკავშირებით, უმაღლესი ხელისუფლების მიერ გაცემულია ბრძანება, რომლის სცენარიც შემდეგნაირად გამოიყურება: უშიშროების სამინისტრო დააპატიმრებს საწარმოს ყველა ხელმძღვანელ პირს, რითიც სამუშაო რიტმს ჩააგდებს, ანუ, "ჭიათურმანგანუმი" ცოტა ხნით დაიხურება. "საწარმოს ბოქლომი დაედება," – ამ თემაზე საუბრისას ასეთ ხუმრობანარევ პასუხს იძლევიან სამართალდამცველები. საწარმოს ხელმძღვანელებზე "შტურმის" შედეგად პარალიზებული "ჭიათურმანგანუმი", რომელიც მთელი ჭიათურის რაიონის ერთადერთი სასიცოცხლო არტერიაა, იმ კლანის მფლობელობაში გადავა, რომელიც მის ხელში ჩასაგდებად ახლა იბრძვის. არსებული ინფორმაციით, ამ ფინანსურად უძლიერეს კლანს, ხელისუფლების წარმომადგენლები მფარველობენ.

სხვათა შორის, საწარმოს გაყიდვის შესახებ უკვე ხმამაღლა განაცხადა ქონების მართვის სააგენტოს თავკაცმა სოლომონ პავლიაშვილმა და თავად პრეზიდენტმა შევარდნაძემაც.

300 მილიონი დოლარი "საუკუნის პროექტისათვის"

ბაქო-თბილის-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის დასაფინანსებლად ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი 300 მილიონი დოლარის გამოყოფას გეგმავს.

მაია ურუშაძე

"ჩვენ, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან ერთად, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის განხილვა დავასრულეთ. იმის გათვალისწინებით, რომ ოპერატორ ნავთობკომპანიებს პროექტში სამი მიმართულებით: ფინანსური, იურიდიული და გარემოსდაცვითი კუთხით გარკვეული ცვლილებების შეტანა მოვთხოვეთ, ჩვენ ამ ეტაპზე პროექტს ვიწონებთ. ახლა საჯარო განხილვის ეტაპი დაიწყო. 120 დღის განმავლობაში მივიღებთ შენიშვნებს საზოგადოებისგან, ხოლო შემდგომ კი ბანკის დირექტორთა საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას თანხის გამოყოფის თაობაზე," – განუცხადა გუშინ ჟურნალისტებს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის წამყვანმა ბანკირმა შარლოტ ფილიპსმა. მისი შეფასებით, იმისათვის, რომ თანხის გამოყოფას ბანკის ხელმძღვანელობამ მწვანე შუქი აუნთოს, მხოლოდ საზოგადოებრივი აზრის კეთილგანწყობაღა დარჩა.

თუ ევრობანკმა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობისთვის 300 მილიონი დოლარის ოდენობის კრედიტი გამოყო, ამ თანხიდან 150 მილიონი დოლარი ბანკის 12-წლიანი კომერციული კრედიტი იქნება, დამატებით 150 მილიონ დოლარს კი სხვა საფინანსო სტრუქტურებში მოიძიებენ.

როგორც ევრობანკის საქართველოს წარმომადგენლობის პრესმდივანმა ქეით დანმა განაცხადა, ნავთობსადენის შესაძლო დაზიანების რისკი ძალზე დაბალია და ნავთობის დაღვრას მხოლოდ ადამიანის ჩარევა თუ გამოიწვევს. **"უკვე ორჯერ გვქონდა შემთხვევა, როცა ცალკეულმა პირებმა ბაქო-სუფსის მოქმედი მილსადენის გახვრეტა და მასზე ონკანების დაყენება გადაწყვიტეს, ასე რომ, ეს ჩვენთვის უცხო არ არის,"** – განაცხადა დანმა. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენზე მსგავსი შემთხვევებისა თუ მიზანმიმართული დივერსიის თავიდან ასაცილებლად მილსადენის მთელ მარშრუტზე საგანგებო პატრული იმოძრავებს.

ევრობანკის გარემოს დაცვის საკითხების სპეციალისტმა დარიუს პრაშეკმა კი ბორჯომის მარშრუტის უსაფრთხოებაზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ ყველა შემოთავაზებულ პროექტს შორის, ყველაზე მეტად ევრობანკის ექსპერტებს ბორჯომის მარშრუტი აკმაყოფილებთ, როგორც გარემოსდაცვითი, ასევე სოციალური უსაფრთხოების თვალსაზრისით.

და ბოლოს: ევრობანკის წარმომადგენელთა შეფასებით, იმ შემთხვევაში, თუ ევრობანკი პროექტის დაფინანსებას გადაიფიქრებს, "საუკუნის პროექტს" მხოლოდ მახვილი თვალი მოაკლდება: **"ბაქო-თბილის-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის პროცესის მონიტორინგისთვის სპეციალური ჯგუფები შეიქმნება,"** – განაცხადა ევრობანკის აზერბაიჯანის ოფისის ხელმძღვანელმა ტომას მოზერმა. მისი თქმით, ამ ჯგუფებში შევლენ ევრობანკის, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის თანამშრომლები და მათ მიერ დაქირავებული დამოუკიდებელი ექსპერტები, რომლებიც პროექტის განხორციელებას, მის იურიდიულ, გარემოსდაცვით და ტექნიკურ საკითხებს გააკონტროლებენ. "უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში კი, ანუ თუ ბანკმა პროექტის დაფინანსებაზე უარი განაცხადა, მის განხორციელებას ჩაშლის საფრთხე არ ემუქრება, ვინაიდან ამ თანხას თავად პროექტის მონაწილე ნავთობკომპანიები მოიძიებენ.

ორი სიტყვით

თბილისი. საქართველოს უზენაეს სასამართლოში გუშინ "საქგაზის" და ფასების სახელმწიფო ინსპექციის დასკვნითი სასამართლო პროცესი გაიმართა. ფასების სახელმწიფო ინსპექცია "საქგაზს" ბიუჯეტის სასარგებლოდ 5 მილიონ 634 ათას 764 ლარს ედავება. ამ თანხის ჯარიმის სახით გადახდა "საქგაზს" მას შემდეგ დაეკისრა, რაც ფასების სახელმწიფო ინსპექციამ 2000-2001 წლებში მისი შემოწმების შედეგად დარღვევები აღმოაჩინა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. "საქართველოს ლეიბორისტულმა (შრომის) პარტიამ" გუშინ სემეკის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა. პარტია ბუნებრივი აირის ტარიფის გაიაფებას მოითხოვს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო "USAID"-ი საქართველოში ახალ პროექტს - "საქართველოს საწარმოო ზრდის ინიციატივა" (GEGI) - განახორციელებს, რომელიც თავისუფალი საბაზრო გარემოს შექმნას, საფინანსო ინფრასტრუქტურის განვითარებასა და საწარმოთა ზრდის ტემპის დაჩქარებას ითვალისწინებს. პროექტის ღირებულება 45 მილიონ დოლარს შეადგენს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. თურქეთის ორი მოქალაქე, რომლებიც თბილისი-ფრანკფურტის რეისზე მოხვედრას ცდილობდნენ, ქართველმა მესაზღვრეებმა თბილისის აეროპორტში დააკავეს.

სასაზღვრო დეპარტამენტის პრესსამსახურის უფროსის შალვა ლონდარიძის განცხადებით, ინციდენტთან დაკავშირებით მიმდინარეობს ძიება. გამოძიება მოიკვლევს, ჰქონდათ თუ არა კავშირი დაკავებულებს ტერორიზმთან ან უკანონო მიგრაციასთან.

ერთი კვირის წინ, ამავე რეისზე, ასევე ყალბი დოკუმენტებით მესაზღვრეებმა თურქეთისა და ბულგარეთის ორი მოქალაქე დააკავეს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

რუსთავი. რუსთავისა და გარდაბნის რაიონებში პოლიციის უფროსები შეიცვალნენ. რუსთავის პოლიციის უფროსს ნიკო ჯაფარიძეს თანამდებობა რამდენიმე დღის წინ დაატოვებინეს, ოფიციალური მიზეზი ჯერ არ დასახელებულა. ამ პოსტზე იგი ჯაფარიძის ყოფილმა მოადგილემ დავით მჭედლიშვილმა შეცვალა.

რაც შეეხება გარდაბნის რაიონის პოლიციის უფროსის ავთანდილ ლორთქიფანიძის მიერ გათავისუფლებულ სავარძელს, იგი ასევე ყოფილმა მოადგილემ შოთა თუშიშვილმა დაიკავა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. რუსეთში, დაახლოებით, 4 მლნ ნარკომანია, რაც ქვეყნის მოსახლეობის 3 პროცენტს შეადგენს. ამის შესახებ სამშაბათს რუსეთის ნარკოტიკული საშუალებების კონტროლის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ვიქტორ ჩერკესოვმა კოლეგიის სხდომაზე განაცხადა. სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელის აზრით, ბოლო 10 წლის განმავლობაში ქვეყანაში ნარკომანთა რიცხვი 9-ჯერ გაიზარდა, ხოლო ნარკოტიკებთან დაკავშირებულ დანაშაულობათა რაოდენობა - 15-ჯერ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. შს სამინისტროსთან არსებული ეკოლოგიური პოლიციის ბრაკონიერობის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველო უფლებამოსილების გაზრდას ითხოვს.

სამმართველოს უფროსის ზაზა სესიტაშვილის განცხადებით, მათ საშუალება არ აქვთ, შავ ზღვაზე უკანონო თევზჭერის ფაქტები გამოავლინონ. ეს ფუნქციები, მოქმედი კანონის შესაბამისად, საზღვრის დაცვის დეპარტამენტისა და გარემოს დაცვის სამინისტროს კომპეტენციაში შედის. 2002 წლიდან დღემდე აღნიშნულ უწყებებს სამართალდარღვევის არც ერთი ფაქტი არ გამოუვლენიათ. არადა, სესიტაშვილის ინფორმაციით, შავ ზღვაში თურქული, უკრაინული და სხვა ქვეყნის გემები თევზის უკანონო მოპოვებითა არიან დაკავებულები. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. "საქართველოს ადვოკატთა პარტია ყველა მეთოდს გამოიყენებს და ადვოკატებისთვის ტესტირების ჩატარებას არ დაუშვებს. პრეზიდენტმა შევარდნაძემ იუსტიციის საბჭოში მდივნად სტალინიც რომ დანიშნოს, ტესტირების ჩატარებას მაინც ვერ მოახერხებს. ადვოკატებმა არ უნდა მიიღონ მონაწილეობა ედუარდ შევარდნაძის მიერ დანიშნულ და იუსტიციის საბჭოს მიერ მომზადებულ ტესტირებაში, რადგან ეს უწყება მექრთამეებითაა სავსე", – აცხადებს „საქართველოს ადვოკატთა პარტიის" თავმჯდომარე ქართლოს ღარიბაშვილი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

გორი. შიდა ქართლის შს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა გორის რაიონის სოფელ არაშენდაში ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მცენარის ნათესები აღმოაჩინეს. სამართალდამცავები ვარაუდობენ, რომ მალხაზ კობაძე, რომლის საცხოვრებელი სახლის ეზოშიც იპოვეს ნათესები, მარიხუანას რეალიზაციას ეწეოდა. კობაძე ამჟამად დაკავებულია. დაკავებისას კობაძე ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ არ იმყოფებოდა. **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო:

ორი სიტყვით

ლაგოდეხი. ლაგოდეხის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი დავით კაპანაძე მომავალ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას აღარ აპირებს და სრულ მხარდაჭერას უცხადებს სახელისუფლებო ბლოკის კანდიდატს, უშიშროების მინისტრის მოადგილეს ლაშა ნაცვლიშვილს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერები სექტემბრის შუა რიცხვებისთვის ამერიკიდან პარტიის ეკონომიკური პროგრამის ავტორის გიორგი მაისაშვილის ჩამოსვლას ელოდებიან. მაისაშვილი ამერიკიდან თბილისში წიგნად დაბეჭდილ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წინასაარჩევნო პროგრამას ჩამოიტანს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. "საბერძნეთის კომუნისტური ახალგაზრდობის" ორგანიზაციამ საქართველოს კომკავშირის ლიდერი თემურ ფიფია 18-21 სექტემბერს ათენში მიიწვია, სადაც საერთაშორისო ახალგაზრდული ფესტივალი გაიმართება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. "ილია ჭავჭავაძის საზოგადოება" 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს. "საზოგადოების" ლიდერის თამარ ჩხეიძის თქმით, საპარლამენტო არჩევნები არადემოკრატიულად ჩატარდება და იქნება ტოტალური გაყალბება, პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო კამპანია კი ყმაწვილურად ნაშოვნ ფულზეა აგებული, რაც თავისთავად პარტიათა თანასწორობის პრინციპს არღვევს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ხუთი რუსი სამხედრო მოსამსახურე, რომლებიც ერთი კვირის წინ, დასავლეთ საქართველოში სახელმწიფო საზღვრის დარღვევისა და საქართველოს ტერიტორიაზე ავტომობილის საწვავის უკანონოდ გადატანის გამო დააკავეს, თბილისში რუსეთის საელჩოს თავდებით გაათავისუფლეს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

ერევანი. სომხეთის ეროვნულმა კრებამ ოთხშაბათს "საქართველოსა და სომხეთს შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთუსაფრთხოების შესახებ ხელშეკრულების" რატიფიცირება მოახდინა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. "ტრადიციონალისტთა კავშირის" ბლოკ „ბურჯანაძე-დემოკრატებთან" გაერთიანების პრეზენტაცია, სავარაუდოდ, დღეს-ხვალ გაიმართება. „ტრადიციონალისტები" მიიჩნევენ, რომ ეს ღონისძიება "ზარზეიმით აღნიშვნას" იმსახურებს, რადგან ეს ნიშნავს დიდი ოპოზიციური გაერთიანების პროცესის დაწყებას, რომელმაც ქვეყანა შექმნილი უბედურებიდან უნდა გამოიყვანოს. "ტრადიციონალისტები" არ გამორიცხავენ, რომ ბლოკ "ბურჯანაძე-დემოკრატებს" რამდენიმე დღეში "ახალი მემარჯვენეებიც" შეუერთდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თელავი. "ბურჯანაძე-დემოკრატებმა" თელავის რაიონში ბლოკის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე ზურაბ არსენიშვილზე, როგორც მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატზე, გაკეთებული არჩევანი შეცვალეს. მაჟორიტარ კანდიდატად საზოგადოებას მათ ოფიციალურად ქალაქ თელავის საკრებულოს და კახეთის საკრებულოთა ასოციაციის თავმჯდომარე, "მოქალაქეთა კავშირის"ყოფილი წევრი გელა კირვალიძე წარუდგინეს. არსენიშვილი კახეთში ბლოკის წინასაარჩევნო კამპანიას უხელმძღვანელებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

რუსთავი. სახელისუფლებო ბლოკმა გუშინ რუსთავში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად ს/ს "რუსთავცემენტის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე გიორგი სალაყაია დაასახელა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეების დანიშვნასთან დაკავშირებით შექმნილი პრობლემების გასარკვევად ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენლები ეუთო-ს მისიის წარმომადგენელს პოლ ოგრეიდის შეხვდნენ. "ლეიბორისტების" განცხადებით, საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებად სახელისუფლებო ძალების წარმომადგენელთა დანიშვნა ქვეყანაში დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას საფრთხეს შეუქმნის. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

ფოთი. "ნაციონალური მოძრაობის" ფოთის ორგანიზაციის წარმომადგენლებმა გუშინ საოლქო საარჩევნო კომისიის შენობასთან გამაფრთხილებელი საპროტესტო აქცია გამართეს. "ნაციონალების" პროტესტი N70 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ დავით სვანიძის კანდიდატურის წარდგენას უკავშირდება. ფოთელი "ნაციონალების" მტკიცებით, სვანიძემ 2002 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები გააყალბა და სანაცვლოდ, მერიის აპარატის უფროსის თანამდებობა მიიღო. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი თენგიზ კიტოვანი მოსკოვიდან თბილისში პარასკევს ბრუნდება, რათა 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს. იგი არჩევნებში მთაწმინდის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის კანდიდატად კენჭისყრას აპირებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. "თბილგაზმა" აბონენტთათვის გაზმომარაგების აღდგენა დაიწყო. როგორც "თბილგაზში" განაცხადეს, ამჟამად ბუნებრივ აირს ისნის, სამგორისა და კრწანისის რაიონების მოსახლეობა იღებს. გაზმომარაგების სრულ აღდგენას კომპანიაში მიმდინარე კვირის ბოლომდე ვარაუდობენ. საერთაშორისო ენერგეტიკულმა კომპანია "იტერამ", აგვისტოს თვეში მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურის გადაუხდელობის გამო, თბილისს გაზმომარაგება გასული კვირის ბოლოს შეუწყვიტა. **ინტერ-პრესი**

ცესკო ოპოზიციას აერთიანებს

პირველი გვერდიდან

როგორც "დემოკრატები" აცხადებენ, ამის თაობაზე მათ საქმეში კარგად ჩახედულმა ადამიანმა ამცნო, რომლისთვისაც ცესკო უცხო გარემო ნამდვილად არ არის. ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაციით, თავიდან "ნაციონალები" "დემოკრატებს" ქუჩის აქციების მოწყობას სთავაზობდნენ, რის შესახებაც ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადებდნენ. ასეთი წინადადება "დემოკრატებს" ჭკუაში არ დაუჯდათ. საბოლოოდ, ოპოზიცია მოსალოდნელი საფრთხის შესახებ საზოგადოების ცალ-ცალკე გაფრთხილებაზე შეთანხმდა. საქმის კურსში, "დემოკრატების" ინფორმაციით, გუშინ საქართველოში ეუთო-ს წარმომადგენლებიც ჩააყენეს, რომლებიც ამ საკითხზე დევდარიანთან სერიოზულ საუბარს გეგმავენ. **"ცესკო-ს თავმჯდომარე სახელისუფლებო ბლოკისაგან დიდ ზეწოლას განიცდის. ნანა დევდარიანს დღეს აქვს შანსი, საკუთარი მიუკერძოებლობა დაამტკიცოს, იმ შემთხვევაში, თუ სახელისუფლებო ბლოკს ყველა ოლქში თავის კანდიდატებს არ დაანიშვნინებს,"** - ასეთი აზრი აქვთ "დემოკრატებს."

ეკატერინე ფოფხაძე

არჩევნების გაყალბების საფრთხით შეშფოთებულმა გოკა გაბაშვილმა და გიგი წერეთელმა სპეციალური პრესკონფერენცია გამართეს.

საოლქო კომისიების თავმჯდომარეები ოპოზიციის შეშფოთებას იწვევენ

პირველი გვერდიდან

ვიდრე ცესკო-ს თავმჯდომარე საოლქო კომისიის თავმჯდომარეებს დაამტკიცებდა, რამდენიმე პარტიამ გამაფრთხილებელი ბრიფინგი და საპროტესტო აქცია მოაწყო. ისინი აცხადებდნენ, რომ წინასწარ ჰქონდათ ინფორმაცია ფართომასშტაბიანი გაყალბების სცენარის შესახებ. ეს, ძირითადად, გამოიხატებოდა იმაში, რომ საარჩევნო ოლქების უმრავლესობას ხელისუფლების წარმომადგენლები ან "მათთან დაახლოებული პირები" უხელმძღვანელებდნენ.

გუშინ დილიდანვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ქალბატონ დევდარიანს, ძველი ცესკო-ს მიერ მიღებული მე-11 დადგენილების საფუძველზე, სიები დასამტკიცებლად წარუდგინა ცესკო-ს ორმა მესამედმა. დადგენილების თანახმად, თუ ცესკო-ს ორი მესამედი ცესკო-ს თავმჯდომარეს კანდიდატებს წარუდგენს, იგი ვალდებულია, კანდიდატები დანიშნოს. "ორი მესამედის" პრინციპზე გუშინ მთელი დღის განმავლობაში საუბრობდნენ კულუარებში. ორი მესამედის მიერ კანდიდატების წარდგენა პრაქტიკულად დაადასტურეს სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენელმა ვახტანგ რჩეულიშვილმა და "მრეწველთა" ლიდერმა გოგი თოფაძემ. ნანა დევდარიანის მიერ გამოცემულ №034-07/2003 განკარგულებაში კი (რომლის საფუძველზეც ოლქების თავმჯდომარეები დაინიშნენ), მოტივაციად მითითებულია არა ძველი ცესკო-ს მე-11 დადგენილება, არამედ საქართველოს ორგანული კანონის - "საქართველოს საარჩევნო კოდექსის" - 128-ე პრიმა მუხლის მე-3 პუნქტი. თუ მოტივაციად მე-11 დადგენილება იქნებოდა, ოპოზიციური პარტიები, გასაჩივრების შემთხვევაში, პროცესს ძალიან ადვილად მოიგებდნენ, რადგან ამ დადგენილების უკანონობა და არადემოკრატიულობა ადვილი დასამტკიცებელი იქნებოდა.

"ლეიბორისტები", კერძოდ, მათი წარმომადგენელი ცესკო-ში ბადრი ნიაური პირდაპირ აცხადებს, რომ ხელისუფლებასა და ნანა დევდარიანს შორის გარიგება შედგა. "სამართლიანი არჩევნების" დირექტორი ზურაბ ჭიაბერაშვილი თავის პოზიციას შედარებით მოკრძალებული ფორმით გამოხატავს: **"მოხარული ვიქნებოდით, თუ ნანა დევდარიანი უფრო მეტ პრინციპულობას გამოიჩენდა. ჩვენ ტრაგედიას არ შევქმნით ამ ფაქტის გამო, მაგრამ ეს უნდა იყოს სერიოზული სიგნალი საზოგადოებისთვის: რომ საოლქო კომისიების ძირითადი ბირთვი იგივე რჩება, რაც წინათ იყო, საზოგადოებასაც და ჩვენს ორგანიზაციასაც მეტი სიფრთხილე და კონტროლი მართებთ... ვიმედოვნებთ, რომ ახალი ცესკო-ს შემდგომი ნაბიჯები უფრო პრინციპული იქნება."**

ოპოზიციის წარმომადგენლები გუშინვე, სიების გამოქვეყნებამდე და გაანალიზებამდე, ანუ თავმჯდომარეთა პერსონების საფუძვლიანად გაცნობამდე, უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ საოლქო კომისიის თავმჯდომარეთა დანიშვნა მოხდა არადემოკრატიულად, ერთპიროვნულად, ისე, რომ ცესკო-ს წევრებს არ მიეცათ საშუალება, საჯაროდ შეერჩიათ მათი კანდიდატურები, არ განხილულა ცესკო-ში შესული საჩივრებიც. უკვე წინასწარვე ცნობილია, რომ ორ რაიონში - ფოთსა და მარტვილში საოლქო კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნენ პირები, რომელთა მიმართ წინა არჩევნების გაყალბების თაობაზე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული.

ჩვენი ინფორმაციით, "ლეიბორისტებს" ოთხი წარმომადგენელი ჰყავთ საოლქო კომისიის თავმჯდომარის პოსტზე. იმასაც ამბობენ, რომ ხელისუფლების ეს ნაბიჯი ოპოზიციაში განხეთქილების ჩამოსაგდებად არის გათვლილი. ბლოკ "ბურჯანაძე-დემოკრატების" წარმომადგენელმა გიგი წერეთელმა წუხელ იმედი გამოთქვა, რომ ოპოზიცია გუშინდელი ფაქტის გამო კოორდინირებულად იმოქმედებს.

"სამართლიანი არჩევნების" წარმომადგენელი ნუგზარ კუპრეიშვილი აცხადებს, რომ წუხელ ქალბატონმა დევდარიანმა მასთან პირად საუბარში აღნიშნა: მე შეძლებისდაგვარად გავაკეთე ის, რასაც საკუთარი სინდისი მკარნახობდაო.

თავმჯდომარეთა მოადგილეების და მდივნების პოსტებს "აღორძინება" და "მრეწველები" გაიყოფენ. ისიც ნათელია, რომ საოლქო კომისიის თავმჯდომარეები ერთპიროვნულად ნიშნავენ საუბნო კომისიის თავმჯდომარეებს. ოპოზიციის განცხადებით, ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რათა გაყალბება მოახერხოს. "სამართლიანმა არჩევნებმა" წუხელ "შეშფოთების საფუძვლის" შესახებ ოფიციალურად განაცხადა და "24 საათს" ცესკო-ს თავმჯდომარის ნანა დევდარიანის "ნაკლებად პრინციპულობაზე" მიუთითა. **"წინასწარ იმის თქმა შეიძლება, რომ საოლქო კომისიების თავმჯდომარეთა უმრავლესობას წარმოადგენენ ის ადამიანები, რომლებიც საოლქო კომისიის თავმჯდომარეები ან მისი მოადგილეები იყვნენ წინა არჩევნების დროს. ეს ხალხი გამგებლებმა და საკრებულოებმა ხელახლა წარადგინეს, რაც მიუთითებს იმაზე, რომ საოლქო კომისიების ძირითად ბირთვს განსაზღვრავს ის ხალხი, რომელთა გამოც საქართველოში ჩატარებულ წინა არჩევნებზე დაფიქსირებულია გაყალბებები."**

ოპოზიცია და მესამე სექტორი საბოლოოდ, ალბათ, დღეისთვის ჩამოყალიბდებიან და კონკრეტულ გადაწყვეტილებებს მიიღებენ. წინასწარი ინფორმაციით, ისინი სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებენ.

უცნობი პატიოსანი ბიზნესმენი ცნობილი სახეების წინააღმდეგ

სოფო ბუკია

"უახლოეს დღეებში გლდანში დაიწყება გაზიფიკაცია... შევაკეთებთ გზებს... დავიწყებთ სკოლების კომპიუტერიზაციას... ჩვენი პრიორიტეტი მოსახლეობის დასაქმება იქნება..." – ეს მოკრძალებული ჩამონათვალია იმ წინასაარჩევნო დაპირებებისა, რაც გლდანელებმა ახმეტელის თეატრში გუშინ მოისმინეს.

გუშინ "ახლებმა" გლდანის მაჟორიტარ დეპუტატობის კანდიდატად თემურ გოცირიძე წარადგინეს. თემურ გოცირიძე საზოგადოებისთვის უცნობი სახეა, თუმცა გლდანელები მას კარგად იცნობენ, როგორც მეტრო "ახმეტელთან" მდებარე ბიზნეს-ცენტრ "მარიამის" მეპატრონეს. გოცირიძის ბიზნეს-ცენტრის, ერთ-ერთი სკოლისა და პოლიკლინიკის მონახულების შემდეგ, "ახლები" გლდანის მოსახლეობას ახმეტელის თეატრში შეხვდნენ და დეპუტატობის კანდიდატი ოფიციალურად გააცნეს. უუნარო ხელისუფლების ღირსეულ ალტერნატივად "ახალი მემარჯვენეები" დასახელდა, "ახლების" ლიდერები კიდევ ერთხელ შეეცადნენ მოსახლეობის დარწმუნებას, რომ ქვეყნის გარდაქმნისა და განახლების ერთადერთი რეალური ძალა არიან. დავით გამყრელიძე ამაყობს იმით, რომ მის პარტიას გლდანში პატიოსანი მეწარმე წარმოადგენს, რომელსაც მშობლიური რაიონის მოსახლეობა კარგად იცნობს. **"ბატონი თემური თავისი საქმიანობით ხელს უწყობს მცირე ბიზნესის განვითარებას. ის პროფესიონალი და პატიოსანი პიროვნებაა და ეს გლდანელებმა კარგად იციან,"** – აცხადებს "დასაქმების, აღმშენებლობისა და განახლების" 900 დღიანი პროგრამის ავტორი.

გრიშა ბეჭელიშვილი

დავით გამყრელიძე დარწმუნებულია თემურ გოცირიძის გამარჯვებაში.

თემურ გოცირიძე 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებშიც ღებულობდა მონაწილეობას, მაგრამ პარლამენტში ვერ მოხვდა. სწორედ ეს გაიხსენა გუშინ გამყრელიძემ: **"წინა საპარლამენტო არჩევნებზე გლდანში თემურ გოცირიძე ლიდერობდა, თუმცა ხელისუფლებამ არ ისურვა მისი პარლამენტარობა და ოქმები ტოტალურად გააყალბა. გოცირიძემ საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანა სარჩელი, სასამართლომ დადებითი გადაწყვეტილება გამოიტანა, მაგრამ სასამართლოს გადაწყვეტილება ხელისუფლებამ არაფრად ჩათვალა. ჩვენ არ დავუშვებთ, რომ პატიოსანი კაცი ამჯერადაც პარლამენტს მიღმა დარჩეს."**

"ექიმსა და წარმატებულ მეწარმე" გამყრელიძეს არ აშინებს გლდანის მაჟორიტარი დეპუტატობის სხვა კანდიდატები. **"ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ გავიმარჯვებთ,"** – აცხადებს იგი. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ გლდანელების გულის მონადირებას 2 ნოემბერს "ბურჯანაძე-დემოკრატი" ელენე თევდორაძე და "ნაციონალი "კობა დავითაშვილი შეეცდებიან, "ახლების" ოპტიმიზმს სერიოზული გამოცდა ელის. მით უმეტეს, რომ სახელისუფლებო ბლოკიდან გლდანელების ინტერესების პარლამენტში დაცვას თამაზ გიორგაძე აპირებს და აქვე იყრის კენჭს გურამ შარაძეც, თუმცა ეს ინფორმაცია არაოფიციალურია.

აუცილებელი განმარტება

დავით უსუფაშვილის წერილის პასუხად

თქვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში გამოქვეყნდა იურისტ დავით უსუფაშვილის წერილი სათაურით "რატომ უნდა ნიშნავდეს პრეზიდენტის ყოველი დიდგორი ქართველი ხალხის მორიგ კრწანისს?" წერილი ეხება 2 ნოემბერს პარლამენტის წევრთა რაოდენობის შემცირების საკითხზე დანიშნული რეფერენდუმის სამართლებრივ მხარეს და გამოთქმულია ეჭვი, რომ რეფერენდუმის ამ სახით და ამ ვადებში დანიშვნამ შეიძლება გამოიწვიოს საპარლამენტო და კონსტიტუციური კრიზისი, რომლის შედეგადაც "რუსთაველზე აღიმართება ბარიკადები", გამოჩნდებიან "ამბოხებული მასები", რომლებიც მოინდომებენ "უკანონო პარლამენტის გარეკვას". ერთი სიტყვით, შეიძლება რეფერენდუმის გამო აპოკალიფსური მომავლის წინაშე აღმოვჩნდეთ. ვინაიდან ჩვენ გახლავართ რეფერენდუმის დანიშვნის იდეის ავტორები და 218.000 ხელმოწერის შეგროვების საინიციატივო ჯგუფი, ამიტომ თავს ვალდებულად ვთვლით გავაკეთოთ რამდენიმე აუცილებელი განმარტება: ბ-ნი დავითის აპოკალიფსური შიშების მთავარი არსი იმაში მდგომარეობს, რომ "რეფერენდუმის შესახებ" კანონის მოთხოვნათა მიხედვით, თურმე მისი შედეგები აუცილებლად რეფერენდუმის ჩატარების მე-5 დღეს უნდა გამოქვეყნდეს, ხოლო ამ შედეგების გამოქვეყნების შემდეგ იგი უკვე ძალაში შესულად ითვლება. ვინაიდან არჩევნების შედეგების დათვლა 5 დღეში შეუძლებელია, ამიტომ რეფერენდუმის შედეგების ძალაში შესვლა უფრო ადრე მოხდება და დამარცხებული პარტიები ხალხს ქუჩაში გამოიყვანენ კანონიერი მოთხოვნით, რომ მოხდეს არა 235, არამედ 150 დეპუტატის უფლებამოსილების დამტკიცება. რასაკვირველია, კანონის ასე კაზუისტიკურად წაკითხვის საფუძველზე ნებისმიერი ავანტიურისტული პოლიტიკოსის თავში შეიძლება მართლაც დაიბადოს "რუსთაველზე ბარიკადების აღმართვისა" და "უკანონო" პარლამენტის გარეკვის სურვილი, მაგრამ თუ სწორედ ასეთი მეთოდით წავიკითხავთ კანონს, არსად, კანონის არც ერთ მუხლში არ არის იმის პირდაპირი მოთხოვნა, რომ სწორედ რეფერენდუმიდან მე-5 დღეს უნდა მოხდეს ოქმის შედგენა. 27-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომელზეც აპელირებას აკეთებს ავტორი, მე-5 დღეს მოითხოვს არა შემაჯამებელი ოქმის შედგენას, არამედ რეფერენდუმის შედეგების ბათილად ცნობას იმ უბნებში, "სადაც მოხდა ამ კანონის უხეში დარღვევა". ასე რომ, თუ ეს არის გადაულახავი "სამართლებრივი პრობლემა", ჩათვალეთ იგი გადალახულია და კანონის სრული დაცვით შეიძლება ჯერ არჩევნების შედეგები შეჯამდეს და გამოქვეყნდეს, ხოლო შემდეგ რეფერენდუმის შედეგები. "რეფერენდუმის შესახებ" ეს მართლაც დაუხვეწავი და წინააღმდეგობრივი კანონიც კი ამის საშუალებას თავისუფლად იძლევა. თუ "მთავარი პრობლემა" ვინმესთვის ის იქნება, რომ უკვე ახალი პარლამენტის დამტკიცების შემდეგ რეფერენდუმის შედეგების დამტკიცება მაინც ქმნის მინიმუმ 85 "უკანონო" დეპუტატის საფრთხეს, მაშინ გამოდის, რომ ასეთი "ვინმე" მოითხოვს კანონისათვის უკუქმედების ძალის მინიჭებას. ასეთი ლოგიკით, რადგან "პირდაპირი მოქმედების ძალა აქვს", რეფერენდუმი 2005 წელს რომ ჩატარებული იყო, 2007 წლამდე მოქმედი პარლამენტი რეფერენდუმის ჩატარებისთანავე უნდა გამოცხადებულიყო "უკანონოდ", რაც სრული აბსურდია. სინამდვილეში სრულიად ნათელია, რომ რეფერენდუმის შედეგები (რომელშიც ბ-ნ დავითსაც არ ეპარება ეჭვი) ახალ პარლამენტს აიძულებს მიიღოს კონსტიტუციური ცვლილებები არა მარტო დეპუტატთა შემცირების, არამედ ტერიტორიული მოწყობის შესახებ, რადგან, ბუნებრივია, დეპუტატთა ახალი რაოდენობის დამტკიცება შეუძლებელია მაჟორიტარული და პროპორციული წესით არჩეულ დეპუტატთა რაოდენობის განსაზღვრის გარეშე.

ვფიქრობთ, ბ-ნ დავითსაც კარგად მოეხსენება, რომ პრაქტიკულად არც ერთი პოლიტიკური ძალის ინტერესებში არ შედის დეპუტატთა რიცხვის შემცირება. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ყველა მათგანი მიუთითებს ამის აუცილებლობაზე, რეალური ნაბიჯები ამ მიმართულებით მათი მხრიდან არც გადადგმული და საკუთარი ნებით არც გადადგამენ. ამიტომაც, რეფერენდუმის შედეგებით მათი იძულება არის ერთადერთი ეფექტური გზა ამისათვის. არადა, არავინ დავობს იმაზე, რომ ჩვენ ერთადერთი ქვეყანა ვართ მსოფლიოში, სადაც ერთ სულ მოსახლეზე ამდენი დეპუტატი მოდის, ხოლო გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ პოლიტიკოსების იძულების გარეშე ამ მდგომარეობის შეცვლა შეუძლებელია.რაც შეეხება იმას, რომ ვიღაცამ შეიძლება რეფერენდუმის შედეგები მაინც ბოროტად გამოიყენოს და ახალი პარლამენტის "უკანონობა" ამტკიცოს, გვინდა დავგამშვიდოთ, რომ არსებობს ამის საწინააღმდეგო სხვა არგუმენტებიც. კერძოდ, პრეზიდენტისადმი მიმართვებშიც, პრესისათვის გაკეთებულ განცხადებებშიც და ცენტრალური საარჩევნო კომისიის იმ სხდომაზეც, რომელზეც მოხდა ჩვენი საინიციატივო ჯგუფის დარეგისტრირება, ერთმნიშვნელოვნად ვაცხადებდით, რომ რეფერენდუმის შედეგები შეეხება არა 2003, არამედ 2007 წელს არჩეულ პარლამენტს. ამის შესახებ არსებობს ცენტრალური საარჩევნო კომისიის იმ სხდომის ოქმიც (ოფიციალური დოკუმენტი), რომელზეც რეგისტრაციაში გატარდა ჩვენი საინიციატივო ჯგუფი.აღნიშნული განმარტების შემდეგ, ვფიქრობთ, ბ-ნ დავითს აღარ ექნება რეფერენდუმის შედეგების მიმართ აპოკალიფსური შიში და ის პატიოსანი მოქალაქეებიც მშვიდად დაიძინებენ, ვისაც გუშინდელი წერილის წაკითხვის შემდეგ ღამით რეფერენდუმთან დაკავშირებით კოშმარული სიზმრები დაესიზმრათ. ერთი კია, რომ დღეისათვის საქართველოს მოსახლეობა არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ ენდობა იმდენად, რომ თავი გამოაყენებინოს სამოქალაქო ომის გაჩაღებაში. რაც შეეხება ხელისუფლებას (რომლის მხრიდანაც აქვს არეულობის მოწყობის შიში ბ-ნ დავითს), მოსახლეობაში იგი იმდენად დისკრედიტირებული და მიუღებელია, რომ გამორიცხულია მან, დიდი მცდელობის მიუხედავად, რაიმე პროვოკაციით სერიოზული ძალა მიიმხროს.ბ-ნი დავითის აზრით, "რეფერენდუმის ინიციატორთა (ანუ ჩვენი) ქადაგება იმის შესახებ, რომ რეფერენდუმის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება შეეხება მხოლოდ 2007 წელში არჩეულ პარლამენტს, უკეთეს შემთხვევაში, რჩება მათ გულწრფელ ოცნებად" (უარეს შემთხვევაში, ალბათ პრეზიდენტის დავალების შემსრულებლებად ან მის ხელში ბრმა იარაღად მოვიაზრებით). მით უმეტეს, კარგი იქნებოდა, რომ წერილის გამოქვეყნებამდე იგი პირადად დაგვკავშირებოდა ამ იდეის საინიციატივო ჯგუფის იმ წევრებს მაინც, რომლებთანაც მეგობრობა თუ არა, ნამდვილად კეთილგანწყობილი ურთიერთობა აკავშირებს. მიუხედავად იმისა, რომ ბ-ნი დავითი აღნიშნული წერილით თითქოს მხოლოდ პრეზიდენტისა და მისი შესაძლო მზაკვრობების წინააღმდეგ გამოდის, რეალურად იგი უპირისპირდება დეპუტატთა რიცხვის შემცირების იდეას და უკეთეს შემთხვევაში, თავისდაუნებურად ახმოვანებს იმ პოლიტიკოსთა იდეებს, რომლებსაც საკუთარი თავი პარლამენტს გარეთ ვერ წარმოუდგენიათ და პირადად ვერ ბედავენ ამ პოპულარული იდეის წინააღმდეგ გამოსვლას. სამწუხაროა, რომ სამოქალაქო საზოგადოების ერთერთი აქტიური წარმომადგენელი ნებსით თუ უნებლიეთ აღმოჩნდა მნიშვნელოვანი სამოქალაქო ინიციატივის მოწინააღმდეგეთა თეორიული დასაყრდენის მძებნელის როლში.

რეფერენდუმის ჩატარების საინიციატივო ჯგუფი:
ნანა კაკაბაძე,
გივი მიქანაძე,
პაატა გაჩეჩილაძე,
ნატო შავლაყაძე,
გელა ნიკოლაიშვილი,
კობა ბოჭორიშვილი,
ელისო ამირეჯიბი,
გია იაკობაშვილი.

"კავკასიონი" ისევ დაზიანდა

"კავკასიონი" კვლავ დაზიანდა. ამჯერად წალენჯიხა-ჩხოროწყუ-გალის საზღვარზე საქართველო-რუსეთის მაგისტრალურ ელექტროხაზს სპილენძის დეტალები დახსნეს.

მაია ურუშაძე

როგორც გაირკვა, ხაზის ანძების კუთხოვანები შესანიშნავი სამშენებლო საშუალებაა, ხოლო დამჭიმი გვარლები, საყოფაცხოვრებო დანიშნულებით, მრავალმხრივ შეიძლება გამოიყენო. 500-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზი კი, რომელიც ესოდენ გახშირებული ავარიებისა და ელექტროენერგიის მწვავე დეფიციტის პირობებში ჩვენი ენერგეტიკისთვის პერიოდულად ოქროს ძარღვად იქცევა ხოლმე, არავის აღელვებს. მათ შორის, თურმე, მას არც რუსი სამშვიდობოები უფრთხილდებიან, რომლებიც შემთხვევის ადგილიდან, სულ რაღაც, 300 მეტრის მანძილზე არიან დისლოცირებულნი.

საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა მამუკა ნიკოლაიშვილმა გაოცება ვერ დამალა იმის გამო, რომ რუსმა სამშვიდობოებმა მძარცველებს 4-5 საათის განმავლობაში ხაზის ძარცვაში ხელი არ შეუშალეს. **"ამ ხაზის საშუალებით ხომ 2-3 დღეში რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტი იგეგმებოდა,"** – წუხს მინისტრი.

მოკლედ, ამჯერად ადგილობრივი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო ინტერესების გამო, საქართველო კიდევ ერთხელ შეიძლება აღმოჩნდეს წყვდიადში. მით უმეტეს, რომ საბითუმო ბაზრის განკარგულებით, ელექტროსადგურებზე წყალი უნდა დაიზოგოს და, ამდენად, მათ მიერ ელექტროენერგიის გამომუშავება მკაცრად ლიმიტირებულია.

როგორც "საქრუსენერგოს" დირექტორის მოადგილემ მირიან ქათამაშვილმა "24 საათს" აცნობა, **"კავკასიონი" მარქაფში იყო და ამის გამო საქართველოს დენის მოწოდება არ შეწყვეტია."** "საქრუსენერგოში" ვარაუდობენ, რომ ხაზის აღდგენას 8-10 დღე დასჭირდება, რადგან დაზიანების ადგილი კონფლიქტურ ზონაში მდებარეობს და, ამდენად, აღდგენითი სამუშაოების ჩასატარებლად საკმაოდ რთული და არაკომფორტული ზონაა. ამის გამო, საქართველო ახლა მხოლოდ 220-კილოვოლტიანი "სალხინოს" იმედზეა, რომლის საშუალებითაც ქვეყანაში რუსეთიდან ამჟამად მხოლოდ 40 მეგავატი ელექტროენერგიის მოწოდება ხორციელდება.



ვისია სოფელი?

არსენა



არსენა

სანდრო მამასახლისი

... იგი ჩვეულებრივი არსენაა, ჩემი თანასოფლელი. მას არც მდიდრების ქონება აინტერესებს და არც თავისნაირი ღარიბები...

ორი ვეება კამეჩი, ურემი და მოულელი მუხლი - აი, მთელი მისი ავლადიდება.

ლამის ყოველ კვირა მიდის ტყეში, ჭრის ხეს და სოფელში მოაქვს. მუშტარი ზამთარ-ზაფხულ არ ელევა... უაირო და უნავთო სოფელში შეშის გარეშე კერძს ვერ გააკეთებ, ამიტომ ბევრისთვის იგი დიდი კაცია. ამას წინათ გაბედა და ფასიც მოუმატა, - ურემი - ოთხ თუმნამდე ასნია.

სოფელში შეშა სხვებსაც მოაქვთ, მაგრამ არსენა რო დაუდებს - თვალიც ძღება და რაც მთავარია, ისე აღარც გეძვირება, ხოლო ბარე მორის სიმსხო ნალოსაც რო დაინახავ, შეგეშინდება, არ გადაიფიქროს, სხვას არ მისცეს ამდენი შეშა...

როცა სახლს მიადგება, რაოდენ დაღლილ-ქანცგამოლეული არ იყოს, კამეჩებს ყველაზე კარგ ბალახზე გაიყვანს, ხოლო სავსე ურემს, იქვე გზაზე, თავის ჭიშკართან დილამდე დატოვებს - ასე ხიბლავს გამვლელ-გამოვლელს, მომავალ მუშტარს...

მეშეშე არსენაზე სოფელში ცუდსაც გაიგებ და კარგსაც - ეშმაკობაცა და სიკერპეც მას ბარე ორ კაცსაც რომ ეყოფა, იმდენი აქვს, თუ კაცი გულიდან ამოიღო, აღარასოდეს გაიკარებს... ვინ იცის, იქნებ ამიტომაც ცხოვრობს უმეტესწილად განმარტოვებით, თავისივე ხელით აშენებულ პატარა ქოხში, თუმცა მშვენიერი ცოლ-შვილისა და სახლკარის პატრონია...

... ერთხელაც იყო და ტყეში გავყევი. როცა უკან ვბრუნდებოდით, განშორებისას, თითქო ნიშნის მოგებით მომაძახა - ეხლაც გეძვირება?

- რას ამბობ, არსენ, მე რო ვიყო, თუმანსაც მოვუმატებდი, ე რა საწვალებელი ყოფილა... - ჩემმა მხარდაჭერამ ძალიან გაახარა. როცა ჩვენი აზრი სხვისას ემთხვევა - ასე გვგონია, მართალნი ვართ და გვიხარია...

მაშინ, მახსოვს, ლამის გოსტიბემდე ავედით... ეს კიდევ არაფერი, ჩამოსვლა იყო სატანჯველ-საწამებელი. არსენა შეშით დამძიმებული ურმის სათავეში იყო, მთელი ძალით ეწინააღმდეგებოდა კამეჩებს და ასე ნელი-ნელ ჩამოჰქონდა ძვირფასი შეშა ქვევით...

როცა სწორზე გავედით და საბოლოოდ ჩამოვივაკეთ, თუმცა ჩვენს მხარეზე ამის თქმა ძნელია - ირგვლივ, სადაც კი გაიხედავ, ყველგან მთებია, არსენამ თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა - აქ მოვისვენოთო... კამეჩები ახსნა - სად წამიხვალთო და მიწაზე ჩამოჯდა...

- საყრდენი წვრილია, ნაწვიმარში ხედავ, რა ღრმად შევიდა?

- მერე?

- არაფერი, ჯერ პური გავტეხოთ... - გაშალა ქათქათა თეთრი ტილო, ამოალაგა ჩვენებური სადილი - თონის პური, მოხარშული ვარია, პომიდორი, კიტრი, კვერცხი და პლასტმასის პაწაწკინტელა ბოთლში არაყი - ესა, შენთვის წამოვიღე, მე ტყეში არა ვსვამო...

მაგრამ, მალე ორივემ ავწიეთ ჭიქები.

– მოდი, - დაიწყო არსენამ, - იმ კაცს გაუმარჯოს, რომელიცა მოვა, ჩვენს ცუდს ნახავს, წავა და კარგს იტყვის... გაუერანდა გული, კარგზე იმდენ ცუდსა და ცუდზე იმდენ კარგს ამბობენ...

- შენ რა იცი?

- რა "რა ვიცი"...

- რა და, რა არის კარგი და რა არის ცუდი?

- შენა, რა ბავშვივით მელაპარაკები, ამასა რა ცოდნა უნდა - უწინა საჭმელი ჭირდა, ახლა თავზე საყრელია, ტანისამოსი, მანქანები დაიყარა... მაგრამა, სამაგიეროდ, ნამუსი დაიკარგა... ფულმაც შრომის სუნი დაკარგა... ესა რუსებშია - ფულსაო სუნი არ ასდისო... დიახაც რომ ასდის... შეიძლება ერთი ლარი ას ლარსა ჯობდეს, თუ ის ერთი ღირსეული საქმის გასამრჯელოა, ხოლო ასი - სამარცხვინოსთვისა... ასეთია ჩემი არითმეტიკა, მააშ!

... როცა სადილს მოვრჩით, არსენამ ეშმაკურად გადმომხედა და თავის კამეჩს გასძახა - მერცხალ, მოდი აქა...

სხვას რო ეთქვა, არ დავუჯერებდი - მერცხალა უყოყმანოდ წამოდგა და ჩვენკენ გამოემართა და ეს მან ისე ცნობიერად გააკეთა, თითქოს გვეუბნებოდა - მეძახის და მოვდივარო...

- ეგა, ჭკუის კოლოფია, - სიამაყით მითხრა არსენამ, მოეფერა პირუტყვს და თვალებშუა აკოცა, მერე ლამის მინაზე დაშვებულ უღელთან მიიყვანა, - მერცხალ, აბა შენ იცი, არ შამარცხვინო, უნდა როგორმე ამიწიო... დაიჩოქე, გოგო, დაიჩოქე...

კამეჩმა პატრონს ვეება, შავი თვალებით ახედა და მუხლებზე დაეშვა - არა, არა მერცხალ, თავი დასწი, თავი... და მოხდა სასწაული, კამეჩმა თითქმის მიწის პირამდე დაუშვა თავი და ტაბიკებს შორის ფრთხილად გაყო, მერე ღონიერი კისრით ურემი შეაჯანჯღარა, თითქოს წონა მოირგო და მძლეოსანივით სწრაფად ფეხზე წამოდგა... და მოხდა მეორე სასწაული - ნიკორასათვის ხომ არავის დაუძახია, ის კი თავად მოვიდა და მერცხალას გვერდზე დაუდგა - არ გაუჭირდესო...

...როცა ციცაბო ჩამოვიტოვეთ და გზა გაიოლდა, არსენამ დარდების გუდას თავი მოხსნა:

- დღესა ჩვენს ტყესა დიდი მტერი გაუჩნდა... სამღერძიანმა, ტანკივით ტლანქმა და ულმობელმა მანქანებმა, "დრუჟბებმა" (ხერხისათვის ამაზე დამცინავი სახელწოდება ძნელია მოიგონო!), ეკოლოგიური სამსახურის სრულმა "პარალიჩმა", სიდაბლემ და, რაც მთავარია, თავად ჩვენმა გაუმაძღრობამ, სიხარბემ, წინდაუხედაობამ, სულ მალე შეიძლება ღვთისგან მობოძებული ეს სიკეთეც დაგვაკარგვინოს... როცა "დრუჟბით" მოჭრილი ტყის ვეება მშვენება მიწას ენარცხება, თან ნორჩებსაც იტანს და იმ ადგილას, სადაც სული განუტევა, დიდხანს აღარაფერი გაიხარებს... ასხვეპილ და აკაფულ ტოტებზე, რომელსაც ტყეში დასალპობად და იქაურობის მოსაშხამად სტოვებენ, აბა რაღა უნდა გითხრა... დღესა, სადაც გინდა იქ გაკაფე, თითქო მტრისა იყოს, ისე ვერაგულად ვექცევით ჩვენს ტყესა... ტყეში მარტო შეშისათვის უნდა მივდიოდეთ და მხოლოდ - ურმითა. მეურმემ დიდი-დიდი ერთი, ან ორი ხე გამოიტანოს, თანაც ტოტებ-ფოთლიანად, ხარ-კამეჩი კი, თუ არ შეშატებს, იქაურობას არაფერს დააკლებს... აი, ჩემი ნება რო იყოს – იცოცხლე, საქმეს გავაკეთებდი... მეტეხთანა შეშის ბირჟას შევქმნიდი, თავისებურ საწყობს - მაღაზიას, ამითა შეშის ფასიც დავარდებოდა, თანაც მეურმეებს სულს მოვათქმევინებდი, ერთ-ორ კაპიკს იშოვნიდნენ... ისე რომა, ტყეზე ყველამ უნდა ვიფიქროთ...

მშვიდობიანათ გეცლოს, არსენ!



მერცხალა და ნიკორა.

სოციალური ობლების ქვეყანა

მრავალწლიანმა კვლევებმა მსოფლიოს წამყვანი ფსიქოლოგები საერთო დასკვნამდე მიიყვანა – ინსტიტუციონალურ დაწესებულებებში, ბავშვთა სახლებსა და ინტერნატებში ცხოვრება ბავშვებში წარმოშობს არა მარტო ინტელექტუალური განვითარების, არამედ ფსიქიკურ პრობლემებსაც, ასოციალურ ქცევას აყალიბებს და ფიზიკურ ზრდას აფერხებს. ფსიქოლოგები იმ დასკვნამდეც მივიდნენ, რომ ინსტიტუციონალურ დაწესებულებებში აღზრდილებს არცთუ იშვიათად უვითარდებათ უკან, ნაცნობ გარემოში დაბრუნებისკენ ქვეცნობიერი ლტოლვა. ამიტომ ხვდებიან ისინი ხშირად ციხეებსა და ფსიქიატრიულ დაწესებულებებში. მათ ამ გზას – ერთი სახელმწიფო დაწესებულებიდან მეორემდე, ოჯახის გარეშე ცხოვრება განაპირობებს.

მაკა ჯაიანი

საქართველოს 42 ინსტიტუციონალურ დაწესებულებაში დღეს 5400 ბავშვი ცხოვრობს. მსოფლიოში მოქმედი ანალოგებისგან განსხვავებით, რომლებზე დაკვირვების შედეგადაც გაკეთდა ზემოთ მოყვანილი დასკვნა, ბავშვთა ქართული სახლები თავიანთ კონტინგენტს საარსებო პირობებითაც ვერ უზრუნველყოფენ. გაერო-ს ბავშვთა ფონდის სიტუაციური ანალიზი ამას ნათლად ადასტურებს. საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობი სიმართლე მასში შავით თეთრზე წერია: საკვები არასაკმარისი და ერთგვაროვანია, ძირითადად, პურის, ბრინჯის, ლობიოსა და ზეთისგან შედგება, რძე, რძის პროდუქტები და ხორცი იშვიათობაა, ხილი კი მასში საერთოდ არ შედის. საკვებისთვის ფული ბავშვთა სახლებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოეყოფა. ერთი ბავშვისთვის, კანონით, 2 ლარია გათვალისწინებული, მაგრამ, როგორც ბავშვთა სახლების ხელმძღვანელების მიერ განათლების სამინისტროსთვის მიწერილი წერილებიდან ირკვევა, ადგილებზე ამ მცირე თანხის მხოლოდ ნაწილი აღწევს და ისიც – ყოველთვის ვერა.

ამ ფონზე შეუძლებელი აღარც იმის წარმოდგენა იქნება, რომ ბავშვთა სახლებში მცხოვრებთ აკლიათ ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ქრონიკულად არა აქვთ საპონი, კბილის პასტა და სხვა ჰიგიენური საშუალებები. ერთ ოთახში ხშირად 20-30 ბავშვს ერთად სძინავს, ოთახები კი, ფაქტობრივად, არ თბება. არ თბება წყალიც, რომლითაც ზამთრის ცივ დღეებში ცივი საწოლებიდან წამომდგარ ბავშვებს ხელ-პირის დაბანა უხდებათ. ასე "მოვლილ" პატარებს სურდო, გრიპი, მწვავე რესპირატორული დაავადებები მთელი წლის განმავლობაში აწუხებთ. სახელმწიფო კი მათთვის მედიკამენტების შეძენასაც ვერ ახერხებს. ამას ემატება ისიც, რომ ბავშვთა სახლებს არ შესწევთ უნარი, სრულფასოვანი განათლება მისცენ პატარებს. მიუხედავად ამისა, საქართველოში არსებობენ ადამიანები, რომლებიც სახელმწიფო დაწესებულებებში შვილებს, ეკონომიკური მიზეზების გამო, აბარებენ. არასამთავრობო ორგანიზაცია "ბავშვი და გარემოს" კვლევის მიხედვით, ასეთი ინსტიტუციონალურ დაწესებულებებში მცხოვრებთა 87 პროცენტია.

როგორც ყველა პრობლემა საქართველოში, ეს პრობლემაც მატერიალურ სივიწროვეს უკავშირდება. ხელი ამ შემთხვევაშიც საერთაშორისო ორგანიზაციებმა გამოგვიწოდეს. 1999 წელს, დეინსტიტუციონალიზაციის (სახელმწიფო დაწესებულებებიდან ბავშვების გამოყვანის) პროგრამის განსახორციელებლად განათლების სამინისტრომ გაერო-ს ბავშვთა ფონდსა და ბრიტანულ ორგანიზაცია EveryChild-ს სთხოვა დახმარება. დაიდო სამმხრივი ხელშეკრულება და შემუშავდა საცდელი პროექტი, რომელმაც სათავე დაუდო შემდგომი დეინსტიტუციონალიზაციისა და ბავშვთა მიტოვების პრევენციის პროექტის მიმართულებებს. მის ფარგლებში ბავშვთა სახლებიდან გამოყვანილ იქნა და ბიოლოგიურ ოჯახებს დაუბრუნდა 64 ბავშვი, მათგან 5 – უნარშეზღუდული; პრევენციული ღონისძიებების გატარების შედეგად 120 ბავშვი საკუთარ ოჯახში დარჩა; დახმარება აღმოუჩინეს 25 მიმდებარე ოჯახს, სადაც დღეს 54 ბავშვი ცხოვრობს, აქედან 14 უნარშეზღუდულია; მომზადდა 40 სოციალური მუშაკი.

"ბავშვთა სახლებში ცხოვრება ასოციალურ ქცევას აყალიბებს" - ამბობენ ფსიქოლოგები.

ზაზა ბერდზენიშვილის ფოტო

2000 წლიდან მოყოლებული, პროგრამამ 238 ბავშვს გაუწია დახმარება, თუმცა, 2001 წელს ბავშვთა სახლებს 208 პატარა მიაბარეს. მათგან ნახევარი მარტოხელა დედის შვილია. ამის გათვალისწინებით, UNICEF-ის (გაეროს ბავშვთა ფონდი), EveryChild-ის, World Vision-ის, UNFPA-სა (გაეროს ოჯახის დაგეგმვის ასოციაცია), IMF-ის (საერთაშორისო სამონეტო ფონდი) შემოწირულობით, გაერო-ს ბავშვთა ფონდი, EveryChild და World Vision Internacional, საქართველოს განათლების, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთად, ჩვილ ბავშვთა მიტოვების პრევენციისა და დეინსტიტუციონალიზაციის პროექტს ახორციელებს. დონორ ორგანიზაციებს იმედი აქვთ, რომ ორ წელიწადში 75 პროცენტით შეამცირებენ თბილისის სამშობიარო სახლებში ჩვილების მიტოვებას, მოახდენენ 25 ჩვილის დეინსტიტუციონალიზაციას და ხელს შეუწყობენ როგორც სახელმწიფო სტრუქტურების, ისე საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლას ბავშვთა მიტოვების საკითხებთან დაკავშირებით.

ღია წერილი

საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანს, ბატონ თედო ჯაფარიძეს

ვირველი გვერდიდან

ამ კონცეფციის გარეშე შეუძლებელია შეიქმნას ქვეყნის თავდაცვის სისტემა, ისევე, როგორც ჩონჩხის გარეშე ვერ იარსებებს სხეული და ბაზისის გარეშე ზედნაშენი. შექმნილი სიტუაციიდან პრეზიდენტ შევარდნაძეს, რომელიც იმავდროულად არის საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, თავის უშიშროების საბჭოსთან ერთად, მისთვის ჩვეული გამოსავალი აქვს მოძებნილი - სიტყვიერად ეთანხმება და მიესალმება დასავლეთის აქტიურობას საქართველოს თავდაცვის სისტემის ჩამოყალიბების საქმეში, პრაქტიკულად კი შლის, ანაწევრებს, ანადგურებს თავდაცვის ისედაც უვარგის სისტემას, რითაც რუსული ინტერესების ლობირებას ახორციელებს. სხვაგვარად როგორ ავხსნათ, რომ "წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა" ჩავარდნის საშიშროების წინაშეა, ვინაიდან საქართველო არ ასრულებს თავის მხრივ აღებულ ვალდებულებებს. თუ არა შეგნებული მტრობა საკუთარი თავდაცვის სისტემისა, რატომ ხდება აღნიშნულ სისტემაში რეფორმების ხელოვნური შეფერხება, უცხოელი ექსპერტების რეკომენდაციების უგულებელყოფა, კორუმპირებული ჩინოვნიკების წახალისება, არმიაზე სამოქალაქო კონტროლის არქონა. შეიძლება შემომედავოთ, ბრალდებები საკმაოდ ზოგადია და სინამდვილეს არ შეესაბამებაო. კეთილი, ფაქტებით ვისაუბროთ:

2001 წელს საქართველოს კონტროლის პალატამ გამოაქვეყნა მასალა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შემოწმების შესახებ. გამოვლენილი იქნა საბიუჯეტო თანხების დიდი რაოდენობით დატაცების ფაქტები, მინერები, საბრძოლო ტექნიკის დაჭრა და ჯართად ჩაბარების შემთხვევები, საეჭვო ვითარებაში პრივატიზებული სამხედრო ნაწილები, სანატორიუმები თუ შენობა-ნაგებობები (იხილეთ საქართველოს კონტროლის პალატის ანგარიში 2001. 3-4. გვ. 100-108). რა პოზიცია დააფიქსირეთ თქვენ, ბატონო თედო, როდესაც იმავე წლის 21 დეკემბერს აღნიშნულ საკითხებზე პასუხისმგებელ პირს - თავდაცვის მინისტრის მოადგილეს, პოლკოვნიკ ნუგზარ ქევხიშვილს საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესმა მთავარსარდალმა გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება მიანიჭა?!

2002 წლის სამხედრო გაწვევა პრაქტიკულად ჩავარდა. გაწვევაზე პასუხისმგებელ პირს, გენერალური შტაბის საორგანიზაციო-სამობილიზაციო მთავარი სამმართველოს უფროსს, პოლკოვნიკ გელა უღრელიძეს, საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 5 მარტის განკარგულებით სამხედრო გენერლის წოდება მიენიჭა. რა არის ეს, თუ არა ქართული თავდაცვის სისტემის მტრების წახალისება?!

რას საქმიანობს უშიშროების საბჭოში მთავარი სამხედრო ინსპექციის უფროსი, ასევე გენერალი გივი იუკურიძე?! საინტერესოა, თუ დაუფიქსირებია მას უშიშროების საბჭოს სხდომაზე, რომ საქართველოს თავდაცვის სისტემაში 10000 კაცი იღებს ხელფასს თავდაცვის ბიუჯეტიდან. ყველაზე შემაშფოთებელი ისაა, რომ ამ რაოდენობის ნახევარზე მეტი მკვდარი სულია. კონტრდაზვერვის სამსახურს - გენერალ მაზმიშვილს გააჩნია რეალური მდგომარეობის დამადასტურებელი მასალები?! მაზმიშვილი-ხაბურზანია-იუკურიძე როგორ ხსნიან ქართულ ჯარში ოფიცრებისა და ჯარისკაცების კურიოზული თანაფარდობის ფაქტს (მკითხველისთვის დავაფიქსირებ, რომ დღევანდელი მდგომარეობით ქართულ ჯარში გენერლების, ოფიცრების, სერჟანტების, კაპრალებისა და ზემსახურების ჯამური რაოდენობა დაახლოებით 10000-ია, ხოლო რიგითებისა, დაახლოებით - 8000).

როგორ ვიფიქრებდით, ეროვნული ხელისუფლების დროს, 1991 წელს, რომ ჩვენს ქვეყანას 2003 წელს ეყოლებოდა ჯარი, სადაც სამსახური მხოლოდ სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის იქნებოდა სავალდებულო. თუ სხვაგვარადაა საქმე, იქნებ დამისახელოთ თუნდაც ერთი ცნობილი სახელმწიფო მოხელე, რომლის შვილიც ქართულ ჯარში იხდის სამხედრო სავალდებულო სამსახურს.

ბატონო თედო, შეიძლება ჩემი კრიტიკული პოზიცია, ქვეყნის უშიშროების საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებით, მიზეზთა გამო სუბიექტურად ჩათვალოთ, ამიტომაც სჯობს საქართველოს სახალხო დამცველის 2000-2001-2002 წლების ანგარიშებში ჩავიხედოთ: "შეიარაღებულ ძალებში ჯარისკაცთა ჯანმრთელობის მდგომარეობა შეშფოთებას იწვევს, რაც განპირობებულია ისეთი დაავადებების ხშირი გამოვლინებით, როგორიცაა ტუბერკულოზი, ოლიგოფრენია, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები. ხშირია შემთხვევები, როდესაც შეიარაღებულ ძალებში, გაწვევიდან რამდენიმე თვის გასვლის შემდეგ, ჯარისკაცებს გამოუვლინდებათ სხვადასხვა სახის დაავადებები"...

დეზერტირობა ქართულ ჯარში გახშირებული და ბუნებრივი მოვლენაა. აქაც მოვუსმინოთ საქართველოს სახალხო დამცველს: "დეზერტირობის გამომწვევ მიზეზებს განეკუთვნება:

არასრულფასოვანი კვება;

ამუნიცია (წელიწადში ერთ ჯარისკაცზე უნდა იხარჯებოდეს 174 აშშ დოლარი. ეს რომ სრულდებოდეს, არ იქნებოდა ჯარისკაცთა შორის გაბშირებული კონფლიქტები ტანსაცმლის გამო);

ანტისანიტარია (ნაცვლად კვირაში ერთხელ თეთრეულის შეცვლისა, ეს მხოლოდ სამ თვეში ერთხელ ხდება, ჯარისკაცებს, უკეთეს შემთხვევაში, თვეში ერთხელ აბანავებენ)"...

აღნიშნული ანგარიშის საფუძვლიანი გაცნობისას ყველა საღად მოაზროვნე ადამიანს გაუჩნდება შეშფოთების გრძნობა, როგორები იქნებიან ჩვენი ჯარისკაცები აღნიშნული სავალდებულო სამსახურის მოხდის შემდეგ. როცა ჯარისკაცს არა აქვს ნორმალურად კვების, ჩაცმის უფლება, უფლება ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, როცა ჯარში გავრცელებულია კორუფცია, ჯარისკაცებს სახლში გაშვების საფასურად აიძულებენ 100 ლარის გადახდას, როცა ჯარში არსებობს "დედოვშჩინა" და მამათმავლობა, ყოველწლიურად იღუპება (მათ შორის თვითმკვლელობით) მინიმუმ ერთი ოცეული, რა ჯარის ფორმირებაზე უნდა ვისაუბროთ?!

ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ჯარში სამხედრო პატრიოტული სულისკვეთების დონე. საზოგადოებისათვის ცნობილია საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის პოზიცია, ამ სულისკვეთების ამაღლების მიზნით, სამხედრო ნაწილებში მოძღვრების (კაპელანების) ინსტიტუტის შემოღების შესახებ. შესაბამისი კომისია შეიქმნა კიდეც 2003 წელს. საინტერესოა, რამდენ ხანს იქნება თქვენს სეკრეტერში გამოკეტილი აღნიშნული ბრძანებულება და კომისიის დებულება. აღნიშნული კომისიის თავმჯდომარე ხომ თქვენ ბრძანდებით და მისი ამუშავება მნიშვნელოვანწილად თქვენზეა დამოკიდებული?!

ფართო საზოგადოებისათვის არაა ცნობილი, რომ ბოლო 8 წლის განმავლობაში საზღვარგარეთ სამხედრო განათლება მიიღო 877 ოფიცერმა, აქედან 400-ზე მეტმა რუსეთში. ქართულ არმიაში დღეს ამ რაოდენობის 30-40%-ია მხოლოდ - ძირითადად რუსეთში განათლებამიღებულები. რა არის მიზეზი იმისა, რომლის გამოც საქართველოს თავდაცვის სისტემამ დაკარგა ასობით მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, მაშინ, როცა იგი ძირითადად არაპროფესიული კადრებითაა დაკომპლექტებული?! იქნებ ბრძანოთ, რომ ეს უშიშროების საბჭოზე განსახილველ საკითხთა რიგს არ განეკუთვნება. მაშინ იქნებ იმას მიაქციოთ თქვენი ყურადღება, რომ თავდაცვის სამინისტროში ყველა საკვანძო თანამდებობა საბჭოთა კავშირის სუკ-ის ყოფილ ოფიცრებს უკავიათ (Sic!). თუ გავიხსენებთ ცნობილ ფრაზას, რომ არ არსებობს ყოფილი კაგებეშნიკი, ძნელი მისახვედრი არაა, რომ ქართული ჯარის მართვის სადავეებთან პირდაპირ, გნებავთ ირიბად, რუსეთის სპეცსამსახურები დგანან. დავამატებ, რომ ეს კონტინგენტი სამხედრო მმართველობაში სწორედ თქვენი უშიშროების საბჭოს მდივნობის დროს აღმოჩნდა და ამ დროსვე დაურიგდათ უმაღლესი სამხედრო ჩინები. ესენი არიან:

თავდაცვის მინისტრის აპარატის უფროსი - გენერალი ალექსანდრე მჭედლიშვილი;

კადრების მთავარი სამმართველოს უფროსი - გენერალი დიმიტრი ლეჟავა;

დაზვერვის დეპარტამენტის უფროსი - გენერალი შალვა კუპატაძე;

დაზვერვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - პოლკოვნიკი მერაბ შურღაია;

დაზვერვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - პოლკოვნიკი ირაკლი თვალავაძე;

შიდა უშიშროების სამსახურის უფროსი - პოლკოვნიკი მიხეილ მესხიძე;

კადრების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე - პოლკოვნიკი ლ. მჭედლიშვილი;

გაერთიანებული სამხედრო აკადემიის რექტორი - პოლკოვნიკი გოგა გოგაშვილი;

სამშვიდობო ძალების სარდალი - პოლკოვნიკი დავით ზურაბაშვილი;

მინისტრის დაცვის უფროსი - პოლკოვნიკი ვ. ჩანადირი და სხვები.

ქვეყნის უშიშროების საბჭოს მდივანს გეკითხებით, განა სახელმწიფოს უშიშროების ინტერესებს შეესაბამება აღნიშნული კატეგორიის პირების ესოდენ კომპაქტურად თავდაცვის სამინისტროში ხელმძღვანელ თანამდებობებზე ყოფნა?!

საინტერესოა, რა პოზიცია დააფიქსირეთ პირადად თქვენ და საერთოდ უშიშროების საბჭომ, როდესაც სოჭში პუტინ-შევარდნაძის შეხვედრისას ხალხის ზურგს უკან ქვეყნის ენერგეტიკის რუსეთისათვის ჩაბარების საკითხი გადაწყდა?! რაო-ეს-ისათვის თბილისი ენერგომომარაგებისა და დისპეტჩერიზაციის ჩაბარება, ენგურის კაშხლის ვარდნილჰესების რუსეთისათვის გადაცემა, აფხაზეთის ტერიტორიაზე რკინიგზის მიმოსვლის უპირობოდ აღდგენა საფრთხეს არ უქმნის ქვეყნის უშიშროებას?! გაეროს ბანგკოკში ფსიქოლოგების მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, ბავშვთა სახლებში მცხოვრებ ბავშვებს ინტელექტის დონე საშუალოზე 30 პროცენტით დაბალი აქვთ. ეს ნაბიჯები ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საწინააღმდეგო არაა?! რატომ არ ღებულობს უშიშროების საბჭო ზომებს, რათა შეასრულოთ საქართველოს პარლამენტის მიერ 5-ჯერ(!!!) მიღებული დადგენილება კონფლიქტის ზონიდან ე.წ. სამშვიდობო ძალების გაყვანის შესახებ?! ამას გარდა, რუსულ მხარეს უნდა გადავხადა სამხედრო ბაზებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დაწესებული გადასახადები (საქართველოს პარლამენტის დადგენილება 2002.05.12); აღმასრულებელ ხელისუფლებას უნდა უზრუნველყო მკაცრი კონტროლი საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული რუსული ბაზების მიერ ლარის ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად გამოყენებაზე (საქართველოს პარლამენტის დადგენილება 2001.23.05). რა გააკეთეთ ამ მიმართულებით?!

სიტყვას აღარ გავაგრძელებ. სათქმელი კიდევ ბევრია, მაგრამ ზემოაღნიშნულიც საკმარისია იმისათვის, რომ დავასკვნათ - მაშინ, როცა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა დარღვეულია, როცა საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულია სხვა ქვეყნის შეიარაღებული ნაწილები, როცა იმავე ქვეყნის ავიაცია პერმანენტულად ბომბავს საქართველოს, საქართველოს არ ჰყავს პრეზიდენტი, უშიშროების საბჭო და არა აქვს განსაზღვრული სახელმწიფოებრივი პოლიტიკა უსაფრთხოების საკითხებში.

თქვენ და თქვენმა პრეზიდენტმა მიაღწიეთ იმას, რომ ყველა უცხოელი სამხედრო ექსპერტი, სამხედრო ატაშე, ჩვენი მოკავშირეები თავდაცვის სისტემის შექმნის საკითხებში სკეპტიკურად შესცქერიან საქართველოში ქართული არმიის შექმნის პერსპექტივას. ეს თავისთავად გულისხმობს, რომ საფრთხის ქვეშ დგება პარტნიორ ქვეყნებთან ამ სფეროში თანამშრომლობის საკითხი, რასაც შედეგად მოჰყვება ის, რომ ისევ შიშველი ხელებით დავრჩებით რუსული სამხედრო მანქანის პირისპირ. ამასთან, ეჭვქვეშ დგება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შესაძლებლობა და ჩვენი ქვეყნის რეალური დამოუკიდებლობა. ჩვენ, ფაქტობრივად, უარი უნდა ვთქვათ სამხრეთ კავკასიაში ლიდერი ქვეყნის როლზე.

თავდაცვისა და უშიშროების კონცეფციის დღემდე არარსებობა; კორუფცია თავდაცვის სისტემაში; რუსული ინტერესების ლობირება; პარლამენტის მიერ მიღებული, ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების შესაბამისი დადგენილებების შეუსრულებლობა, არმიაში კაპელანის ინსტიტუტის შემოღების დაბლოკვა - ეს ის თემებია, რომლისთვისაც ქვეყნის დღევანდელი მმართველობის შეცვლისთანავე თქვენი პასუხისმგებლობის საკითხი დადგება. ნუ გეგონებათ, რომ მარტო თქვენს პრეზიდენტ-მთავარსარდალს მოვთხოვთ პასუხს ყველაფრისათვის. სავსებით შესაძლებელია, შევარდნაძემ ისევ მოახერხოს პასუხისმგებლობისაგან თავის დაძვრენა, რაც დღემდე არაერთგზის გაუკეთებია და ქვეყნის თავდაცვისა და უშიშროების სფეროში არსებული კატასტროფული მდგომარეობისათვის პასუხი თქვენ და თქვენი საბჭოს წევრებს მოგეკითხოთ.

იფიქრეთ ამაზე, ბატონებო. დრო, მართალია ცოტა, მაგრამ ჯერ კიდევ გაქვთ!

ეროვნულ ძალთა გაერთიანება-კონსერვატორების თავმჯდომარე ზვიად ძიძიგური

ორი სიტყვით

თბილისი. ნატოსა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის პარტნიორი ქვეყნების სამხედრო ექიმები, რომლებიც საქართველოში მიმდინარე Medceur/Rescuer-2003 მრავალეროვნულ სწავლებებში მონაწილეობენ, 120 ქართველ სტუდენტს ერთი კვირის განმავლობაში ლექციებს წაუკითხავენ ექსტრემალურ პირობებში მუშაობის შესახებ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. დედაქალაქის გზების კეთილმოწყობის პროცესში თბილისის მერიასთან ერთად მალე ქუვეითის ფონდიც ჩაებმება. დღეს თბილისის მერი ვანო ზოდელავა ქუვეითის ფონდის წარმომადგენლებს შეხვდა.

ფონდის ეკონომიკური მრჩევლის ტალიკ ალმანეიზის განცხადებით, ქუვეითის ფონდი წელს საქართველოში მეორე პროექტის განხორციელებას დაიწყებს, რომელიც, ძირითადად, გზების კეთილმოწყობას ითვალისწინებს. მისივე თქმით, ფონდის წილი თანადაფინანსებაში 15 მილიონი აშშ დოლარი იქნება, რომელიც, პროექტის თანახმად, 3 - 4 წლის განმავლობაში დაიხარჯება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. 73-ე და 64-ე აზერბაიჯანულ საშუალო სკოლებს დღეს სახელისუფლებო ბლოკის "ახალი საქართველოსათვის" თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელის მოადგილე თამაზ სუპატაშვილი ეწვია, რომელმაც დაწყებითი კლასების მოსწავლეებს აზერბაიჯანულ ენაზე გამოცემული სახელმძღვანელოები გადასცა. **ინტერპრესი**

■ ■ ■

თბილისი. დღეს რიყეზე გაიმართება ამერიკის შეერთებულ შტატებში 11 სექტემბერს ტერაქტში დაღუპული 343 ამერიკელი მეხანძრის ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება, სახელწოდებით „მემორიალი". **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგებს აგვისტოს თვის ხელფასები ჯერ არ მიუღიათ, რის გამოც ამ დღეებში განათლების მუშაკთა პროფესიული კავშირი წერილობითი მოთხოვნით მიმართავს დედაქალაქის მერს, საკრებულოს თავმჯდომარესა და პრემიერს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. დღეს თბილისში უსახურ რეკლამებს კვლავ ჩამოხსნიან. თბილისის ადმინისტრაციული ინსპექციის უფროსის დავით მუმლაძის ცნობით, ეს ღონისძიება მთელი ქალაქის მასშტაბით ჩატარდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ორი დღეა სამარშრუტო ავტობუსების ნაწილი არ მუშაობს. თბილისის მერიის საქალაქო ტრანსპორტის რეგულირებისა და მართვის სამსახურის ცნობით, ბოლო პერიოდში დედაქალაქში საწვავი გაძვირდა, რამაც საექსპლუატაციო ხარჯები გაზარდა. ამის გამო, ავტობუსების მუშაობა ზარალიანი გახდა, ამან კი გადამზიდველი ფირმების პროტესტი გამოიწვია და ავტობუსების ნაწილი ხაზზე არ გავიდა.

გადამზიდველების პროტესტს ისიც იწვევს, რომ მათ მოქალაქეთა უფასო მგზავრობის ღირებულების საზღაური დედაქალაქის ბიუჯეტიდან დღემდე არ მიუღიათ. საქალაქო ტრანსპორტის სამსახურის თანამშრომლები გადამზიდველებს ამ საკითხების მოგვარებაში დახმარებას დაჰპირდნენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. 16 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეები, რომელთაც მშობლებმა სახელმძღვანელოები აბონემენტით გამოიწერეს, თავიანთი კუთვნილი სახელმძ

არჩევნები პოლიტიკური დრამის გარეშე

რუსუდან ნიკურაძე
საკ.კორ.მოსკოვში

რუსი პოლიტოლოგების წინასწარმეტყველება თუ ახდა, მომავალი პარლამენტი პრეზიდენტ პუტინის მორჩილი იქნება, ანუ რუსეთში მოახლოებული არჩევნები კრემლისადმი ერთგულების დემონსტრირების ნიშნით ჩაივლის. ეს ერთგულება უკვე დაადასტურეს ამ დღეებში გამართული პოლიტიკური პარტიების ყრილობებმა. მოსაწყენი პარტიული თავყრილობები მოსკოვში არაფრით განსხვავდებოდა წინა წლების ტრაფარეტებისაგან. რუსული ლიბერალური ელექტორატისათვის გულისმომკვლელი იყო ის, რომ რუსი მემარჯვენეებიც კი კრემლზე სწორებას დათანხმდნენ. რუსეთის მემარჯვენე ძალთა რიგებში მოსული "რაო ეეს"-ის მმართველი ანატოლი ჩუბაისი პარტიულ ჩხუბში თავით გადაეშვა და პოტენციური მოკავშირეები დააფრთხო: შედეგად, დასავლურ ღირებულებებზე ორიენტირებული "იაბლოკო" რუს მემარჯვენეებს განუდგა. ამ წინასაარჩევნო პაექრობაში "იაბლოკოს" მიმდევრები კრემლის უხეშ ჩარევას ხედავენ. ამიტომ, მემარჯვენეთა ყრილობაზე არც გრიგორ იავლინსკი მისულა და არც ვლადიმირ ლუკინი. არადა, ჩუბაისის გამოჩენამდე ორი დემოკრატიული პარტიის შერწყმას წინ არაფერი ედგა. მოსკოველი ანალიტიკოსების აზრით, სწორედ ამაშია კრემლის წინასაარჩევნო ტაქტიკა - "გათიშე და იბატონეს" პრინციპით.

წლევანდელ საარჩევნო კამპანიას ერთი მთავარი მახასიათებელიც გამოარჩევს: რუსი მემარჯვენეების რიგებში ცნობილი რუსი სამართალდამცველების - სერგეი კოვალიოვისა და ვალერია ნოვოდვორსკაიას მოზიდვა კრემლს დასავლეთის თვალის ასახვევად სჭირდება, ხოლო მათი იდეები ნაკლებად ვინმეს თუ აწუხებს. მომავალი არჩევნების იდეოლოგია მთლიანად კრემლზე და პრეზიდენტის დასაყრდენ ძალებზეა ორიენტირებული. ეს ძალები წინასაარჩევნო რუსეთში კიდევ არ არის გამოკვეთილი.

მოსკოვში უკვე დასრულდა პოლიტიკური პარტიების პრეზენტაცია. რუსეთის პარლამენტში აშკარად გამოკვეთილი უმრავლესობა, კომუნისტებისა და ჟირინოვსკელების სახით, მემარჯვენეთა წინააღმდეგ დაუნდობელ ბრძოლას აპირებს. მომავალ კვირაში "რაო ეეს"-ის მმართველის ანატოლი ჩუბაისის პასუხისმგებლობის საკითხის განხილვას აპირებენ. პარლამენტის ექსპერტთა აზრით, სახეზეა კრემლიდან ინსპირირებული მოჩვენებითი დაპირისპირება, რაც კრემლის ადმინისტრაციისათვის ხელსაყრელი შედეგებით დასრულდება.

არჩევნების წინ რუსეთში შექმნილ ვითარებაზე "24 საათს" თავისი შეხედულება გაუზიარა ფონდ "ინდემის" პრეზიდენტმა ვლადიმირ რიმსკიმ: **"ახლანდელი წინასაარჩევნო კამპანია რუსეთის მოქალაქეებს ნაკლებად აინტერესებთ, რისი დამადასტურებელი იქნება ამომრჩეველთა პასიურობა. ამის მიზეზია ის, რომ რუსეთში ელექტორატს არჩევნებამდე დიდი ხნის წინათ დაანახეს, თუ როგორი იქნება ამ არჩევნების შედეგი. ხალხმა უკვე იცის, რომ გაიმარჯვებენ "ედინაია როსია" და კომუნისტები. მთავარი ისაა, რომ ამ არჩევნებში უმრავლესობას ხელში ჩაიგდებენ ის პოლიტიკური პარტიები, რომლებიც ჩინოვნიკების ინტერესებს გამოხატავენ. ასეთ სიტუაციაში ამ არჩევნების შედეგები აინტერესებს არა ხალხს, არამედ თავად მონაწილეებს. მთავარია ისიც, რომ საპარლამენტო არჩევნების შედეგი სულაც არ აისახება საპრეზიდენტო არჩევნებზე. ასეთ ვითარებაში, როცა მოქალაქეებმა დაკარგეს ყოველგვარი ინტერესი არჩევნებისა და პოლიტიკისადმი, პოლიტიკური პარტიების ლიდერები და საარჩევნო გაერთიანებების წარმომადგენლები ფაქტის წინაშე დადგნენ: შეიძლება, რუსეთის მოქალაქეები საერთოდ არ მივიდნენ ამ არჩევნებზე. ახლა ხელისუფლება იბრძვის იმისათვის, რომ ხალხი საარჩევნო უბნებზე მიიყვანონ".**

რუსეთის პოლიტიკური ტექნოლოგიების ცენტრის უფროსის იგორ ბუნინის აზრით, **"ამ კამპანიის მთავარი მახასიათებელი იქნება ის, რომ არ არის არავითარი ინტრიგა. არ არის პოლიტიკური დრამა. არჩევნები რუსეთში იქნება წმინდა პიარი, სიმბოლოებზე აგებული და არა რეალური არსის, კონფლიქტის, რეალური იდეოლოგიის ამსახველი. მთავარი იქნება არა ის, რას წარმოადგენ შენ, არამედ, თუ როგორ გამოიყურები. კომუნისტებიც კი ახლა საარჩევნო კამპანიაში როკ-არტისტებს პატიჟებენ".**

კიდევ ერთი სასიკვდილო განაჩენი ბალის ტერაქტისათვის

ინდონეზიის სასამართლომ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა იმამ სამუდრას, რომელსაც ბრალი ედება კუნძულ ბალიზე ღამის კლუბის აფეთქებაში, რის შედეგადაც 202 ადამიანი, მეტწილად უცხოელი ტურისტები დაიღუპნენ.

კომპიუტერის 33 წლის სპეციალისტს იმამ სამუდრას აღნიშნული ტერაქტის ორგანიზებაში მონაწილეობისათვის ედებოდა ბრალი. ბრალდების მხარე ამტკიცებდა, რომ სამუდრა ოპერაციას თავად უწევდა კონტროლს, კუნძული ბალის ტერიტორიაზე თვითონ არჩევდა სამიზნეებს და თავის მომხრეებს სხვადასხვა მითითებებს აძლევდა.

დაპატიმრების შემდეგ მოკლე ხანში იმამ სამუდრამ აფეთქების ორგანიზებაში თავისი მონაწილეობა აღიარა, თუმცა შემდეგ ეს ბრალდება უარყო და ჩვენებაც შეცვალა. ამის შემდეგ, მან კვლავ აღიარა ტერაქტში მონაწილეობა, თუმცა რელიგიური და პოლიტიკური მოტივებით აფეთქების გამართლებას ცდილობდა. **"მე მოხარული ვარ, რომ ტერაქტის შედეგად ბევრი ადამიანი დაიღუპა,"** - განაცხადა სამუდრამ და, ამავე დროს, სინანული გამოთქვა, რომ უცხოელ ტურისტებთან ერთად მის ქმედებას 38 ინდონეზიელის სიცოცხლე ემსხვერპლა, რამაც მისი სიხარული, ალბათ, ოდნავ გააუფერულა.

იმამ სამუდრას მალე სიკვდილით დასჯიან.

სასიკვდილო განაჩენის გამოტანის შემდეგ, სამუდრამ დაიყვირა: "ალაჰი დიდია!" მან განაცხადა, რომ სიკვდილით დასჯა მას ალაჰთან მიაახლოებს.

ბალის ტერაქტთან დაკავშირებით, ეს უკვე მეორე სასიკვდილო განაჩენია გამოტანილი. ა.წ. აგვისტოში ინდონეზიის სასამართლომ ასევე სიკვდილი მიუსაჯა ამროზი ბინ ნურჰასიმს. კუნძულ ბალიზე მომხდარი ტრაგედიის ორგანიზებაში კი სამხრეთ-აზიური ისლამური დაჯგუფება "ჯემაა ისლამიაა" ეჭვმიტანილი, რომელიც "ალ-ქაიდასთან" მჭიდროდ თანამშრომლობს.

ჰამასი: „შურისძიების დრო დადგა"

ვირველი გვერდიდან

- ყვება თვითმხილველი, რომელიც იერუსალიმის კაფესთან მომხდარ აფეთქებას შეესწრო. **"გარშემო პანიკა სუფევდა. მაგიდები ამოტრიალებული იყო და ირგვლივ მინების ნამსხვრევები ეყარა,"** - ამბობს მეორე თვითმხილველი. ორივე აქციაზე პასუხისმგებლობა ექსტრემისტულმა დაჯგუფება "ჰამასმა" აიღო თავის თავზე.

"შურისძიების დრო დადგა," - ნათქვამია "ჰამასის" მიერ გავრცელებულ განცხადებაში, რომელიც ისრაელში მომხდარი აფეთქებების შემდეგ, ორგანიზაციის ერთ-ერთმა ლიდერმა აბდელ აზიზ ალ-რანტისმა გააკეთა. **"ისრაელმა უნდა ზღოს ჩვენი უდანაშაულო ხალხის მკვლელობისათვის, შეიპ აჰმედ იასინის მოკვლის მცდელობისათვის,"** - განაცხადა რანტისმა. ამ განცხადების მიუხედავად, იასირ არაფატის მიერ პრემიერის პოსტზე ხარჯავენ ფერმერთა სუბსიდირებაზე, ვიდრე საერთაშორისო დახმარებაზე.

პრობლემას კიდევ უფრო ამწვავებს ძალიან მაღალი საბაჟო ტარიფები, რომლებიც მდიდარ ქვეყნებში სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე არსებობს. მაგალითად, იაპონიაში იმპორტირებული ბრინჯი 500-პროცენტიანი ტარიფით იბეგრება. ევროკავშირი კი საბაჟო კვოტებს იყენებს და ამგვარად, იმპორტირებული სურსათის ოდენობას ზღუდავს.

იგივე პრაქტიკა გამოიყენება სამრეწველო პროდუქციის იმპორტშიც. განვითარებულ ქვეყნებში საბაჟო ტარიფები გაცილებით უფრო მაღალია ღარიბი ქვეყნებიდან იმპორტზე, ვიდრე სხვა მდიდარი ქვეყნებიდან შეძენილ პროდუქციაზე. ასე, მაგალითად, ბრაზილიელი 5-ჯერ მეტ საბაჟო გადასახადს იხდის ამერიკაში ექსპორტირებულ საქონელზე, ვიდრე გერმანელი ან ინგლისელი.

განვითარებადი ქვეყნები ამტკიცებენ, რომ მდიდრების მხრიდან ასეთი უპატიოსნო კონკურენციის გამო, ისინი წლიურად ასეულობით მილიარდ დოლარს კარგავენ, და ამასთან ერთად - შანსსაც, თავი დააღწიონ სიღარიბეს.

მიუხედავად დაპირებებისა, რომ ვითარებას გამოასწორებდნენ, ევროკავშირსა და ამერიკას ჯერ ბევრი არაფერი გაუკეთებიათ. განვითარებული ქვეყნების მთავრობებისათვის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია საკუთარი ფერმერები, ვიდრე უცხოელი. აშშ-ს პრეზიდენტმა ბუშმა ფერმერების სუბსიდიები გაზარდა კიდევ. ევროკავშირმა კი სუბსიდიების რაოდენობა ხელუხლებლად დატოვა.

თავის მხრივ, ევროკავშირსაც აქვს მოთხოვნები განვითარებადი ქვეყნებისადმი. ბრიუსელი მათგან მოითხოვს, რომ ისევე დაიცვან უცხოური ინვესტიციები, როგორც ადგილობრივი, და პატივი სცენ ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს.

ერთი სიტყვით, შეხვედრა საკმაოდ დაძაბულ ვითარებაში იწყება. მაგრამ, მოლაპარაკებათა ოთახებში არსებული უთანხმოებანი არაფერია იმასთან შედარებით, რაც გარეთ ხდება. კანკუნის შორიახლოს რამდენიმე ათასი ანტიგლობალისტი დაბანაკდა, რომლებმაც საზეიმო ფიცი დადეს, რომ ქალაქში "ახალ სიეტლს" მოაწყობენ (რამდენიმე წლის წინ, მსო-ს სიეტლში გამართული შეხვედრის დროს მათ მთელი ქალაქი სასტიკად დაარბიეს). მექსიკის შეშფოთებულმა მთავრობამ, დამატებითი საპოლიციო ძალების გარდა, კანკუნის საჰაპიროებთან სამი სამხედრო გემი გააგზავნა. პირველი საპროტესტო აქციები მშვიდობიანი ხასიათისა იყო. ანტიგლობალისტები გაშიშვლდნენ, პლაჟზე დაწვნენ და შიშველი სხეულებით გამოსახეს წარწერა "არა მსო".

შეხვედრა ერთი კვირის მანძილზე გაგრძელდება. განვითარებადი ქვეყნები აცხადებენ, რომ უკან დახევას არ აპირებენ. საინტერესო პროგრამას გვპირდებიან ანტიგლობალისტებიც.

არგენტინის მორიგი დეფოლტი

გუშინ არგენტინამ განაცხადა, რომ სავალუტო ფონდს ვალს ვერ გადაუხდის. მთავრობის თქმით, ფონდისათვის 3 მილიარდის გადარიცხვა ქვეყნის ცენტრალური ბანკის რეზერვებს 25 პროცენტით შეამცირებს, რაც დაუშვებელია.

ფონდის ისტორიაში ეს ყველაზე დიდი დაუბრუნებელი ვალია. თუმცა, არგენტინა არ არის პირველი ქვეყანა, რომელმაც ფონდი "გადააგდო". ადრე ეს გაუკეთებიათ ლიბერიას, სუდანსა და ზიმბაბვეს.

ამ "საპატიო" სიასთან მიერთება დიდი დარტყმაა ქვეყნის საინვესტიციო კლიმატზე. უცხოელი ინვესტორები ისედაც ერიდებიან ამ ქვეყანას, მას შემდეგ, რაც მან შარშან, იანვარში, ვალების გადახდა შეაჩერა. ამჟამად, არგენტინას უკვე 90 მილიარდი ვადაგადაცილებული ვალი აქვს.

ფონდის რეაქცია ჯერ ცნობილი არ არის. მან შეიძლება არგენტინის წინააღმდეგ სანქციები დააწესოს, ან მასთან შეთანხმებას მიაღწიოს.

ახალი პრეზიდენტის, ნესტორ კირხნერის მოსვლის შემდეგ, არგენტინის ეკონომიკური მდგომარეობა ოდნავ გამოსწორდა. თუმცა, მემარცხენე კირხნერი ფონდის რეკომენდაციების შესრულებაზე, რომელიც ქვეყანაში ხარჯების შემცირებას გულისხმობს, უარს ამბობს.

კირხნერი აცხადებს, რომ ხარჯების შემცირების ნაცვლად, მისი პრიორიტეტი ქვეყნის გაჭირვებული მოსახლეობის დახმარება იქნება.

აფეთქება ერაყში

ერაყის ქურთისტანის ქალაქ ერბილში, შენობასთან, რომელშიც აშშ-ს სამხედრო მოსამსახურეები არიან განთავსებულები, ასაფეთქებელი ნივთიერებით დატვირთული ავტომანქანა აფეთქდა. ტერაქტის შედეგად ორი ადამიანი დაიღუპა, ხოლო ოცამდე დაიჭრა, დაჭრილთა შორის ექვსი ამერიკელი ჯარისკაცია.

უნდა ითქვას, რომ ერაყის ქურთისტანში ეს პირველი ტერაქტია. ერაყში კოალიციის ჯარების შეჭრის შემდეგ, ერაყის ჩრდილოეთ ნაწილი, რომელსაც ქურთული ფორმირებები აკონტროლებენ, ყველაზე სტაბილურ რეგიონად ითვლებოდა.

აფეთქების შემდეგ, ადგილზე აშშ-ს არმიის დამატებითი ძალები გამოიძახეს, რომლებიც ერბილში ვერტმფრენით ჩავიდნენ. მათ მაშინვე დაიწყეს ტრაგედიის ადგილისათვის რკალის შეკვრა, რაშიც ამერიკელებს ქურთი მებრძოლები აქტიურ დახმარებას უწევდნენ.

ერბილის ქურთულმა ხელისუფლებამ ქალაქის მაცხოვრებლებს მეგაფონით მიმართა და დაჭრილებისათვის სისხლის გაღებისკენ მოუწოდა.

ერაყის დროებითი მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა. ბოშიარ ზებარიმ მომხდარს უკვე მისცა ტერაქტის კვალიფიკაცია და მასში ჰუსეინის მომხრეები დაადანაშაულა. მისი თქმით, ყოფილი პრეზიდენტის მხარდამჭერებს ერაყში მუდმივი არეულობა და სისხლისღვრა აწყობთ.

გუშინვე კიდევ ერთი თავდასხმა მოხდა. ამჯერად ერაყელმა პარტიზანებმა ბაღდადთან ახლოს ამერიკელ ჯარისკაცებს ცეცხლი გაუხსნეს, რის შედეგადაც ერთი ამერიკელი სამხედრო პირი დაიღუპა და ერთიც დაიჭრა.

ღარიბები მდიდრების წინააღმდეგ

გუშინ მექსიკის ქალაქ კანკუნში მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მორიგი შეხვედრა დაიწყო. შეხვედრაში, რომელიც საერთაშორისო ვაჭრობის საკითხებს განიხილავს, 143 ქვეყანა მონაწილეობს.

მონაწილენი თავიდანვე ორ ერთმანეთთან დაპირისპირებულ ბანაკად დაიყვნენ. ერთ ჯგუფში აღმოჩნდნენ აშშ, ევროკავშირი და იაპონია, მეორეში კი ჩინეთი, ინდოეთი, ბრაზილია და სხვა განვითარებადი ქვეყნები.

ღარიბი ქვეყნები მდიდრებისაგან ორი წლის წინ დადებული პირობის შესრულებას, სასოფლო-სამეურნეო სუბსიდიების გაუქმებასა და საბაჟო ტარიფების შემცირებას ითხოვენ.

ევროკავშირისა და ამერიკის მთავრობები, სუბსიდიების სახით, თავიანთ ფერმერებს წლიურად 400 მილიარდამდე დოლარს უხდიან. სუბსიდირებული პროდუქტები ადგილობრივ ბაზარსაც ავსებს და ექსპორტზეც მიდის. ამ სუბსიდიების გამო, ამერიკიდან და ევროპიდან იმპორტირებული ხორბალი და ქათმის ბარკლები, ისევე, როგორც სხვა სასურსათო საქონელი, უფრო იაფი ღირს, ვიდრე ადგილობრივი ნაწარმი.

შესაბამისად, განვითარებადი ქვეყნების ფერმერები არათუ თავიანთ არასუბსიდირებული მოსავლის ექსპორტს ვერ ახერხებენ, ადგილობრივ ბაზრებზეც კარგავენ პოზიციებს და კოტრდებიან. გაკოტრებული მცირე ფერმერი კი უკვე შიმშილობის კანდიდატია.

ანტიგლობალისტები მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას უპირისპირდებიან.

მართალია, განვითარებული ქვეყნები ღარიბ სახელმწიფოებს საგრძნობ ფინანსურ დახმარებას უწევენ, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია. აშშ და ევროკავშირი ექვსჯერ მეტ ფულს ხარჯავენ ფერმერთა სუბსიდირებაზე, ვიდრე საერთაშორისო დახმარებაზე.

პრობლემას კიდევ უფრო ამწვავებს ძალიან მაღალი საბაჟო ტარიფები, რომლებიც მდიდარ ქვეყნებში სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე არსებობს. მაგალითად, იაპონიაში იმპორტირებული ბრინჯი 500-პროცენტიანი ტარიფით იბეგრება. ევროკავშირი კი საბაჟო კვოტებს იყენებს და ამგვარად, იმპორტირებული სურსათის ოდენობას ზღუდავს.

იგივე პრაქტიკა გამოიყენება სამრეწველო პროდუქციის იმპორტშიც. განვითარებულ ქვეყნებში საბაჟო ტარიფები გაცილებით უფრო მაღალია ღარიბი ქვეყნებიდან იმპორტზე, ვიდრე სხვა მდიდარი ქვეყნებიდან შეძენილ პროდუქციაზე. ასე, მაგალითად, ბრაზილიელი 5-ჯერ მეტ საბაჟო გადასახადს იხდის ამერიკაში ექსპორტირებულ საქონელზე, ვიდრე გერმანელი ან ინგლისელი.

განვითარებადი ქვეყნები ამტკიცებენ, რომ მდიდრების მხრიდან ასეთი უპატიოსნო კონკურენციის გამო, ისინი წლიურად ასეულობით მილიარდ დოლარს კარგავენ, და ამასთან ერთად - შანსსაც, თავი დააღწიონ სიღარიბეს.

მიუხედავად დაპირებებისა, რომ ვითარებას გამოასწორებდნენ, ევროკავშირსა და ამერიკას ჯერ ბევრი არაფერი გაუკეთებიათ. განვითარებული ქვეყნების მთავრობებისათვის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია საკუთარი ფერმერები, ვიდრე უცხოელი. აშშ-ს პრეზიდენტმა ბუშმა ფერმერების სუბსიდიები გაზარდა კიდევ. ევროკავშირმა კი სუბსიდიების რაოდენობა ხელუხლებლად დატოვა.

თავის მხრივ, ევროკავშირსაც აქვს მოთხოვნები განვითარებადი ქვეყნებისადმი. ბრიუსელი მათგან მოითხოვს, რომ ისევე დაიცვან უცხოური ინვესტიციები, როგორც ადგილობრივი, და პატივი სცენ ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს.

ერთი სიტყვით, შეხვედრა საკმაოდ დაძაბულ ვითარებაში იწყება. მაგრამ, მოლაპარაკებათა ოთახებში არსებული უთანხმოებანი არაფერია იმასთან შედარებით, რაც გარეთ ხდება. კანკუნის შორიახლოს რამდენიმე ათასი ანტიგლობალისტი დაბანაკდა, რომლებმაც საზეიმო ფიცი დადეს, რომ ქალაქში "ახალ სიეტლს" მოაწყობენ (რამდენიმე წლის წინ, მსო-ს სიეტლში გამართული შეხვედრის დროს მათ მთელი ქალაქი სასტიკად დაარბიეს). მექსიკის შეშფოთებულმა მთავრობამ, დამატებითი საპოლიციო ძალების გარდა, კანკუნის საჰაპიროებთან სამი სამხედრო გემი გააგზავნა. პირველი საპროტესტო აქციები მშვიდობიანი ხასიათისა იყო. ანტიგლობალისტები გაშიშვლდნენ, პლაჟზე დაწვნენ და შიშველი სხეულებით გამოსახეს წარწერა "არა მსო".

შეხვედრა ერთი კვირის მანძილზე გაგრძელდება. განვითარებადი ქვეყნები აცხადებენ, რომ უკან დახევას არ აპირებენ. საინტერესო პროგრამას გვპირდებიან ანტიგლობალისტებიც.

Mercy Corps

მერსი ქორი აცხადებს მოკლევადიანი კვალიფიციური ინჟინრების მიღებას შემდეგი სპეციალობებით:

1. არქიტექტურაკოლი AR
2. ხიდები და გვირაბებიკოლი BT
3. ინდუსტრიული კონტრაქტებიკოლი IC
4. საკანალიზაციო და პიდრო ტექნიკებიკოლი SH
5. ირიგაციაკოლი IR
6. გზებიკოლი RG
7. პიდრო-გეოლოგიაკოლი HG

მერსი ქორი განაცხადებებს მიიღებს მხოლოდ ინდივიდუალური პირებისაგან. განაცხადი წარმოდგენილი უნდა იყოს დალუქული კონვერტით (და კონვერტები არ მიიღება) მერსი ქორის ნებისმიერ ოფისში (ორშაბათი-პარასკევი,9:30-18:00) 17 სექტემბრის დღის 12 საათამდე. ყოველ კონვერტზე გარკვევით უნდა იყოს მითითებული შევსო ჩაბოთველილი სექტორების კოდი (AR, BT და ა.შ.).წინააღმდეგ შემთხვევაში ორგანიზაცია იტოვებს უფლებას არ განიხილოს განაცხადები. ასევე არ იქნება მიღებული საგულუფონო განაცხადები.

წარმატებულ კანდიდატებს მერსი ქორი შესთავაზებს რამოდენიმე მოკლევადიან დაკვალების აღმოსაფხვრელად და საშრომო საქართველოს მასშტაბით,რაც ითვალისწინებს ხშირ მგზავრობასა და საჭიროების შემთხვევაში ღამის გათევას რეგიონებში.

ყველა განმცხადებელს უნდა შეეძლოს კომპიუტერთან მუშაობა,ასევე თავისუფლად წერა და კითხვა ინგლისურ ენაზე. ქართულისა და რუსული ენების ცოდნა ასევე მნიშვნელოვანია.

განცხადებები მიიღება ინგლისურ ენაზე.

მერსი ქორი აწარმოებს არადისკრიმინაციულ პოლიტიკას და განაცხადები ქალებისა ან სხვა შეზღუდული ჯგუფებისაგან თანაბრად განიხილება.

განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია ინგლისურად:

- რეზიუმესადაც მთავარი აქცენტი გაკეთებულია ბოლო სამი წლის განმავლობაში საქმიანობებზე დაკავშირებულ ამ სფეროსთანრანგში შემოაქვთ განაცხადი
- შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლები
- ამ პიროვნების სახელი და ტელეფონირომელსაც შეუძლია კომენტარი გააკეთოს მოცემულ სფეროში გასული სამი წლის განმავლობაში განსხვადებლის საქმიანობის შესახებ

მერსი ქორის ოფისების მისამართები:

- თბილისი,გურგენიძის ქ. № 9,ტელ/ფაქსი: (22) 252471/2/3
- თბილისი,აპაშვორის I შესახვევი № 5,ტელ/ფაქსი: (22) 701688/717736
- ბოლნისი,ჭავჭავაძის ქ. № 140,ტელ/ფაქსი: (22) 943347
- ახალციხე,პუშკინის ქ. № 68,ტელ/ფაქსი: (265) 50055
- გორი,ა.ჯუღაშვილის ქ. № 4,ტელ/ფაქსი: (270) 50110
- თელავი,წინანდლის შესახვევი № 5,ტელ/ფაქსი: (250) 76002

ჩუბაისი მესამეა, გაიდარს კი ერაყში აგზავნიან

რუსუდან ნიკურაძე
საკ.კორ.მოსკოვში

ასე გადაწყვიტა მოსკოვში გამართულმა მემარჯვენე ძალთა ყრილობამ, რომელზეც, საპარლამენტო არჩევნების წინ, პარტიის საარჩევნო ფედერალური სია დაამტკიცეს. ამ სიაში ანატოლი ჩუბაისი მესამეა, ბორის ნემცოვისა და ირინა ხაკამადას შემდეგ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ "რაოს" მმართველი მალე რუსეთის დუმის დეპუტატი გახდება. პარლამენტის დერეფნებში კი უკვე საპროტესტო გამოსვლები ისმის. დუმის მემარცხენეთა ფრთა 12 სექტემბერს ჩუბაისის საკითხის განხილვას აპირებს. რუს პარლამენტართა ერთი ჯგუფი მიიჩნევს, რომ "რაო ეეს"-ის მმართველი ქვეყანაში ელექტროენერგიაზე ტარიფებს განუკითხავად ზრდის და შუქის პერიოდული გამორთვებით, რუსეთის მოსახლეობაზე საარჩევნო ზეწოლას ახორციელებს. პარლამენტართა ხსენებული ჯგუფი, ჩუბაისის საკითხის განხილვის პარალელურად, წერილს გაუგზავნის პრემიერ კასიანოვს. წერილში დასაბუთებულია ჩუბაისის თვითნებობა და მის მიერ ქვეყნის კანონმდებლობის დარღვევის ფაქტები. ერთ-ერთი ფაქტია არჩევნებში მონაწილეობასთან სააქციო საზოგადოების მმართველობის შეთავსება, რაც, დეპუტატების აზრით, უკანონოა.

მოსკოვში მემარჯვენე ძალთა ყრილობაზე პარტიის საარჩევნო პლატფორმის დეკლარირებისას ცხადი გახდა, რომ რუსი მემარჯვენეები პრეზიდენტ პუტინის კურსის გამტარებლები იქნებიან. ყრილობაზე ბორის ნემცოვმა ჟურნალისტებს ახარა, რომ რუსეთის წამყვანი ეკონომისტი იგორ გაიდარი, ამერიკელების მოთხოვნით, ერაყში გაემგზავრება იქაური ეკონომიკის გასაჯანსაღებლად. მემარჯვენეები მიიჩნევენ, რომ მათი ეკონომიკური პლატფორმა რუსეთის პრეზიდენტის მიერ გამოცხადებული რეფორმების პარალელურად ჩაივლის, პირველი კი, ჩუბაისის თქმით, სწორედ ელექტროენერგეტიკის რეფორმა იქნება.

რუსეთის პარლამენტის უმრავლესობა აცხადებს, რომ ისინი ჩუბაისის გვერდით ჯდომას არ აპირებენ. "ახალგაზრდა რეფორმატორებმა რუსეთი ღრმა ეკონომიკურ კრიზისში ჩააგდეს", - განაცხადა ვლადიმირ ჟირინოვსკიმ საკუთარი პარტიის ყრილობაზე, რომელიც დროში მემარჯვენეთა ყრილობას დაემთხვა. "ჩუბაისი, გაიდარი, ხაკამადა და ნემცოვი მალე განსასჯელის სკამზე აღმოჩნდებიან, ვაშინგტონიდან მოსული მითითებების შესრულებისათვის", - აცხადებს ვოლფოვიჩი. მისი აზრით, ამერიკელებმა გაიდარი ერაყში იმიტომ დაპატიჟეს, რომ იქ რუსეთის გააქტიურება არ დაუშვან.

საგულისხმო იყო მოსკოვში მემარჯვენეთა ყრილობაზე კრემლის მთავარი პოლიტტექნოლოგის გლებ პავლოვსკის გამოჩენა, რომელმაც განაცხადა, რომ "7 დეკემბრის საპარლამენტო არჩევნებზე მხარდაჭერა, პირველ რიგში, ვლადიმირ პუტინს სჭირდება, რადგანაც მას კრემლის ოლიგარქი-ძალოვნებისა და ფინანსური ბოიარების მხრიდან საფრთხე ემუქრება".

რუსეთში წინასაარჩევნო ვითარება იძაბება. პრეზიდენტი პოლიტიკურ პარტიებში ეფექტურ დასაყრდენს დაეძებს. მოსკოველი ანალიტიკოსები ამტკიცებენ, რომ ჩუბაისმა, თავისი მოსვლით, მემარჯვენეთა პარტია, რეიტინგის ამაღლების პარალელურად, კოლოსალური ადმინისტრაციული რესურსითაც დააჯილდოვა.

დალაი-ლამა ვაშინგტონში

ამერიკაში 16-დღიანი ვიზიტით იმყოფება ტიბეტელთა სულიერი ლიდერი დალაი-ლამა. გუშინ იგი კონგრესში სიტყვით გამოვიდა. ვიზიტის პროგრამაშია, აგრეთვე, შეხვედრები პრეზიდენტ ბუშთან და სახელმწიფო მდივან კოლინ პაუელთან.

დალაი-ლამამ 1959 წელს, ჩინეთის წინააღმდეგ წარუმატებელი ამბოხების შემდეგ დატოვა სამშობლო და მას შემდეგ ინდოეთში ცხოვრობს. 1989 წელს მან ნობელის პრემია მიიღო.

ჩინეთის ხელისუფლება დალაი-ლამას სეპარატისტთა ლიდერად მიიჩნევს და აცხადებს, რომ უცხო ქვეყნის მთავრობის მიერ მასთან კონტაქტების დამყარება ჩინეთის საშინაო საქმეებში ჩარევას ნიშნავს.

ჩინეთი დალაი-ლამას ვაშინგტონში ვიზიტის ჩაშლას ცდილობდა, მაგრამ უშედეგოდ. სულიერი ლიდერი ამერიკაში დიდი პატივით მიიღეს და "ადამიანის უფლებათა განსახიერებაც" უწოდეს.

მოკლედ

ჩემპიონი ღამეში 9800 დოლარს გამოიმუშავებდა

ვერა შიმანსკაია

ესპანეთში "შულერობის" ბრალდებით დააკავეს ოლიმპიური ჩემპიონი, რუსი ვერა შიმანსკაია. ის თავის პარტნიორთან, ვლადიმირ ლვოვთან ერთად კაზინოებს "ასუფთავებდა". ამ საქმის ირგვლივ გამოძიება გრძელდება.

ესპანური პოლიციის ცნობით, შიმანსკაია და მისი პარტნიორი, რომლებსაც პოლიციელებმა ნამდვილი პროფესიონალები უწოდეს, ღამეში 9800 დოლარს გამოიმუშავებდნენ. თუმცა, ესპანეთის სათამაშო ბიზნესისთვის ამ თაღლითობით მიყენებული ზარალის ოდენობა, ჯერჯერობით, უცნობია.

საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა ვერა შიმანსკაიას დაკავების სხვა დეტალებიც. "გარდიანის" ცნობით, როცა შიმანსკაია მიხვდა, რომ წინააღმდეგობას აზრი არ ჰქონდა, მან პოლიციას განუცხადა: "მე ოლიმპიური ჩემპიონი ვარ. მე მაქვს ოქროს მედალი, ესე იგი, ჩემში ეჭვის შეტანა არ შეიძლება!" პოლიციაში ამ არგუმენტზე მხოლოდ გაეცინათ - მოსამართლისთვის არც ისე დამაჯერებელი არგუმენტია.

"როსიისკაია გაზეტას" ინფორმაციით, შიმანსკაია და მისი მეგობარი გაუსვლელობის ხელწერილით გაათავისუფლეს - მათ ესპანეთის ტერიტორიის დატოვება ეკრძალებათ. ამჟამად საქმეში ჩაერთო რუსეთის საელჩო, რომელიც შიმანსკაიას დახსნას ცდილობს. ჟურნალისტებმა კი "გმირების" მოხელთება ვერ შეძლეს. შიმანსკაია და მისი პარტნიორი გათავისუფლებისთანავე გაუჩინარდნენ. შეგახსენებთ, რომ 22 წლის შიმანსკაია ესპანეთში რუსეთის ტანმოვარჯიშეთა ნაკრების შემადგენლობაში მოხვდა და რადგან ნაკრების სათადარიგო წევრი იყო, გადაწყვიტა, ესპანეთში მცირე ხნით დარჩენილიყო. რუსეთის ტანმოვარჯიშეთა ნაკრები კი 28 აგვისტოს დაბრუნდა სამშობლოში.

ნაომი კემპბელი - ფეხბურთელის ცოლი

ცნობილმა მოდელმა ნაომი კემპბელმა როლი მიიღო ITV-ის ტელეკომპანიის პოპულარულ სერიალში "ფეხბურთელის ცოლი". ტელეკომპანიის წარმომადგენლის თქმით, ნაომიმ თვითონ სთხოვა ტელევიზიას, მისთვის ფილმში როლი მიეცათ. მოდელთან კონტრაქტი ჯერ არ გაფორმებულა, მაგრამ სცენარისტები 33 წლის მანეკენისთვის როლს უკვე წერენ.

"ბოსები აღფრთოვანებულნი არიან. ისეთი სახელოვანი ფიგურა, როგორიც ნაომი კემპბელია, შოუში მიიღებს მონაწილეობას, - ამტკიცებენ ITV-ში, - ის უდიდესი პოპულარობით სარგებლობს და შოუ უამრავ მაყურებელს დაინტერესებს".

ნაომისთვის ეს იქნება ყველაზე სერიოზული როლი კინოში. აქამდე მანეკენი გადაიღეს ეპიზოდურ როლებში ("სიყვარულის ტყვე" და "მაიამის რაფსოდია"), სადაც მას ანტონიო ბანდერასი უწევდა პარტნიორობას.

ფიამ სკანდალი შეწყვიტა

ფიას ტექნიკურ დელეგატთან ჩარლი უაიტინგთან "მაკლარენისა" და "უილიამსის" ხელმძღვანელთა შეხვედრაზე წარმოადგინეს "მიშელინის" ახალი საბურავების ნიმუშები, რომლებიც კომპანიამ იტალიის გრან-პრიზე გამოსაყენებლად შექმნა. სამშაბათს ფიამ გაავრცელა ოფიციალური განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ "მიშელინის" საბურავები რეგლამენტის შესაბამისად არის მიჩნეული და იტალიის გრან-პრიზე მისი გამოყენების შემთხვევაში დისკვალიფიკაციები არ განხორციელდება. "ფიას ტექნიკური განყოფილება ადასტურებს, რომ ეს საბურავები ფორმულა 1-ის რეგლამენტს შეესაბამება".

ფია გეგმავს, შეწყვიტოს სკანდალი "მიშელინის" ფართო საბურავების გამო, რაც განცხადებაში გარკვევით წერია. "ფიას ტექნიკური განყოფილებისთვის ეს თემა ამოწურულია. ამიერიდან ყველა გუნდი იდენტური საბურავებით გააგრძელებს ჩემპიონატს".

ამრიგად, "მიშელინის" ფართო საბურავების გამოყენებისთვის გუნდებს სანქციები არ ემუქრებათ. თუმცა, ფიას პრეს-რელიზში ნათქვამია: "პრესაში არაერთგზის გამოქვეყნებულ განცხადებებში ნათქვამია, თითქოს ფიამ საბურავების თაობაზე წესებს ახლებური ინტერპრეტაცია მისცა. ეს სიმართლეს არ შეესაბამება. 1999 წლიდან საბურავების მაქსიმალური ფართი 270 მმ-ია. ფია არასდროს ამტკიცებდა, რომ ეს ფართი უსაზღვრო შეიძლება ყოფილიყო".

TV-სპორტი

ხუთშაბათი. 11 სექტემბერი

НТВ + ФУТБОЛ

13:00, 16:35, 20:40, 23:40 თავისუფალი დარტყმა
13:15 ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები: გერმანია - შოტლანდია
14:55 ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები: ჩრდ. ირლანდია - სომხეთი
16:50 საერთაშორისო ტელეჟურნალი "FUTBOL MUNDIAL"
17:20 ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები: უელსი - ფინეთი
18:55 ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები: სერბეთი - იტალია
20:30 ხვალინდელი პროგრამა
20:35 უიქ-ენდი. მატჩების ანონსი
20:55 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. შვედეთი. მეოთხედფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
22:45 რუსეთი - შვეიცარია. მიმოხილვა
23:00 ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების მიმოხილვა
23:55 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. შვედეთი. მეოთხედფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
01:45 საერთაშორისო ტელეჟურნალი "FUTBOL MUNDIAL"

НТВ + СПОРТ

11:00, 14:15, 17:00, 22:00 პრესცენტრი
11:15, 22:15 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:45 ჭადრაკი. რუსეთის ჩემპიონატი. გადაცემა კრასნოიარსკიდან
12:15 ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი. გერმანია. რუსეთი - ჰოლანდია
13:45 ავტორბოლები
14:30 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. შვედეთი. მეოთხედფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
16:00 ათენის გზაზე
17:15 ტელეჟურნალი. სიჩქარის სამყარო
17:55 ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი. გერმანია. ჰოლანდია - ბულგარეთი
19:30 საჩოგბურთო მიმოხილვა
20:00 ჭადრაკი. რუსეთის ჩემპიონატი. გადაცემა კრასნოიარსკიდან
20:30 ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი. გერმანია. საბერძნეთი - რუსეთი
22:20 ხვალინდელი პროგრამა
22:25 ჰოკეის საღამო
22:55 ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი. გერმანია. იტალია - გერმანია
00:30 ტელეჟურნალი. სიჩქარის სამყარო
01:00 ახალი ამბები
01:15 საჩოგბურთო მიმოხილვა
01:45 ჰოკეის საღამო

EUROSPORT

11:30 საცხენოსნო სპორტი
12:30 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი
14:30 ძიუდო. მსოფლიო ჩემპიონატი. იაპონია
16:45 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი
17:30 ველორბოლა. ესპანეთის ტური
20:15, 20:30, 22:30, 23:00 ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი. გერმანია
01:00 კანოე. მსოფლიო ჩემპიონატი. აშშ
02:00 ევროსპორტის სიახლენი
02:15 კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება
04:15 ევროსპორტის სიახლენი
03:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი
04:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ავსტრალია
04:30 ევროსპორტის სიახლენი

ფეხბურთი

გვალირსეთ გუნდი - გვენატრება საქართველოს ნაკრები

ალბანეთი - საქართველო 3 : 1

კახა ფაჩუაშვილი

ალექსანდრე იაშვილის გარღვევები ამჯერად ამაო აღმოჩნდა.

საქართველოს ნაკრებმა რუსები რომ დაამარცხა, რუს მიმომხილველებს გაოცებით აღმოხდათ - საქართველოში კარგი ფეხბურთელები ყოველთვის იყვნენ, მაგრამ ქართველებს გუნდი არასოდეს ჰყოლიათ. საიდან გაჩნდა ეს გუნდიო - ასეთი ზუსტი დიაგნოზი ჩვენი ფეხბურთელებისთვის მგონი არავის დაუსვამს. გუნდი კი საიდან გაჩნდა და ივო შუშაკის ალღოიანი ხელიდან. მწვრთნელიდან, რომლის დარიც საქართველოს ნაკრებს მანამდე არასოდეს ღირსებია და თუ ეს მართლაც ასეა, გამოდის, რომ არც ეროვნული გუნდი გვყოლია როდესმე. გვენატრება საქართველოს ნაკრები - დღეისთვის ნამდვილად აქტუალური ლოზუნგი იქნება და თუ მას როდესმე გვაჩვენებენ, დიდად დაგვავალებენ. მანამდე კი...

წავაგეთ!!! ცუდია, რომ ოცნება ოცნებად დარჩა. კარგია, რომ ციდან დედამიწაზე დავეშვით და ჯგუფიდან გასვლის აბსურდულ შანსებს აღარ ვებღაუჭებით. ნათქვამია, ჭკვიანი სხვის შეცდომებზე სწავლობს. ჩვენ კი დროა საკუთარ შეცდომებზე მაინც გავამახვილოთ ყურადღება და მივხვდეთ, რომ თაობამ, რომელმაც გუშინ ტირანაში ითამაშა, თავის საუკეთესო წლებში ვერაფრით დაგვამახსოვრა თავი და ახლა მით უფრო ვერ შესძლებს ჩვენი ოცნებების განხორციელებას.

ფუჭია ამ თაობის ტაქტიკურ-ტექნიკურ შესაძლებლობებზე ფიქრი, რადგან ის უკვე წასული თაობაა. არ ყოფილა შემთხვევა ამ ფორმაციის საქართველოს ნაკრებს წაგებული თამაში თავის სასარგებლოდ შემოებრუნებინოს.

ეს კი პირდაპირ მეტყველებს გუნდის სათამაშო დონეზე. სწორედ ამით განსხვავდება საქართველოს ნაკრები ფავორიტებისგან და სწორედ ამიტომ არიან: შვეიცარიელები, ირლანდიელები და რუსები ჯგუფის ფავორიტები - ჩვენი გუნდი კი აუტსაიდერი.

ტირანაში პირველი გოლის შემდეგ საქართველოს ნაკრები, ჩვეულებისამებრ დაიბნა და სულ რაღაც ხუთ წუთში იგლი ტარეს მეორე გოლის გატანის საშუალება მისცა. ფაქტობრივად, ეს მატჩი ხუთ წუთში დასრულდა. როგორ შეიძლება გუნდმა, რომელიც პლეი-ოფში გასვლის ვარიანტებს ითვლის, თამაში ხუთ წუთში წააგოს და ისიც ალბანეთთან. აბსურდია არა? გეთანხმებით.

ჟორდანიამ "ქემალ სტადიონზე" იგივე შემადგენლობა გამოიყვანა, რომელმაც შაბათს ეროვნულ სტადიონზე დაამარცხა ალბანელები. ოღონდ ეგ არის, ტრავმირებული ბურდული გივი დიდავამ შეცვალა. საქართველოს ნაკრებს ტირანაში მცდელობა არ დაუკლია, მაგრამ გამარჯვებისთვის საჭირო ოსტატობა აშკარად არასაკმარისი აღმოაჩნდა. ეს კი ნიშნავს, რომ გუნდის აღმშენებლობას გადახალისება, ახალი ხედვა სჭირდება, რომელიც ახალმა მწვრთნელმა უნდა შემოიტანოს. სპეციალისტმა, რომლის მწვრთნელად მოყვანასაც ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი გვპირდება.

აბრამოვიჩი ალარ ხუმრობს

რომან აბრამოვიჩი ლონდონის "ჩელსისგან" რაღაც წარმოუდგენლის გაკეთებას აპირებს. ჯერ არავინ იცის, რა იქნება ეს წარმოუდგენელი რაღაც და, სიმართლე რომ ითქვას, "არისტოკრატები" ცოტათი ნერვიულობენ კიდეც. ფაქტი ის არის, რომ აბრამოვიჩი აღარავის ერიდება და დაუფარავად ებღაუჭება თვით ყველაზე მოუხელთებელ ფიგურებსაც კი. ასე, მაგალითად, "ჩელსიში" მოღვაწეობის პირველივე დღიდან აბრამოვიჩმა გუნდში მიიწვია სერ ალექს ფერგიუსონი. ეს ამბავი ზაფხულში მოხდა და ფერგიუსონმა რუსი ნავთობმაგნატის წინადადება უარყო.

Manchester Evening News-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ფერგიუსონმა დაადასტურა აბრამოვიჩის ინტერესი და განაცხადა: "მთელი ჩემი ცხოვრება "მანჩესტერს" უკავშირდება, ამიტომ რაღაც სასწაული უნდა მოხდეს, რომ კლუბი მივატოვო", - განაცხადა ფერგიუსონმა. "ჩელსის" წარმომადგენლებმა ამ ფაქტის ირგვლივ კომენტარზე უარი განაცხადეს.

თუმცა, აბრამოვიჩს, როგორც ჩანს, მარცხი არ სჩვევია და, რაკი სერ ალექსთან არაფერი გამოვიდა, დევიდ ბექჰემის გადაბირება გადაწყვიტა. რუსმა მილიარდერმა თავის ახალ აღმასრულებელ დირექტორს, პიტერ კენიონს, პირველი რიგის ამოცანად სწორედ მადრიდიდან ბექჰემის გადმოყვანა დაუსახა. ამასთან, საინტერესოა, რომ აბრამოვიჩს სატრანსფერო თანხა არ აღელვებს და, მზად არის, ინგლისის ნაკრების კაპიტანში ნებისმიერი თანხა გაიღოს. ამან "არისტოკრატები" დააფიქრა, რომ მათი ახალი პატრონი აზარტში შევიდა, ხოლო როცა აზარტი გაუნელდება, არავინ იცის, რით დასრულდება მთელი ეს კამპანია.

აბრამოვიჩს დავიდსი და ბექჰემი მოუნდა.

აბრამოვიჩს აშკარად სურს, თავისი კლუბის ნახევარდაცვაში დავიდსი, ბექჰემი, მაკელელე, ვერონის კვარტეტი იხილოს, მაგრამ ახლახან გაირკვა, რომ ედგარ დავიდსს, თურმე, ტურინში დარჩენა სურს. ამ სურვილს გამოეხმაურა ტურინული კლუბის ჩეხი ლიდერი პაველ ნედვედი.

"ედგარი მნიშვნელოვანი თამაშების ფეხბურთელია. ის არასოდეს ნებდება. მგონი, მას დარჩენა სურს და, შესაძლოა, კლუბის ხელმძღვანელობასთან კომპრომისი გამოინახოს. აპიასთან ერთად დავიდსმა შეიძლება თავისი საუკეთესო თვისებები გამოავლინოს. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მას გუნდში დარჩენა სურს. იმედი მაქვს, დავიდსი დღევანდელ მატჩში მონაწილეობას არ მიიღებს, რადგან ის ჩემს ნაკრებს ძალიან ბევრ პრობლემას შეუქმნის", - განაცხადა ნედვედმა ჩეხეთ-ჰოლანდიის გუშინდელი მატჩის წინ.

მძლეოსნობა

დოვინგით გაქცეული

კელი უაითი

შესაძლოა, ამერიკელ კელი უაითს პარიზში გამართულ მძლეოსანთა მსოფლიო ჩემპიონატზე მოპოვებული ორი ოქროს მედალი ჩამოართვან. ამის მიზეზი მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის მიერ სპორტსმენისადმი წაყენებული ბრალდებაა: "ის აკრძალულ პრეპარატებს ხმარობდა. არასპორტულად, უსამართლოდ მოიქცა, რისთვისაც უნდა დაისაჯოს", - ასეთია მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის პოზიცია.

ფედერაციამ ოფიციალურად პირველად სამშაბათს განაცხადა, რომ უაითმა პარიზში დოპინგ-ტესტი ვერ ჩააბარა. ახლა ეს საკითხი ამერიკულ ანტისადოპინგო საბჭოს გადაეცა განსახილველად. უაითს, სავარაუდოდ, ახალ ტესტს ჩაუტარებენ, თუმცა, ფედერაციის წარმომადგენელთა განცხადებით, ამის არავითარი საჭიროება არ არსებობს. და, მართლაც, რა საჭიროა ახალი ტესტის ჩატარება, თუ უაითმა თავად აღიარა, რომ მოიხმარდა იმ პრეპარატს, რომელიც მოდაფილინს შეიცავდა. მისი თქმით, პრეპარატი იმისთვის გამოიყენა, რომ ღამე კარგად დაეძინა. "არ ვიცი, რისი ბრალი იყო, მაგრამ ვერ ვიძინებდი. ამის გამო მეორე დღეს საშინელ დაღლილობას ვგრძნობდი. ასეთ მდგომარეობაში ჩემს გამოსვლას აზრი არ ჰქონდა, პრეპარატიც ამიტომ გამოვიყენე. მოდაფილინმა ღამე დაძინების საშუალება მომცა, მეტი არაფერი", - აღნიშნავს სპორტსმენი.

ფედერაცია უაითის არგუმენტს დამაჯერებლად არ მიიჩნევს და საამისოდ მიზეზიც აქვს. საქმე ისაა, რომ ამერიკელ სპორტსმენს შეეძლო, თხოვნით მიემართა ტურნირის ანტისადოპინგო კომიტეტისთვის, რათა მას მოდაფილინის ხმარების ნება დაერთო. გარდა იმისა, რომ ის ასე არ მოიქცა, თავდაპირველად, როგორც აღმოჩნდა, უარყოფდა კიდეც საერთოდ რაიმე პრეპარატის მოხმარებას.

პირველი ტესტი სპორტსმენმა ჩააგდო 24 აგვისტოს, როცა პირველი ოქროს მედალი მოიპოვა. მეორე ოქროს მოპოვების შემდეგ ორგანიზმში აკრძალული პრეპარატის კვალი არ აღმოაჩნდა. მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის თქმით, ის დარწმუნებულია უაითის არაკეთილსინდისიერებაში და მის დასჯას მოითხოვს. უაითს მედლების ჩამორთმევა და ორი წლით დისკვალიფიკაცია ემუქრება. თუ ამერიკელებმა თანამემამულე უდანაშაულოდ ცნეს, საერთაშორისო ფედერაცია მზადაა, საქმე სპორტულ სარბიტრაჟო სასამართლოს გადასცეს. უაითის ბრალეულობის დამტკიცების შემთხვევაში ოქროს მედალს გადასცემენ რუს ანასტასია კაპაჩინსკაიას, რომელსაც ტურნირზე ვერცხლის მედალი ერგო.

ორი სიტყვით

ფეხბურთი. ნიიგატში გაიმართა ამხანაგური მატჩი იაპონიისა და სენეგალის ნაკრებ გუნდებს შორის. მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვეს სტუმრებმა, სენეგალელმა ფეხბურთელებმა. ერთადერთი გოლი პაპ ბუბა დიოპმა გაიტანა.

■ ■ ■

ფეხბურთი. გუშინ უეფამ დაიწყო სომხეთ-საბერძნეთის მატჩზე მომხდარი ინციდენტის ოფიციალური გამოძიება. საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციას ბრალად ედება სომეხი ფეხბურთელების მოსყიდვა. დისციპლინარული ინსპექტორი შეამოწმებს სომხეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის რუბენ აირაპეტიანის სარჩელს და გამოძიების შედეგებს წარადგენს 11 ოქტომბრამდე, როცა ევროპაში შესარჩევი ციკლის უკანასკნელი ტურის მატჩები გაიმართება.

■ ■ ■

ფეხბურთი. ინგლისის "ფულჰემი" აპირებს, გამოძიება დაიწყოს გუნდის ყოფილი მწვრთნელის ჟან ტიგანას წინააღმდეგ. ლონდონური კლუბის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ტიგანას მიერ შეძენილი ფეხბურთელების ფასი რეალურ ღირებულებას აღემატებოდა. "მარლე ის ფეხბურთელი იყო, რომლის შესაძენად უფრო მეტი ფული გადავიხადეთ, ვიდრე ღირდა", - ამბობს დევიდ ფილიპსი, რომელიც "ფულჰემის" თამაშის ხარისხის განყოფილებიდანაა, - ფეხბურთელი ეს თავისებური საქონელია. მისი ნამდვილი ღირებულება უცნობია, მაგრამ არსებობენ კარგად ინფორმირებული ადამიანებიც".

■ ■ ■

ფეხბურთი. "ბოლტონის" მწვრთნელმა სემ ოლარდაისმა კვლავ მიმართა "ტოტენჰემს" უკრაინელი ფორვარდის სერგეი რებროვის შეძენის თხოვნით. რებროვის საყურებლად ოლარდაისი ესპანეთისა და უკრაინის ნაკრები გუნდების მატჩს დაესწრება. "მე ვნახავ, როგორ ფორმაშია რებროვი, რადგან ჩვენ შეგვიძლია, ის იანვარში მოვიწვიოთ. რებროვი რომ ევროკავშირში შემავალი ქვეყნიდან იყოს, დიდი ხანია, უკვე ჩვენს გუნდში იქნებოდა", - ამბობს ოლარდაისი.

■ ■ ■

ფეხბურთი. ლევან კობიაშვილის თურქი თანაგუნდელით ჰამით ალთინთოფით მილანის "ინტერი" დაინტერესდა. წინა კვირაში "ინტერის" წარმომადგენლები თურქეთისა და პორტუგალიის ახალგაზრდული ნაკრებების მატჩს დაესწრნენ და ალთინთოფის თამაშით კმაყოფილები დარჩნენ. შეგახსენებთ, რომ ფეხბურთელი, რომელმაც "შალკეში", თავის სადებიუტო შეხვედრაში დუბლი შეასრულა, ცოტა ხნის წინ რეგიონალიგის "ვატენშაიდში" გამოდიოდა.

■ ■ ■

ფეხბურთი. მცველი პატრიკ პაუე როტერდამის "ფეიენოორდში" რჩება. უახლოეს დღეებში ის კლუბთან ახალ 3-წლიან კონტრაქტს გააფორმებს. ამ ინფორმაციამ დაამშვიდა "ფეიენოორდის" ხელმძღვანელები, რადგან ისინი ფიქრობდნენ, რომ პაუვე, რომელიც გუნდის კაპიტანი გახდა, როტერდამს თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვებდა.

■ ■ ■

ჩოგბურთი. დევისის თასის მატჩში სლოვაკეთის ნაკრების წინააღმდეგ ამერიკელთა ღირსებას ენდი როდიკიც დაიცავს. ამერიკის ღია ჩემპიონატის გამარჯვებული მარდი ფიშთან, ჯეიმს ბლეიკთან, ბრაიან ვახალთან და ტყუპებთან - ბობ და მაიკ ბრაიანებთან ერთად, აშშ-ის ნაკრების განაცხადში შეიყვანეს. თუმცა, იმ 4 ჩოგბურთელის ვინაობა, რომელიც სლოვაკების წინააღმდეგ ითამაშებს, კენჭისყრამდე ერთი საათით ადრე გახდება ცნობილი. მატჩი კი 19-21 სექტემბერს ბრატისლავის ღია კორტებზე გაიმართება.

■ ■ ■

ჩოგბურთი. ბრაზილიის ღია ჩემპიონატი აშშ-ის ღია პირველობის ლოგიკური გაგრძელება გახდა. გუშინ ამ ტურნირზე მხოლოდ ერთი მატჩი გაიმართა. პარაგვაელმა რამონ დელგადომ არგენტინელი მარიანო პუერტა დაამარცხა - 6:3, 5:1. პუერტამ თამაში შეწყვიტა. დანარჩენი შეხვედრები კი წვიმის გამო გადაიდო.

■ ■ ■

კალათბურთი. "ვაშინგტონ უიზარდსის" ახალწვეული ჯილბერტ არენასი ირწმუნება, რომ დედაქალაქელები წლეულს პლეი-ოფში აუცილებლად ითამაშებენ. ამის შესახებ მან პირველივე პრესკონფერენციაზე განაცხადა. შეგახსენებთ, რომ ვაშინგტონელები პლეი-ოფში უკანასკნელად 1997 წელს თამაშობდნენ, პლეი-ოფში კი 1988 წელს გაიმარჯვეს.

■ ■ ■

კრივი. შეინ მოსლი ოსკარ დე ლა ჰოიას პენსიით უზრუნველყოფას ჰპირდება. "ოქროს ბიჭუნა" (ოსკარ დე ლა ჰოია) კი თავხედი "შუგარ" შეინ მოსლის ნოკაუტით დამარცხებაზე ფიქრობს. "მე ამ ბრძოლას იმ გრძნობების გამო მოვიგებ, რომლითაც სავსეა მთელი ჩემი არსება", - განაცხადა ოსკარმა. შეინ მოსლიმ, თავის მხრივ, ამ ბრძოლის შესახებ აბსოლუტურად განსხვავებული აზრი გამოთქვა. "კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ოსკარის პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით. მან იცის, რომ სისწრაფე ღუპავს. მე მასზე სწრაფი ვარ. მე მოვიგე პირველი ბრძოლა და მეორესაც მოვიგებ ".

■ ■ ■

ჰოკეი. ორი ჰოკეისტი, რომლებიც 20 წლის შვედი ქალბატონის მიმართ ძალადობის ბრალდებით დააკავეს, გათავისუფლებულია. 36 წლის ივონ კორივო და 37 წლის ბრედ ბერგენი, რომლებიც გერმანული "აისბერენის" ღირსებას იცავენ, 23 აგვისტოს დააპატიმრეს, რის შემდეგაც ბრალდება წაუყენეს. თუმცა, საკმარისი სამხილის უქონლობის გამო შვედ გამომძიებლებს ისღა დარჩენოდათ, სპორტსმენები გაეთავისუფლებინათ.

კვლავ კალახარა

ამჯერად უკვე ქარვასლაში

ანა კორძაია-სამადაშვილი

ქართული კალახარები

მრავალი წლის წინათ ერთ ჩინელ მხატვართან შეხვედრას დავესწარი, რომლის სახელიც, ჩემდა სამარცხვინოდ, აღარ მახსოვს. ის კარგი კალიგრაფი და არცთუ ურიგო მხატვარი იყო. ის ჰყვებოდა, როგორ ასწავლა მამამ ბამბუკის ხატვა. მამამ აუხსნა, რომ ბამბუკი არსებობს გარიჟრაჟზე, ალიონზე, დღისით, საღამოს, მთვარიან ღამეს, გაზაფხულზე, ზაფხულში, გვალვის დროს, წვიმის შემდეგ... მამა-შვილი სამი წელი ბამბუკის ჭალაში ცხოვრობდა, და შვილი ყოველდღე ბამბუკს ხატავდა. ამ ამბის შემდეგ მრავალი წლის თავზე მხატვარმა თბილისის მხატვრის სახლში შეკრებილთ ამაყად გამოგვიცხადა: "რა-რა, და ბამბუკის ხატვა ნამდვილად ვიცი," და იქვე დასძინა: "ოღონდ არ ვიცი, კარგად ვხატავ თუ არა".

ეს ამბავი არც გამახსენდებოდა, რომ არა პროექტი "კალახარა გარიყულაზე", რომლის ფარგლებშიც ცხრა მხატვარმა – ნინო მორბედაძემ, ქეთი ყაზაიშვილმა, ლორეტა შენგელიამ, დათო ბადრიძემ, გია გუგუშვილმა, გია ლორიამ, გივი ონიკაშვილმა, ყარამან ქუთათელაძემ და გოგი ხახუტაშვილმა – ორი კვირის განმავლობაში ერთი მთა ხატა. მათ ტილოებზე, ძირითადად (სრულიად შესანიშნავი გამონაკლისი ნინო მორბედაძის ნამუშევრებია), კალახარას მთაა გამოსახული. მას სინამდვილეში კალახარა არ ჰქვია, უბრალოდ, თავის სეხნია უდაბნოს ძალიან ჰგავს, ესაა და ეს. კალახარა დარში თუ ავდარში მშვენიერი სანახავია, და დარბაზიც, რომელშიც მისი "პორტრეტებია" გამოფენილი, მშვენიერი სანახავი გახლავთ.

ქალბატონი ლიკა მამაცაშვილი ძალიან კმაყოფილია: ქარვასლას გალერეაში სეზონი მართლაც საინტერესო გამოფენით დაიწყო. მხატვრებმა, რომლებმაც ქართლში, ვასილი ბოლგარსკისეულ ვილა გარიყულაში იმუშავეს, გუშინ თბილისელი საზოგადოების სამსჯავროზე გაიტანეს თავიანთი ნახატები.

"მე მგონი, ეს საქმე ძალიან მომწონს," მომახსენა პროექტის მონაწილემ და ერთ-ერთმა სულისჩამდგმელმა, მხატვარმა გია გუგუშვილმა. მისი თქმით, შედეგმა ყველაზე თამამ მოლოდინსაც გადააჭარბა, და გია დარწმუნებულია, რომ პროექტის შემდგომი ეტაპებიც არანაკლები წარმატებით დასრულდება. მეორე ეტაპზე ზემოთ ჩამოთვლილი ცხრიდან ორი მხატვარი (რომელთა ვინაობასაც ჯერ არ ამხელენ) ახალი ჯგუფის ბირთვი გახდება, რომელიც ოქტომბერში კვლავ გარიყულაში გაემგზავრება სამუშაოდ, შემდეგ კიდევ ერთი ჯგუფი შეიქმნება, და ასე...

ამ საქმეში, რასაკვირველია, გამარჯვებულები და დამარცხებულები არ არსებობენ, და თუ არ ვცდები, არც საბოლოო და ამაყი მიზანი – ქართული კულტურის დასავლეთში ინტეგრაცია (ხალისიანი და სრულიად არაოფიციალური გუგუშვილ-უმცროსის მიერ წარმოთქმული მსგავსი სიტყვათშეთანხმებები ყოველთვის მაბნევს ხოლმე) წარმოადგენს მონაწილე ხელოვანთათვის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს: ჯერ კიდევ გარიყულაში ყველამ ერთსულოვნად თქვა, რომ მათთვის მთავარი ერთად ყოფნაა და ის, რომ მუშაობაში ხელს არავინ უშლით.

ყარამან ქუთათელაძის კომენტარი ყველაზე ოპტიმისტური და მრავლისმთქმელი იყო: Лиха беда начало! პროექტს მართლაც სასიკეთო პირი უჭირს. მაგრამ, გაგრძელება უკვე მომავლის საქმეა. მთავარია, რომ თბილისში ძალიან კარგი გამოფენა გაიხსნა – თუ ქარვასლაში მიბრძანდებით, ამაში თავადაც შეძლებთ დარწმუნებას.

"ოქროს ნიღაბი - 2003" სტარტზეა

დიმიტრი როგავა

14 სექტემბერს რუსთავში საზეიმოდ გაიხსნება თეატრალური ფესტივალი "ოქროს ნიღაბი – 2003". წელს ეს ფესტივალი მეოთხედ ჩატარდება. ფესტივალი 1995 წელს დააფუძნეს რუსთავის მაშინდელმა და ახლანდელმა მერმა მერაბ მუყუშელაშვილმა, საქართველოს კულტურის სამინისტროსთან და თეატრის მოღვაწეთა კავშირთან ერთად. პომპეზური პრეზენტაციისა და ქართული თეატრის საუკეთესო სპექტაკლების ("კავკასიური ცარცის წრე", "ბაკულას ღორები", "ბახტრიონი"...) ჩვენებით დაფუძნებული ფესტივალისადმი თავდაპირველად სკეპტიკურად იყვნენ განწყობილნი, წინასაარჩევნო (1995 წლის არჩევნები) დაპირებად ჩათვალეს, მაგრამ...

პირველი ფესტივალი 1996 წელს გაიმართა, საკონკურსოდ 16 თეატრი წარსდგა, გრან-პრი რობერტ სტურუას დადგმულმა "მაკბეტმა" მოიპოვა. შემდეგ წლებში (1998, 2000) ჩატარებულ ფესტივალებს საერთაშორისო სტატუსი ჰქონდათ, მათში ქართული კოლექტივების გარდა, რუსეთის, სომხეთის, აზერბაიჯანისა და ესპანეთის თეატრალური დასები მონაწილეობდნენ. გრან-პრი კი ორივეჯერ თემურ ჩხეიძის მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე დადგმულმა სპექტაკლებმა "მამამ" და "art-ხელოვნებამ" მოიპოვეს.

წლევანდელი, რიგით მეოთხე ფესტივალი კვლავ მხოლოდ ქართულ თეატრებს უმასპინძლებს. საკონკურსოდ წარმოდგენილია 23 ნამოდგენა. მონაწილეობას მიიღებენ თბილისის (რუსთაველის, ვასო აბაშიძის, თუმანიშვილის, ვერიკო ანჯაფარიძის, ახმეტელის, თენგიზ ჩანტლაძის, გრიბოედოვის, პეტროს ადამიანის სახელობის თეატრები; აგრეთვე თეატრალური სარდაფი, სამეფო უბნის, თავისუფალი, მეტეხისა და პანტომიმის თეატრები), ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის, თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის, ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის, სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის, სენაკის აკაკი ხორავას სახელობის, ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის და მესხეთის სახელმწიფო თეატრები.

ფესტივალის რეპერტუარშია შექსპირის, ჩეხოვის, ევრიპიდეს, დიურენმატის, ზიუსკინდის, ოსბორნის, პირანდელოს, სუმბათაშვილ-იუჟინის, ჯავახიშვილის, დუმბაძის, ბაღათურიას, ტურაშვილის, ბუღაძისა და სხვათა ნაწარმოებები... რობერტ სტურუას, გიორგი მარგველაშვილის, ამირან შალიკაშვილის, დავით დოიაშვილის, სანდრო მრევლიშვილის, ავთანდილ ვარსიმაშვილის, დავით ანდღულაძის, ოთარ ეგაძის, დავით საყვარელიძის, ლილი ბურბუთაშვილის, გოჩა კაპანაძის... რეჟისორული ნამუშევრები. საფესტივალო სპექტაკლებში მონაწილეობენ: ნანა ფაჩუაშვილი, ნინელი ჭანკვეტაძე, რუსუდან ბოლქვაძე, ნინო კასრაძე, ხათუნა იოსელიანი, ნინო ლეჟავა, მარინა კახიანი, ია სუხიტაშვილი, ზაზა პაპუაშვილი, დიმა ჯაიანი, გია როინიშვილი, ვაჟა გელაშვილი, ნიკო გომელაური, რამაზ იოსელიანი, ნუგზარ ყურაშვილი, ლევან ბერიკაშვილი, დუტა სხირტლაძე, ბესო ბარათაშვილი, გიორგი ყიფშიძე...

ისევე როგორც წინა ფესტივალებზე "გრან პრი – ოქროს ნიღაბის" გარდა დაწესებულია შემდეგი ნომინაციები: საუკეთესო რეჟისორული ნამუშევრისათვის, საუკეთესო ქართული დრამატურგიული ნაწარმოებისათვის, ქალისა და მამაკაცის როლების საუკეთესო შესრულებისათვის, ასევე ახალგაზრდა ქალისა და მამაკაცის საუკეთესო შესრულებისათვის, საუკეთესო ეპიზოდური როლისათვის, საუკეთესო სცენოგრაფიისათვის, საუკეთესო მუსიკალური გაფორმებისათვის, პრიზი მაყურებლის სიმპათია...

წლევანდელი ჟიური კი ასე გამოიყურება: თავმჯდომარე - საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილე, თეატრმცოდნე გია ცქიტიშვილია; წევრები არიან: რეჟისორი ანდრო ენუქიძე, ხელოვნებათმცოდნეები ნინო გუნია და კახა ტრაპაიძე, მუსიკათმცოდნე ზურაბ ოკაშვილი, დრამატურგი ირაკლი სამსონაძე და თეატრმცოდნე გიორგი ჩართოლანი.

ასე რომ, რუსთავი კვლავ "ოქროს ნიღაბის" მოლოდინშია, ფესტივალი წელს 5 ოქტომბრამდე გასტანს. გაზეთი "24 საათი" რეგულარულად მოგაწვდით ინფორმაციას ფესტივალის მიმდინარეობის შესახებ.

ESM-თბილისის სკოლა-ლიცეუმი აგრძელებს მოსწავლეთა მიღებას II, III, IV და V კლასებში.
დანარჩენ კლასებში კონტიგენტი შევსებულია
მისამართი: ნუცუბიძის ქ. N223.
ტელ: 32 97 83

რა ღამაზია ბარსელონა ჩემი აივნიდან

თამარ ბაბუაძე

"ისი პარი" წარმოგიდგენთ "მექსს".

თბილისში დაახლოებით ათი ადამიანი ვიცი, რომლებიც თავს ექსკლუზიურად "მექსის" მომხმარებლებად ასაღებენ: ეძებენ "მექსის" ჯინსს, სიხარულით აღარ არიან, როცა აჩუქებ "მექსის" ქამარს, ცნობენ მხოლოდ "მექსის" სუნამოს. საქმე ის არის, რომ ჯინსთან, ქამართან და სუნამოსთან ერთად ისინი ყიდულობენ განწყობას და იმიჯს, რომელიც "მექსი" თითოეულ პროდუქტს მოჰყვება თან. იმიჯი კი ასეთია: "მექსის" იქმნება 20-40 წლის მამაკაცებისა და ქალებისთვის, რომლებიც ბოლომდე ინარჩუნებენ ახალგაზრდულ სულს და არიან მხიარულები...

როცა ასე ფიქრობ, ანუ, როცა გგონია, რომ "მექსის" მაღაზიაში ნაყიდ შარვალთან ერთად პარკში მზა იმიჯსაც ჩაგიდებენ და შინ გამოგატანენ, ცხადია, რეკლამის დიდი დოზით ხარ გაბრუებული. მაგრამ მოდით, დღეს ამ გაბრუებულებზე და მათი გაბრუების მიზეზებზე ნუ ვისაუბრებთ. დღეს, "მექსის" მხიარულ ტალღას ჩვენც ავედევნოთ, შევეცადოთ, გავუგოთ "მექსის" თაყვანისმცემლებს და თავი იმ ახალი ამბით გავირთოთ (თუ გავიბრუოთ), რომ ქალაქში მათთვის "მექსის" ერთდროულად ორი ახალი სურნელი გაჩნდა. საზაფხულოდ გამოშვებული წყვილი სუნამო, ქალებისა და მამაკაცებისთვის და "მექსის" სულ ახალი არომატი Pure Life ასევე ქალებისა და მამაკაცებისთვის, თანაც მთელი თავისი ატრიბუტიკით – შხაპის გელებით, ტანის ლოსიონებით...

როგორც წინა "მექსები", ეს ახალი არომატებიც ქართულ ბაზარზე "ისი პარიმ" შემოიტანა. ფირმის პრეს-ლანჩზე კი საგანგებოდ აღინიშნა, რომ "მექსი" დემოკრატიული ფირმაა, რადგან ის ახალ სუნამოებს ქალებისა და მამაკაცებისთვის ერთდროულად უშვებს, ანუ იცავს უმნიშვნელოვანეს დემოკრატიულ პრინციპს – სქესთა შორის თანასწორობას. თუმცა, ამაში გასაკვირი ალბათ არაფერია. "მექსი" ხომ იმ დროის შვილია, როცა დემოკრატიული იდეების პოპულარიზაცია ზენიტს აღწევდა (80-იან წლებში შექმნილმა ფირმამ სუნამოების წარმოება 2000 წელს დაიწყო). და თუ ასწლიანი ტრადიციის მქონე ფირმებს ახალ ფასეულობებზე გადართვა მოუხდათ, "მექსი" პირდაპირ ამ ფასეულობებით იშვა და ბუნებრივად გაითავისა, რომ სუნამოების წყვილად გამოშვებით დემოკრატიის მესვეურთა გულს მოიგებს; რომ MEXX Diversity-ის შექმნით (2002 წ.) ახალი საუკუნის ახალგაზრდობის მთავარ იდეას გამოხატავს, რომელიც ასე ჟღერს: ვიმოგზაუროთ ბევრი, ერთმანეთს შევუზავოთ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მიღებული შთაბეჭდილებები და ამ ნაზავით შევქმნათ საკუთარი ცხოვრებისეული სტილი.

"მექსის" ეს მხიარული და ახალგაზრდული ტრადიცია არც 2003 წლის ზაფხულისთვის შექმნილ წყვილ სუნამოს დაურღვევია. ორივე მათგანი მენთოლით და სხვა მაგრილებელი ინგრედიენტებით გაჯერეს, ქალის ფლაკონს ნარინჯისფერი ტონი შეურჩიეს, მამაკაცისა კი ლურჯად შეღებეს და მომხმარებელს ცხელ ამინდში სურნელოვანი გაგრილება შესთავაზეს.

რაც შეეხება "მექსის" მთავარ ახალ სურნელს, მას Pure Life (ნამდვილი ცხოვრება) ჰქვია. ორივე სურნელი, ქალისაც და მამაკაცისაც, ძალზე სასიამოვნოა – ყვავილოვან-ხილოვან-გამაგრილებელი. მაგრამ, როდესაც ამ სურნელს თან ერთვის საგანგებოდ მისთვის შეთხზული ისტორიაც, სურნელი არა უბრალოდ სასიამოვნო, არამედ სუპერ-სასიამოვნო ხდება. გაინტერესებთ, ამჯერად როგორ გაწნყობას შეგიფუთავენ მაღაზიაში "მექსის" Pure Life-თან ერთად? რომანტიკოსებო და სენტიმენტალებო, ეს ისტორია სათქვენოა: მაშ ასე, Pure Life ნამდვილ ცხოვრებას "ჰყიდის". ის განტვირთვისკენ მოგიწოდებთ. გთხოვთ, რომ წუთით გამოეთიშოთ საფონდო ბირჟის ინდექსებით (ეს ქართველებს ისედაც არ გვაქვს), ფინანსური პრობლემებით, ინფორმაციებით გადატვირთულ ყოველდღიურობას, განმარტოვდეთ საყვარელ ადამიანთან ერთად, მიმოიხედოთ და აღმოაჩინოთ, რომ ცხოვრება მშვენიერია, ოღონდ, რა თქმა უნდა, მშვენიერია ორიოდე წვეთი Pure Life-ის თანხლებით.

Pure Life-ის ვიდეო-კლიპი ბარსელონაში გადაიღეს. მზიანი ქალაქური პეიზაჟები, თეთრი ჰამაკი, შეყვარებული წყვილი და ღიმილი – ეს ყველაფერი საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ Pure Life-ს საკუთარი შესაძლებლობები მაყურებლისთვის უმალ დაემტკიცებინა. კრიტიკოსებმა კი მაშინვე უყოყმანოდ აღიარეს, რომ რეკლამა ძალზე ეფექტური გამოდგა. მისი ნახვის შემდეგ, რბილ ჰამაკში მოკალათების, პრობლემების დავიწყებისა და გარემოთი ტკბობის სურვილი დაუძლეველი ხდებაო, დაასკვნეს მათ.

ასე რომ, "მექსის" ქართველ ფანებს ისღა დარჩენიათ, თეთრი ჰამაკი იშოვონ, საყვარელ ადამიანთან ერთად განმარტოვდნენ და ფრაზის: "რა ლამაზია ბარსელონა ჩემი აივნიდან", აღმოხდეთ: "რა ლამაზია თბილისი..." (თუმცა, ბარსელონასთან შედარებით ოდნავ გაუჭირდებათ). ისინი კი, ვინც "მექსმა" მაინც ვერ აცდუნა, ალბათ, დასხდებიან და მათ შესახებ სერიოზულ ნაშრომს დაწერენ სათაურით: როგორ აბრუებს ადამიანებს პოპ-კულტურა. მაგრამ, ჩვენ ხომ თავიდანვე შევთანხმდით, რომ ამ თემაზე დღეს არ ვისაუბრებდით, დღეს, უბრალოდ, ვცდილობდით, გაგვეგო "მექსის" ფანებისთვის...

რელიგიური შოუ დემიენ ჰირსტისაგან

წმინდანები ძროხებად იქცნენ

ნინო ჭანიშვილი

დემიენ ჰირსტი თავის ცხვართან ერთად.

ბრიტანეთის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული, წარმატებული და, რაღა თქმა უნდა, მდიდარი მხატვარი დემიენ ჰირსტი რელიგიურ წარმოდგენას მართავს ლონდონში. ოთხშაბათს გალერეა "ვაით ქიუბში" ჰირსტის პერსონალური გამოფენა გაიხსნა. ლონდონელები წმინდანების ძროხებად გადაქცევით, ქრისტიანობის ისტორიაში დაღვრილი სისხლით, თავის ქალებით და ჯვარცმებით ტკბებიან.

გამოფენის ობიექტების სამი მეოთხედი ჯერ კიდევ ექსპოზიციის გახსნამდე გაიყიდა.

ლონდონის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული გალერეა "ვაით ქიუბი" დემიენ ჰირსტის მინის კაბინებში დაკონსერვებული ცხოველებით და სამედიცინო ინსტრუმენტებით გაივსო. თავის დროზე ფორმალინში დაკონსერვებული ცხოველების გამო დიდი სკანდალი ატყდა. მაგრამ, დღეს ეს აღარავის აკვირვებს და ეს ყველაფერი ჰირსტის კლასიკად იქცა.

რამდენიმე თვეა, რაც დემიენ ჰირსტმა ნარკოტიკებს და სმას თავი დაანება. ამ ამბავს და მხატვრის რელიგიით გატაცებას იმას უკავშირებენ, რომ ჰირსტის ერთი მეგობარი ზედმეტი დოზებისგან ნაადრევად გარდაიცვალა.

ჰირსტი, რომელიც იდეებიის ნაკლებობას არ უჩივის, თავით გადაეშვა რელიგიაში. ჰირსტის დილერმა და "ვაით ქიუბის" მფლობელმა ჯეი ჯოპლინმა ექსპოზიციასთან დაკავშირებით ბრიტანულ პრესას განუცხადა, რომ დემიენი უდავოდ ძველი ოსტატების ტრადიციას აგრძელებს, რომლებიც რელიგიით ისევე იკვებებოდნენ, როგორც კარაქიანი პურით.

ჰირსტის მთელი ექსპოზიცია ქრისტეს, მის მოწაფეებს და წმინდანებს ეძღვნება, რომლებმაც დემიენთან თავისებური ტრანსფორმაცია განიცადეს. კომპოზიცია "ქრისტე და მისი მოწაფეები" 13 რეზერვუარით არიან წარმოდგენილნი; თორმეტ მათგანში ძროხის თავებია ჩადებული, მეცამეტეში კი მხოლოდ სითხე ასხია. ინსტალაცია, რომელიც სხვადასხვა წმინდანების წამებაზე "მოგვითხრობს", სისხლიანი მინის კაბინის სახით არის წარმოდგენილი. ერთ-ერთ რეზერვუარში ჰირსტმა თეთრი მტრედი მოათავსა, რომელსაც "ქრისტეს ამაღლება" უწოდა. მახარობლები – მათე, მარკოზი, ლუკა და იოანე - ტილოზე მიკრული მკვდარი მწერების სახით გამოფინა. "ყველაფერი ეს დამოუკიდებელ ნამუშევარს წარმოადგენს, თუმცა ერთობლიობაში ერთ მთლიან ინსტალაციას ქმნის" – განაცხადა ჯეი ჯოპლინმა.

ჰირსტმა მისი შემოქმედების სამარკო ნიშნად ქცეულ ობიექტებს - სამედიცინო ინსტრუმენტებს, მინის ვიტრინებს და ცხოველებს რელიგიური შეფერილობა მიანიჭა და ამჯერად ბლომად სისხლში ამოსვარა.

რამდენიმე წლის წინ, დემიენ ჰირსტის ინსტალაციამ, "მეტეორიტით მიჭყლეტილი რომის პაპი", დიდი სკანდალი გამოიწვია. საინტერესოა, როგორ გამოეხმაურება ვატიკანი კათოლიკური ეკლესიის ისტორიის სისხლში ამოსვრას. თუმცა, ისიც შესაძლებელია, რომ ჰირსტის პროვოკაციამ უხმაუროდ ჩაიაროს, რაც მხატვრისთვის წამგებიანი იქნება.

მხოლოდ ერთს დავამატებ, დემიენ ჰირსტის ერთი ნამუშევარი მარსზეც კია მოხვედრილი - მან კოსმოსური სადგურის "ბიგლ 2-ის" ერთ-ერთი მოწყობილობა გააფორმა. მაგრამ, ამავე დროს, ისეც ხდება ხოლმე, როცა მის მხატვრობას "ჩვეულებრივი" ადამიანები ყოველთვის ვერ იგებენ. ორი წლის წინ ლონდონის გალერეა "აისთორმში" ჰირსტის ინსტალაცია იყო გამოფენილი. ინსტალაცია წარმოადგენდა ჭუჭყიან მაგიდას, რომელზეც გაზინტლული ჭურჭელი, ლუდის ბოთლები და საფერფლეები ეყარა, გვერდზე კი მოლბერტი იდგა. გალერეის დამლაგებელმა ინსტალაცია ვიღაცის ტრაპეზის ნარჩენად მიიჩნია, მაგიდა სასწრაფოდ გადაწმინდა და "ნაგავიც" ურნაში გადაუშვა. ამ ამბით განერვიულებულ გალერეის დირექტორს კი უთქვამს, დროა გავარკვიოთ რა არის ნაგავი და რა ხელოვნება.

სუხიშვილების ახალი სიტყვა

ნანა ბასილაშვილი

ნინო და ილიკო სუხიშვილები ახალი სტუდიის გახსნაზე.

"სუხიშვილებში" ცეკვა პრესტიჟული და არც ისე იოლად მისაღწევი იყო. ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი ანსამბლს უმკაცრესი შერჩევით აკომპლექტებდნენ. ანსამბლის ამჟამინდელი ხელმძღვანელები, წინაპრების პრინციპებს უცვლელად და უღალატოდ იზიარებენ. მათი პოპულარობის ხარისხიც, შესაბამისად, შენარჩუნებული და შეიძლება ითქვას, გაორმაგებულია. ეს კი, რა თქმა უნდა, არც ისე ადვილია. უმარავ ნიუანსებთან ერთად, ანსამბლის ერთ-ერთ მაცოცხლებელ ძალას, ანუ კადრებს, პერიოდულად განახლება სჭირდება, რაც არც ისე იოლი მოსაგვარებელია. იმის მიუხედავად, რომ დღეს უამრავი კერძო თუ სახელმწიფო სტუდია არსებობს, პროფესიონალი მოცეკვავის შერჩევა მაინც პრობლემაა. ანსამბლის თითოეული ახალი წევრი, ხშირ შემთხვევაში გადამზადებას საჭიროებს. ანსამბლის ხელმძღვანელობამ აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად ერთ ხერხს მიმართა.

"ძალიან მომრავლდა მოცეკვავეები, რომელთაც ქართული ცეკვის ილეთები არაკლასიკურად და არასწორად აქვთ შესწავლილი. როგორც წესი, მათთან თავიდან გვჭირდება მუშაობა. დღეს იქმნება ჩვენს ანსამბლთან არსებული სკოლა-სტუდია, რომელსაც შემდგომში ცეკვის აკადემიის პერსპექტივაც ექნება", - ქართული ნაციონალური ბალეტის ქორეოგრაფი, ილიკო სუხიშვილი (უმცროსი) ნინო სუხიშვილთან ერთად, ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის სახელობის სტუდიის სამხატვრო ხელმძღვანელად გვევლინება.

სუხიშვილების ამ სიახლეს დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ყოველგვარი შერჩევისა და შემოწმების გარეშე, 9 წლის ასაკიდან ნებისმიერ მსურველს შეუძლია ამ სტუდიის წევრი გახდეს. სტუდიაში ჩამოყალიბდება, როგორც პროფესიონალური ჯგუფები, ასევე მოყვარულთა კურსები, სადაც ასაკი შეუზღუდავია. 8 პედაგოგი, რომელთაც ნინო რამიშვილისა და უფროსი ილიკო სუხიშვილის სკოლა აქვთ გავლილი, ასწავლიან ქართულ ცეკვას, ახალი პროგრამის ილეთებს, მსოფლიოს ხალხთა, თანამედროვე ცეკვებსა და პლასტიკას, ამასთან ერთად, შეიქმნება მოდერნისა და ჯაზის კურსები.

"სუხიშვილების" სარეპეტიციო დარბაზში, გუშინ, მშობლებთან ერთად, ათობით მოზარდმა მოიყარა თავი. ეს მოსალოდნელიც იყო. ნინოსა და ილიკოს არაერთხელ თითქმის თითოეულ მათგანთან მოუწია თავიანთი სტუდიის შესახებ, ყველანაირი პირობის დაწვრილებით ახსნა-განმარტების მიცემა.

"პირველ რიგში გვჭირდება სწორად ნასწავლი კადრები. ყველას ჰგონია, რომ ქალაქში არსებული სტუდიები ჩვენ გვეკუთვნის. ეს იქნება ერთადერთი სტუდია, რომელიც პირადად ჩვენს დაქვემდებარებაში იქნება. ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის სახელობის სტუდიაში სწავლება სწორედ მათი მეთოდით წარიმართება. მომავალში ჩამოვაყალიბებთ მოსამზადებელ ჯგუფს ანსამბლისათვის, სადაც საჭირო მონაცემების მიხედვით, კადრებს სწორედ ამ სტუდიიდან დავაკომპლექტებთ", - აცხადებს ნინო სუხიშვილი.

ვისაც სურვილი გაქვთ ამ ლეგენდარული ანსამბლის წევრები გახდეთ და მათ ხელოვნებას ეზიაროთ, თქვენ ამის საუკეთესო საშუალება გეძლევათ.

"საოჯახო ტოტოს" მომავალი გათამაშების კოეფიციენტთა ცხრილი

იმ შემთხვევაში თუ ჯეკპოტი არ გათამაშდა, ის მოთამაშე, რომელიც პირველი შეავსებს ბარათს სვლის კოეფიციენტთან ერთად მიიღებს დამატებით 5000 კოეფიციენტს

ლიცენზიის ნომერი: 01-7/982

სვლა	კოეფიციენტი	სვლა	კოეფიციენტი
15	25000	47	1200
16	25000	48	1000
17	25000	49	700
18	25000	50	500
19	25000	51	300
20	25000	52	200
21	25000	53	100
22	25000	54	80
23	25000	55	70
24	25000	56	60
25	25000	57	50
26	20000	58	40
27	19000	59	30
28	18000	60	25
29	17000	61	20
30	16000	62	18
31	15000	63	16
32	14000	64	14
33	13000	65	12
34	12000	66	10
35	11000	67	9
36	10000	68	8
37	9000	69	7
38	8000	70	6
39	7000	71	5
40	6000	72	4
41	5000	73	4
42	4000	74	3
43	3000	75	3
44	2500	76	2
45	2000		
46	1500		

TV პროგრამა
11 სექტემბერი

რუსთავი - 2

07.00 დილა მშვიდობისა **07.10** სერიალი „პანანინა ონავრები“ **09.40** სერიალი „ასულ ტეკილა“ **10.20** დოკ. ფილმი „მეოცე საუკუნე“ **11.00** სერიალი „განდგომილი“ **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი „სასტიკი ანგელოზი“ **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.00** სერიალი „ასულ ტეკილა“ **17.30** სერიალი „პანწინა ონავრები“ **18.00, 21.00, 02.00** კურიერი **18.25** სერიალი „მაშველები“ **19.10** თ. ჩაგელიშვილის გადაცემა „საქართველო-უახლესი ისტორია“ **19.50** სერიალი „სასტიკი ანგელოზი“ **22.00** დოკ. ფილმი „გახსოვდეს“ **22.50** ღამის კურიერი **00.10** სერიალი „სექსი დიდ ქალაქში“ **00.40** მხ.ფილმი „აალება“. მთ. რ-ში: ბილი ზეინი, ლუი გოსეტი(უმც).

პირველი არხი

07.30 ალიონი **09.40** მულტსერიალი „კიტუ“ **10.10** მხ. ფილმი „საუკეთესო საუკეთესოთა შორის“ **11.45** დოკ. ფილმი „ბუნების სამყაროში“ **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი „ეშმაკუნა“ **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** ინგლისური ენის გაკვეთილი **14.25** დოკ. სერიალი „მსოფლიოს ქალაქები“ **15.15** მხ. ფილმი „მიზანი - დედამიწა“ **16.45** დოკ. ფილმი „რეისი 93“ **17.40** „ერთი თეთრიც ფულია“ **18.00** ვესტნიკი **18.25** ტელესერიალი „ეშმაკუნა“ **19.15** ჯანმრთელობა **19.40** ბასტი-ბუბუ **21.00** ტელეთამაში „იმღერე რამე“ **21.30** ავიაშოუ **21.45** ეკონომიქსი **22.30** რა ხდება **00.00** მხ. ფილმი „მეხუთე ელემენტი“.

პირველი სტერეო

08.00 მუსიკა **09.00** ტოროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი „აფერისტები“ **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** უცხ. მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** აბა გამოიცანი მელოდია **00.00** „ბრავო“ „გემი მოჩვენება“. მთ. რ-ში გაბრიელ ბირნი, ჯულიანა მარგულისი. **01.40** „ლამურა“ „ცოდვის ანატომია“ მთ. რ-ში ნასტასია კინსკი, როზანა არკეტი. **03.00** პაუზის გარეშე.

მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე“ მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.30** მხ. ფილმი „ხაფანგი“ **21.00** კონცერტი **22.10** მხ. ფილმი „ვაჟიშვილის ოთახი“.

კავკასია

12.00 მხ. ფილმი „განკიცხულნი“ **15.00** მხ.ფილმი „მუმია“ **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ **17.15** მხ. ფილმი „კუზიანი ნოტრდამიდან“ **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი „არმაგედონი“.

იბერია

08.00 ანონსი, აღსავალი **08.05** დიალოგი **11.00** სერიალი „საჰაერო პოლიცია“ **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10, 17.30** მულტსერიალი „კაპიტანი სიმიანი და კოსმიური მაიმუნები“ **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.30, 18.00** დოკ. ფილმი **14.50, 17.20, 17.50, 21.55** მუსიკა **15.15** მხ. ფილმი „24 საათი ქალის ცხოვრებიდან“ **18.45** ბუნების ფერები **20.00** ტელე-სინე-ვიდეო (გასმ.) **21.00** სერიალი „საჰაერო პოლიცია“ **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ. ფილმი „ბიჭები სამხრეთ ცენტრიდან“.

მეცხრე არხი

08.00 პროგრამა „დილა“ **10.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **10.10** მულტსერიალი „კონკია“ **10.35** სერიალი „პატარა აინშტაინები“ **11.10** სერიალი „ინდიგოს მინა“ **12.10** მხ. ფილმი „გაყინვის წერტილი ნული“ **13.40, 17.50, 18.50, 22.35** მუსიკა **14.00** კინოგადაცემა „ნუმერატორი“ **14.50** „ევროპის სტადიონებზე“ **15.15** მარიონეტები „ყოჩაღები“ **15.30** მხ. სერიალი „გამანადგურებლები“ **16.30** დოკ. სერიალი „ზღვარზე“ **17.00** მხ. სერიალი „სამოდელო სკოლა“ **18.00** მულტსერიალი „კონკია“ **18.30** სერიალი „პატარა აინშტაინები“ **19.00** სერიალი „ინდიგოს მინა“ **20.00** „ქართული ფეხბურთი“ **21.10** სერიალი „გამანადგურებლები“ **22.00** „ყვითელი კვადრატი“ **22.25** „ტელემეტრი“ - ტურისტული ფირმა, წამლის რეკლამა **22.55** მოკლ. მხ. ფილმი „სამეფოთა გასაღები“ **23.20** „ცხელი ცხრიანი“ **00.30** რუს. მხ. ფილმი „მწარეა“.

იმედი

07.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00 ქრონიკა **07.15, 09.00, 13.15, 17.20, 01.35** იმედის მელოდიები **07.45** „იმედის“ დილა **09.30** სერიალი „იუდას ქალი“ **10.30** „ერთხელ ჰოლივუდში“ **11.05** დოკ. სერიალი „ბრძოლა გადარჩენისათვის“ **12.10** სერიალი „ჩამსხვრეული ლამპიონების ქუჩები“ **13.30** სერიალი „უკიდურესი ზღვარი“ **14.05** სერიალი „ამაზონია“ **15.15** მხ. ფილმი „დუმილი გასროლის შემდეგ“ **17.00, 18.00, 19.00, 22.00, 01.20** ქრონიკა **17.30** დოკ. სერიალი „ისტორიის ერთი კვირა“ **18.05** სერიალი „იუდას ქალი“ **19.20** სერიალი „ჩამსხვრეული ლამპიონების ქუჩები“ **20.15** სპ. პროგრამა „ესტაფეტა“ **20.40** „დროებითი ზღვარი“ **23.35** კინოვარსკვლავთა ღამე „გადამწყვეტი მომენტი“.

აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი **08.40, 09.15, 11.50** მუსიკა **09.00, 12.00, 16.00** საინფორმაციო გამოშვება „დღეს“ **09.10, 12.10, 16.10** საინფ. გამოშვება „ნოვოსტი“ **09.30** საბავშვო ფილმი „ჰიფ, ჰაფ, ვაი-ვაი-ვაი“ **12.20** მხატვრული ფილმი „ნათლიმამა“ 2 ნაწ. 2 ს. **14.00, 18.00** საინფ. გამოშვება „დღეს მსოფლიოში“ **14.05** მუსიკა **14.10** მხატვრული ფილმი „სამურაის გზა“ **16.20** მულტფილმი **17.30** სათავგადასავლო ფილმი „რობინზონ კრუზო“ **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება „დღეს“ **19.15, 22.30, 00.20** საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი“ **19.30** დოკუმენტური ფილმი **20.20** მხატვრული ფილმი „ნათლიმამა“ 2 ნაწ. 2 ს. **23.00** „ექსკლუზივი“ **00.45** საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე **00.50** საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე **00.55** საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე **01.00** თრილერი „ბრიგადა“ 9 ს. **01.50, 03.40** მუსიკა **02.00** დოკუმენტური ფილმი **04.00** ფანტასტიკა „ვარსკლავური ომები“.

VII არხი

09.10 მელოდია **09.15** „აჩიკუდა“ **09.35** მობილურები **10.20** სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი“ - ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (განმეორებით) **10.50** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **11.15** მელოდია **11.35** აუდიო-ვიდეო-ტელე **12.05** ტელესერიალი - „მაქმანები“ - მე-4 სერია **12.35** დისნეი და მისი მეგობრები **12.55** კომპიუტერული თამაშები **13.55** მელოდია **14.05** კომპიუტერული ტექნიკა **18.20** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **18.55** მოკლედ... უცხოეთი **19.00** „აჩიკუდა“ **19.25** კომპიუტერული თამაშები **19.30** მელოდია - მოკლე შეტყობინებები **20.20** კომპიუტერული ტექნიკა **20.55** „ავტოტრეკინგი“ **21.55** მობილურები **22.20** „კინოკლუბი „ - „ორი გულის შეხვედრა“. **00.15** მელოდია **00.30** ტელესერიალი - „ნათლიდედა“ - მე-12 სერია **01.20** აუდიო-ვიდეო-ტელე.

ОРТ

07.00 „Доброе утро!“ **09.00, 10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **09.10, 20.00** **Сериал „Земля любви, земля надежды“** **10.20** **Худ.фильм „Две судьбы“** **11.30** **Боевик „Петр Великий“** **12.40** Дисней-клуб: „Базз и его команда“ **13.20** Шоу „Город женщин“ **14.00** **Триллер „Захват в метро“** **16.20** „Фабрика звезд 3“ **16.40** „Ералаш“ **17.00** **Сериал „Берег мечты“** **18.00** „Большая стирка“ **19.30** Док.фильм „Татьяна Доронина. Личная жизнь“ **20.50** **Сериал „Убойная сила“.** **„Золотая обойма“** **22.00, 00.30** „Время“ **22.30** **Худ.фильм „Две судьбы“** **23.40** „Человек и закон“ **00.50** „Ударная сила“. „Смерч“ **01.20** „Тихий дом“ С. Шолохова **01.50** **Худ.фильм „Четверо друзей“.**

РТР

06.00 „Доброе утро, Россия!“ **09.45** **Сериал „Каменская 2“** **10.50** „Комната смеха“ **12.00, 15.00, 18.00, 21.00** „Вести“ **12.30, 15.10, 17.40, 21.30** „Местное время. Вести - Москва“ **12.50** „Мусульмане“ **13.00** „Вся Россия“ **13.15** „Москва - Минск“ **13.30** „Колоссальное хозяйство“ **13.50** **Детектив „Марш Турецкого. Новое назначение“** **14.45, 17.25** „Вести. Дежурная часть“ **15.30** Ток-шоу „Что хочет женщина“ **16.30** **Сериал „Лучший город Земли“** **18.10** Супер-шоу „Вторая половина“ **19.10** **Мелодрама „Ундина“** **20.00** „Аншлаг“ **21.50** „Спокойной ночи, малыши!“ **21.55** „Народный артист“ **22.50** Бенефис К. Новиковой **02.20** **Комедия „Вечеринка продолжается“** **04.15** „Дорожный патруль“ **04.35** **Сериал „Ангелы Чарли“** **05.30** **Сериал „Екатерина Великая“.**

НТВ

07.00 „Утро на НТВ“ **09.50, 21.50** **Сериал „Черный ворон“** **11.00** „Сегодня утром“ **11.25** „Женский взгляд“ О.Пушкиной **12.00** „Квартирный вопрос: пять дочек“ **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.10** „Сегодня“ **13.30** „Красная стрела“ **13.50** Ток-шоу „Страна советов“ **14.35** **Сериал „Улицы разбитых фонарей 4“** **15.40** „По праву“ **16.35** Ток-шоу „Принцип домино“. „Органы на продажу“ **18.30** **Сериал „Супершпионки“** **19.25** „Профессия - репортер“. „Палестинский джихад“ **20.40** **Сериал „Улицы разбитых фонарей 4“** **23.00** „Страна и мир“ **23.35** „Красная стрела“ **23.55** Ток-шоу „К барьеру!“ **01.35** „Ночные музы“ **03.05** **Сериал „За гранью возможного“.**

შესანიშნავი შვიდეულის ახალი ქართული დუბლიაჟი

მესამე სერია

სახელისუფლებო და სხვა მაფიოზური კლანები

კალვერა: “ტეხასში, მხოლოდ ტეხასელებმა უნდა ძარცვონ ბანკები!”

ქვეყნის დემოკრატიულობის დონე

კალვერა (კრისს): “თქვენ მათ ბევრი არჩევანის უფლებას აძლევდით, მე კი მხოლოდ ერთ არჩევანს გთავაზობთ – გააკეთე ის, რასაც მე გეუბნები...”.

პარტიების წინასაარჩევნო იმედები და საარჩევნო კომისიების მუშაობა

ვინი: “...მოფრინავს ეს ბიჭი მეთორმეტე სართულიდან და ფიქრობს – ჯერჯერობით, ყველაფერი კარგად მიდის...”.

პარტიებდავლილი ჯონდი ბაღათურიას “მიკედლება” ლეიბორისტებთან

ჩიკო: “მე მოვედი იმიტომ, რომ პატივს ვცემ, მინდა მასთან ვიმუშაო, ის კი მეუბნება – ტაში დაუკარიო... ახლა შენ თვითონ დაუკარი ტაში!...”.

ძალზედ ვნანობ, ჰიტლერთან შეხვედრას

ჰიტლერის ფავორიტად წოდებული გერმანელი რეჟისორი ლენი რიფენშტაილი 9 სექტემბერს, 101 წლის ასაკში გარდაიცვალა. აქტიური, ნიჭიერი რეჟისორი, ფაქტობრივად პირველი ქალი მთელს გერმანიაში, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საზოგადოებისგან სრულიად გარიყული აღმოჩნდა. მას ხალხმა ჰიტლერის ერთგულება არ აპატია. მიუხედავად იმისა, რომ იგი არასოდეს ყოფილა პარტიის წევრი, მისი სახელი ფაშიზმთან, გაზის კამერებთან ასოცირდებოდა. “ნებისყოფის ტრიუმფი”, “ოლიმპია” დიდი ფიურერისადმი მიძღვნილი ფილმები ლენიმ 30-იან წლებში გადაიღო, რომლებშიც ვენეციის საერთაშორისო კინოფესტივალზე, მთავარი პრიზი დაიმსახურა. დღეს კი ფაშისტური რეჟიმის ერთგვარ მხატვრულ სიმბოლოებად ქცეული ლენის ეს ფილმები, ბევრ ქვეყანაში აკრძალულია. წაგებული ომის შემდეგ, ფაშიზმთან თანამშრომლობის ბრალდებით ლენი 3 წლით დაიჭირეს, და შემდეგ მისი სახელის გაგონებაც კი აღარავის უნდოდა. მან შეწყვიტა ფილმების გადაღება, უფრო სწორედ, იძულებული იყო შეეწყვიტა ამ სფეროში მუშაობა, რადგანაც ყველა კინო-მეწარმემ ბოიკოტი გამოუცხადა. ერთ დროს პირველი ქალბატონი დღეს აღარავის სჭირდებოდა.

“მე არ ვყოფილვარ მისი საყვარელი, როგორც ამას ბევრი მაბრალებდა –განაცხადა ლენიმ, მას ჩემი ნიჭი ხიბლავდა, ეს იყო და ეს”. ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში კი ლენიმ აღიარა: “მე ძალზედ ვნანობ, ჰიტლერთან შეხვედრას და ყოველივეს, რაც მასთან მაკავშირებდა”.

მისი შემოქმედება კიდევ ერთხელ დაუმტკიცებს ყველას, რომ ლენი რიფენშტაილი ნაცისტი კი არა, ნიჭიერი ხელოვანი იყო.

საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭო (IREX) აცხადებსდია კონკურსს შემდეგ პროგრამებზე:

IREX International Research & Exchanges Board

- თავისუფლების მხარდამჭერი აქტის სტუდენტური პროგრამა,რომელიც საშუალებას აძლევს პირველ,მეორე და მესამე (ხუთწლიან პროგრამებზე) კურსის სტუდენტებს ერთი წელი ისწავლონ აშშ უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში. საბაკალავრო ფორმების ჩაბარების ბოლო ვადაა 2003 წლის 17 ოქტომბერი.
- თანამედროვეობის საკითხთა პროგრამა, რომელიც საშუალებას აძლევს გამოცდილების მქონე პროფესიონალებს (არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების, სამთავრობო სტრუქტურების, ბიზნესის წარმომადგენლებს) აწარმოონ 4-თვიანი კვლევა აშშ-ში. საბაკალავრო ფორმების ჩაბარების ბოლო ვადაა 2003 წლის 31 ოქტომბერი.

ამ პროგრამების კონკურსში გამარჯვებულნი მიიღებენ სრულ დაფინანსებას აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის კულტურისა და განათლების ბიუროს მიერ.

საბაკალავრო ფორმები შეიძლება აიღოთ და ჩააბაროთ საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოს თბილისის ოფისში, შემდეგ მისამართზე:

IREX / თბილისი ჭავჭავაძის გამზ. 62; 0162
ტელ: (995 32) 29 19 05

ელ-ფოსტა: nkobakhidze@irexonline.ge;
საკონტაქტო პირი: ნინო კობახიძე, თათა ქასაძე.

სწავლა ლონდონში
ხელმისაწვდომ ფასად

ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლა (ლონდონი) გთავაზობთ ხარისხის მოსაპოვებლად შემდეგი პროგრამების ფარგლებში. ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლის (ლონდონი) კამპუსი მდებარეობს ლონდონ ბრიჯთან, ეს ის ადგილია, სადაც ლონდონის ღირსშესანიშნაობებია თავმოყრილი. პროგრამები ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება სანდერლენდის (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად; ხოლო პროგრამები მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება ისტ ლონდონის (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად. პროგრამები ცხადდება წელინადში სამჯერ (ნოემბერი / აპრილი / აგვისტო). მორიგი კურსის დაწყების თარიღია 2003 წლის 27 ნოემბერი.

MBA
MSc
ბიზნესის ადმინისტრირება / ინფორმაციული ტექნოლოგიები
კორპორაციული ფინანსები / HRM
პროექტების მენეჯმენტი
საინფორმაციო ტექნოლოგიები
კომპიუტერული სისტემის ინჟინერია
ინტელექტის ინჟინერია
სრული კურსის ფასი £3950
საგანმანათლებლო ს.

ბიზნესის ან ბიზნეს ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამების ფარგლებში ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად 2-წლიანი დაჩქარებული კურსის - BA (Hons) მიღებული ღირებულებაა £ 6950.
3-წლიანი კურსის ინჟინერიის ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად B. Eng (Hons) მიღებული ღირებულებაა £ 10 950

ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდა შესაძლებელია ეტაპობრივად

იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ზემოაღნიშნული პროგრამებით სწავლობენ, ერთწლიანი ინტენსიური ინგლისური ენის კურსის გავლა შესაძლებელია დამატებითი £ 1000 გადახდის შემდეგ.
იმ სტუდენტებისთვისაც, რომელთაც მაღალი აკადემიური მოსწრება არა აქვთ, ხელმისაწვდომია მოსამზადებელი პროგრამები.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით: ნიგარ შეჰბაზოვას, ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლის მიმღებ განყოფილებაში
მისამართი: 12 Bul Bul Ave., Student Travel International (STI),
Tel/Fax: +994 12-989906, 98 99 08, +994 50 - 201 01 69
E-mail: stmgeorgia@hotmail.com; nm@sti.az
ან ადგილობრივ წარმომადგენელს: ნინა ჩქვიანელს
ტელ.: 34 14 62, 8-93 35 20 67

განცხადება
შპს "კვიტა" აცხადებს ლიკვიდაციას.
დაინტერესებულ პირებს, გთხოვთ მოგვმართოთ 10 დღის განმავლობაში მისამართზე: თბილისი, აბაშიძის ქ. №8, ტელეფონი: 94-25-74
დავით კვიტაიშვილი.
საქ. კანონი "მეწარმეთა" შესახებ 14.2

International House
A MEMBER OF THE INTERNATIONAL HOUSE WORLD ORGANISATION

საერთაშორისო სახლი
უცხოური ენების სწავლების ცენტრი

15 სექტემბერს
იწყებს
ინგლისური ენის სწავლების ახალ კურსს

- ბავშვების, მოზარდებისა და მოზრდილთათვის
- საერთაშორისო გამოცდების (FCE, CAE, CPE, IELTS, TOEFL) მოსამზადებელი კურსი
- ბიზნეს-ინგლისურის კურსი

მეცადინეობები დაიწყება:
10.00; 12.00; 15.00; 17.00; 19.00.

- სწავლების ყველა დონე
- მეცადინეობები კვირაში სამჯერ, 2 საათი
- წინასწარი რეგისტრაცია და გასაუბრება: ყოველდღე 14.00 დან 18.00 მდე
- კვალიფიცირებული ქართველი, უცხოელი მასწავლებლები
- გაიცემა სერთიფიკატი
- ტელეფონები: 94-05-15, 33-01-79
- მისამართი: დოლიძის 2

ისწავლეთ ინგლისური პროფესიონალებთან!
International House
A MEMBER OF THE INTERNATIONAL HOUSE WORLD ORGANISATION
www.ihworld.com

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.